

დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში 2020-2021



ძირითადი ავტორი:

მარგარიტა ფ. გუერერო

თანავტორები:

საქსტატი: გოგიტა თოდრაძე, პაატა შავიშვილი, ვასილ წაქაძე
გაეროს ქალთა ორგანიზაცია: ალა ნეგრუტა, თამარ ვაშაკიძე, ნათია მესტვირიშვილი

გამოკვლევაზე იმუშავეს:

გიორგი მიქელაძე, ლია ჩარექიშვილი, მარიამ გოგებაშვილი, ციციხო თედიაშვილი,
გიორგი კიკნაძე, ნინო ზურაბიშვილი, ნინო მალრაძე, მარიამ ოქრუაშვილი, ხატია ცაავა,
ანა ვარამაშვილი, თეიმურაზ პაქსაშვილი, ივანე კეჭაყმაძე, მანანა ჩიბირაშვილი, ქეთევან
ხადილაშვილი, ანა ზურიშვილი, ლეილა ჯანჯღავა, თეიმურაზ გოგიშვილი, ალექსანდრე
ამბოკაძე, გიორგი ქართველიშვილი, ანა სიხარულიძე

ამ პუბლიკაციის შინაარსი არ ასახავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ან ნორვეგიის
მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასში მოცემული ინფორმაცია და გამოთქმული
მოსაზრებები მთლიანად ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

© 2022 UN Women

ISBN 978-9941-8-5013-4

დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში 2020-2021



UN WOMEN

თბილისი, საქართველო
დეკემბერი 2022



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



წინასიძევა



ყოველდღიურად, მსოფლიოში, ადამიანები ჯამურად 16 მილიარდ საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობებზე - დაწყებული საოჯახო საქმეებიდან, ოჯახის წევრებისა და ახლობლებზე ზრუნვის ჩათვლით. ეს საქმიანობა, რომელიც ოჯახის, საზოგადოებისა და ეკონომიკის კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს, უხილავია, არ არის აღიარებული და დიდწილად ქალებზე მოდის: გლობალურად, ქალები, კაცებთან შედარებით, სამჯერ მეტ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ შრომაზე. შედეგად, ქალები განიცდიან დროით სიღარიბეს და ნაკლები დრო აქვთ ანაზღაურებადი სამუშაოსთვის ან კარიერული და პიროვნული განვითარებისთვის. აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის არათანაბარი განაწილება ქალებს და კაცებს შორის კვლავ მნიშვნელოვნად აბრკოლებს მსოფლიოში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და გენდერულ თანასწორობას, ისევე როგორც ადამიანის, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის აღიარებისა და დაფასების მოძრაობას ერთი ძლიერი მოკავშირე ჰყავს - დროის გამოყენების გამოკვლევა. მსოფლიოს მასშტაბით, ამ კვლევებით იზომება ქალების მიერ გაწეული აუნაზღაურებელი სამუშაოს წილი ქვეყნის კეთილდღეობაში. აუნაზღაურებელ სამუშაოზე ქალებისა და კაცების მიერ დახარჯულ დროში განსხვავებების გამოვლენით ხდება გენდერული უთანასწორობების გაანალიზება. ბოლო ათწლეულებში, მსოფლიოს მასშტაბით 80-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარებულია დროის გამოყენების 250-ზე მეტი გამოკვლევა, მაგრამ საქართველოში ის არასდროს ჩატარებულა. ამ დანაკლისის შესავსებად და საქართველოში დროის გამოყენების საერთაშორისოდ შესადარისი მონაცემების მისაღებად, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, დავაკვირდეთ და აღვრიცხოთ აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის შრომის მასშტაბები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, 2020-2021 წლებში პირველად ჩაატარა საქართველოში დროის გამოყენების გამოკვლევა.

ვიმედოვნებთ, რომ ამ გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ბიძგს მისცემს დებატებს ქვეყანაში ზრუნვის შრომის ღირებულებასა და საქართველოში არსებული გენდერული უთანასწორობის შესახებ. ასევე იმედი გვაქვს, რომ ამ გამოკვლევის მიგნებები მოახდენს საჯარო პოლიტიკის ინფორმირებას, ქალებისა და გოგოების მიერ გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის არაპროპორციული წილის შესამცირებლად და ზრუნვის პასუხისმგებლობების თანაბრად გადასანაწილებლად, როგორც შინამეურნეობების წევრ ქალებსა და კაცებს შორის, ასევე საზოგადოებას, კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის.

კაორი იშკავა

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, 2020-2021 წლებში საქართველოში პირველად ჩაატარა დროის გამოყენების გამოკვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოში დროის გამოყენების შესახებ სტატისტიკურად სანდო და საერთაშორისო დონეზე შესადარისი მონაცემების მიღება, გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება, მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მაჩვენებლების გაანგარიშება და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართული პოლიტიკის ინფორმირება.



გამოკვლევა ევროსტატის და გაეროს მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს დაეფუძნა, რაც მიღებული მაჩვენებლების საერთაშორისო დონეზე შესადარისობას უზრუნველყოფს.

გამოკვლევის შედეგად შეგროვდა მონაცემები მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის შესახებ, მათ შორის, ანაზღაურებად და არაანაზღაურებად სამუშაოზე, საოჯახო საქმეებზე, ბავშვის მოვლაზე, მგზავრობაზე, სწავლაზე, დასვენებაზე და ა.შ.

გამოკვლევისათვის, ქვეყნის მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 3 680 შინამეურნეობა შეირჩა. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღეს 15 წლისა და უფროსი ასაკის პირებმა, რომლებიც დროის გამოყენების დღიურში 10 წუთიანი ინტერვალით აღწერდნენ მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებს წინასწარ დადგენილი სრული ორი დღისთვის.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია როგორც ძირითადი მიგნებები, ასევე გამოკვლევის დიზაინის, მონაცემების შეგროვების და სხვა საკითხების დეტალური მიმოხილვა.

ანგარიში განკუთვნილია მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისთვის და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახელმწიფოსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, დაგეგმონ და განახორციელონ მოსახლეობის საჭიროებაზე დაფუძნებული სხვადასხვა ღონისძიება და დაწერონ მათზე მორგებული მომსახურებები ქვეყანაში ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გაეროს ქალთა ორგანიზაციას და ნორვეგიის მთავრობას მათ მიერ გაწეული ფინანსური და ტექნიკური დახმარებისათვის. აგრეთვე დიდ მადლობას ვუხდით თავდადებული მუშაობისათვის საქსტატის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ გამოკვლევის პროცესში. განსაკუთრებული მადლობა გამოკვლევის საველე პესონალს მათ მიერ გაწეული მძიმე შრომისთვის და ყველა რესპონდენტს, რომლებმაც დიდსულოვნად დაგვითმეს დრო და დაგვთანხმდნენ გამოკითხვაში მონაწილეობაზე.

საქმიანი შენიშვნები და წინადადებები პუბლიკაციის ფორმატისა და შინაარსის შესახებ მაღლიერებით იქნება აღქმული საქსტატის მიერ.

გოგითა თოდრაძე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი

მადლობა

დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში (GTUS) პირველად ჩატარდა. გამოკვლევა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი), გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური მხარდაჭერით განახორციელა. გამოკვლევის ამოცანას წარმოადგენდა ქვეყანაში მცხოვრები ქალებისა და კაცების მიერ დროის გამოყენების შესახებ მაღალი ხარისხის მონაცემების მიღება და ანალიზი. აღნიშნული გამოკვლევა ერთადერთი წყაროა მდგრადი განვითარების მიზნის (SDG) 5.4 ამოცანის „აუნაზღაურებელი ზრუნვის და საოჯახო შრომის აღიარება და დაფასება საჯარო მომსახურებების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფით და შინამეურნეობაში და ოჯახში გაზიარებული პასუხისმგებლობის წახალისებით“ შესრულების პროგრესის შესაფასებლად.

2020-2021 წლების GTUS-ის ჩატარება და მის საფუძველზე მომზადებული ანგარიში სხვადასხვა ადამიანის და ორგანიზაციის ერთობლივი შრომის შედეგია. გამოკვლევა ჩატარდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, ნორვეგიის მთავრობის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფლაგმანი პროგრამის „თითოეული ქალი და გოგო მნიშვნელოვანია“ ფინანსური მხარდაჭერით.

გვსურს, გაწეული შრომისთვის მადლობა გადავუხადოთ GTUS-ის სამუშაო ჯგუფის წევრებს, საქსტატის სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის მთელ გუნდს და გამოკვლევის საველე პერსონალს - საველე სამუშაოების ზედამხედველებს და ინტერვიუერებს. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ათასობით ქალსა და კაცს, რომლებიც დიდსულოვნად დაგვთანხმდნენ, დაეთმოთ დრო გამოკვლევის კითხვარების და დღიურების შევსებისთვის.

სამრეწვე

ცხრილები და დიაგრამები

დიაგრამები

ცხრილები

აკრონიმები და აბრევიატურები

CAPI	პირისპირი ინტერვიუ პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით Computer-Assisted Personal Interviewing
GTUS	დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში Georgia Time Use Survey
ICATUS	აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაცია დროის გამოყენების სტატისტიკისთვის International Classification of Activities for Time Use Statistics
PSU	შერჩევის პირველადი ერთეული Primary Sampling Unit
SDG	მდგრადი განვითარების მიზანი Sustainable Development Goal
TUS	დროის გამოყენების გამოკვლევა Time Use Survey
UN Women	გაეროს ქალთა ორგანიზაცია United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
შშმ პირი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

ძირითადი მიზნები

დროის გამოყენება საქართველოში

- ▶ ზოგადად, საქართველოს მოსახლეობა დროის 49 პროცენტს ხარჯავს **აუცილებლობასთან დაკავშირებულ აქტივობებზე** (ფიზიოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილება, ძილი, კვება, პირადი ჰიგიენა და ა.შ.), 16 პროცენტს - **ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე** (ანაზღაურებადი სამუშაო, რეგულარულ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვა და ა.შ.), 12 პროცენტს - **ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე** (აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის მომსახურება, მოხალისეობრივი საქმიანობა და ა.შ.) და 23 პროცენტს - **თავისუფალ დროსთან დაკავშირებულ აქტივობებზე** (დასვენება, სოციალიზაცია და ა.შ.). ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე ქალები კაცებზე დაახლოებით ოთხჯერ მეტ დროს ხარჯავენ, ხოლო ხელშეკრულებებთან და თავისუფალ დროსთან დაკავშირებულ აქტივობებზე უფრო მეტ დროს კაცები ხარჯავენ. ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე კაცების მიერ დახარჯული დრო თითქმის ორჯერ აღემატება ქალების მიერ დახარჯულ დროს. თავისუფალ დროსთან დაკავშირებულ აქტივობებზე კაცები დროის 27 პროცენტს, ხოლო ქალები დროის 21 პროცენტს ხარჯავენ. ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული დროის წილი ყველაზე დაბალი (10.9 პროცენტი) 15-24 წლის ქალებშია, ხოლო ყველაზე მაღალი (23.4 პროცენტი) 25-44 წლის ქალებში, რაც რეპროდუქციულ ასაკს შეესაბამება.
- ▶ **დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებში** მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალი თბილისსა და სხვა ქალაქებშია. ყველა ტიპის დასახლებაში, დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებში კაცების მონაწილეობის დონე (41 პროცენტი) 1.7-ჯერ აღემატება ქალების იმავე მაჩვენებელს (24 პროცენტი). დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართული მოსახლეობისათვის, ამ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო 8.2 საათს შეადგენს. ეს მაჩვენებელი თბილისში 9.1 საათია, სხვა ქალაქებში - 8.6 საათი, ხოლო სოფლებში - 7.0 საათი. ყველა ტიპის დასახლებაში, კაცები, ქალებთან შედარებით დაახლოებით ერთი საათით მეტს ხარჯავენ დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე.
- ▶ **საკუთარი მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაში** მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალი (55.0 პროცენტი) სოფლებშია, ხოლო ყველაზე დაბალი (6.3 პროცენტი) თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტივობებში ქალებისა და კაცების მონაწილეობის დონე მეტნაკლებად ერთნაირია, საკუთარი მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე, როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში, კაცები ქალებთან შედარებით, საშუალოდ 1.5-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ. ორივე სქესის შემთხვევაში, ამ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო ასაკთან ერთად იზრდება 64 წლამდე, ხოლო 64 წლის შემდეგ ზრდა ნაკლებად გამოკვეთილია.
- ▶ **სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებში** ჩართულია ქალების 6.3 პროცენტი და კაცების 5.8 პროცენტი. მონაწილეობის დონე უფრო მაღალია თბილისსა და სხვა ქალაქებში (7.9 პროცენტი და 6.0 პროცენტი, შესაბამისად), ვიდრე სოფლებში (4.8 პროცენტი). ქალებშიც და კაცებშიც მონაწილეობის დონე და სწავლაზე დახარჯული დრო საგრძნობლად იკლებს 24 წლის ასაკის შემდეგ. უფრო ახალგაზრდა ასაკის (15-24 წლის) ქალები და კაცები სწავლაზე ხარჯავენ დღეში 2.3 საათს და 1.9 საათს, შესაბამისად. თბილისსა და სხვა ქალაქებში, 15-24 წლის ქალები, ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცებთან შედარებით, მეტ დროს ხარჯავენ სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. სოფლებში კი სურათი საპირისპიროა.
- ▶ საქართველოს მოსახლეობის 66 პროცენტი ჩართულია **აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაში**. ეს მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება ქალებისა (88.3 პროცენტი) და კაცებისათვის (39.6 პროცენტი). მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალია სოფლად მცხოვრებ

ქალებში (90.3 პროცენტი). საშუალოდ, საქართველოს მოსახლეობა დღეში 2.1 საათს ხარჯავს აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე, თუმცა, გენდერული სხვაობა საკმაოდ დიდია. ყველა ტიპის დასახლებაში კაცები ამ აქტივობებზე დღეში 0.7 საათს ხარჯავენ, ხოლო ქალების მიერ დახარჯული დრო 5-ჯერ მეტია სოფლებში (3.6 საათი დღეში) და 4.7-ჯერ მეტია თბილისსა და სხვა ქალაქებში (3.2 საათი დღეში). სრული დროით დასაქმებული ქალები აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე ხარჯავენ დღეში 2.7 საათს. ეს მაჩვენებელი 5-ჯერ აღემატება სრული დროით დასაქმებული კაცების შესაბამის მაჩვენებელს (0.5 საათი დღეში). ყველა ტიპის დასახლებაში ქალების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული დრო იზრდება ასაკის მატებასთან ერთად 64 წლამდე და შემდეგ იწყებს კლებას. ისეთი საოჯახო მოწყობილობები, როგორებიცაა სარეცხი მანქანა, მიკროტალღური ღუმელი და ჭურჭლის სარეცხი მანქანა, არ ცვლის აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე კაცების მიერ დახარჯულ დროს, მაგრამ ამცირებს ქალებისათვის.

- ▶ **აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობაში** ჩართულია ქალების 31.0 პროცენტი, რაც ორჯერ და მეტად აღემატება, კაცების ამავე მაჩვენებელს (14.5 პროცენტი). ორივე სქესისთვის მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალია 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში და მცირდება ასაკის მატებასთან ერთად. აუნაზღაურებელი ზრუნვის აქტივობებზე საქართველოს მოსახლეობა დღეში საშუალოდ 0.6 საათს ხარჯავს. ქალების მიერ დახარჯული დრო (0.9 საათი დღეში) 4.5-ჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს. უმუშევარი ქალები აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობაზე ხარჯავენ დღეში 1.4 საათს, ხოლო სრული დროით დასაქმებული ქალები - 0.6 საათს. სრული დროით დასაქმებული ქალების შემთხვევაშიც კი, მათ მიერ აუნაზღაურებელი ზრუნვის აქტივობებზე დახარჯული დრო (0.6 საათი დღეში) სამჯერ აღემატება სრული დროით დასაქმებული კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (0.2 საათი დღეში). განათლების უფრო მაღალი დონის მქონე ქალები აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობაზე მეტ დროს ხარჯავენ (0.9-1.1 საათი დღეში) განათლების უფრო დაბალი დონის მქონე ქალებთან შედარებით (0.4-0.7 საათი დღეში). აუნაზღაურებელი ზრუნვის აქტივობებზე დახარჯული დროის მიხედვით ყველაზე დიდი განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება.
- ▶ **აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობებზე** ქალების მიერ დახარჯული დროის წილი 17.8 პროცენტს შეადგენს, რაც 4.8-ჯერ აღემატება კაცების შესაბამის მაჩვენებელს (3.7 პროცენტი). გენდერული თანაფარდობა თბილისსა და სოფლებში მსგავსია (4.6 და 4.5, შესაბამისად), ყველაზე მაღალი კი, სხვა ქალაქებშია და 5.1-ს შეადგენს. დასახლების ტიპის მიუხედავად, ყველა ასაკობრივ ჯგუფში, აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობებზე ქალების მიერ დახარჯული დრო კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს ბევრად აღემატება, ამასთან, ყველაზე მაღალი 25-44 წლის ქალებშია.
- ▶ **მოხალისეობრივ და სხვა სახის აუნაზღაურებელ საქმიანობებზე** საქართველოს მოსახლეობა ძალიან ცოტა დროს ხარჯავს (0.1 საათი დღეში). ამ აქტივობებში ჩართულია მოსახლეობის მხოლოდ 2.6 პროცენტი. ამასთან, კაცების მონაწილეობის დონე (3.0 პროცენტი) უფრო მაღალია, ვიდრე ქალების (2.3 პროცენტი).
- ▶ **სოციალიზაციასთან დაკავშირებულ აქტივობებში** მოსახლეობის 59.0 პროცენტია ჩართული. ამასთან, ქალებისა და კაცების მონაწილეობის დონე მსგავსია. დასახლების ტიპის მიხედვით, მონაწილეობის დონე უფრო მაღალია თბილისსა და სხვა ქალაქებში, ვიდრე სოფლებში. ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება ამ აქტივობებში ჩართულობის დონე - 74.2 პროცენტიდან 53.3 პროცენტამდე. სამივე ტიპის დასახლებაში ამ აქტივობებს კაცები უფრო მეტ დროს უთმობენ (2.8 საათი დღეში), ვიდრე ქალები (2.1 საათი დღეში).
- ▶ **დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე** საქართველოს მოსახლეობა დღეში საშუალოდ 4.2 საათს ხარჯავს. კაცები საშუალოდ 4.7 საათს ხარჯავენ, რაც 0.8 საათით აღემატება ქალების ამავე მაჩვენებელს (3.9 საათი დღეში). ყველა ტიპის დასახლებაში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში ამ აქტივობებზე კაცები უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ქალები.



- ▶ **საკუთარ თავზე ზრუნვასთან დაკავშირებული აქტივობებიდან** ყველაზე მეტი დრო ძილზე იხარჯება. საშუალოდ, საქართველოს მოსახლეობა დღეში-ღამეში ძილს 9.1 საათს უთმობს, ჭამას და სმას - 1.5 საათს, ხოლო პირად ჰიგიენას და თავის მოვლას - 1.0 საათს. დასახლების ტიპის და სქესის მიხედვით, ამ მაჩვენებლების მნიშვნელობებს შორის მკვეთრი განსხვავება არ შეინიშნება.
- ▶ **აქტივობების განაწილების ტენდენციები 24 საათის განმავლობაში** გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობა დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართულია დილის 6 საათიდან და ღამის 12 საათამდე, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა 9 საათიდან 6 საათამდე მუშაობს. აუნაზღაურებელი ზრუნვის და საოჯახო საქმიანობები დილიდან იწყება, თუმცა პიკს 11 საათზე აღწევს და დღის ბოლომდე გრძელდება. მოსახლეობა სოციალიზაციასთან და დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში 12 საათიდან ერთვება, თუმცა მათი დიდი ნაწილი (40-50 პროცენტი) ამ აქტივობებში ჩართულია საღამოს საათებში (20:30 - 22:30).

საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მიერ დროის გამოყენება

- ▶ საქართველოში დედების 80.0 პროცენტი ჩართულია **ბავშვზე ზრუნვასთან** დაკავშირებულ აქტივობებში, რაც ორჯერ აღემატება მამების მონაწილეობის დონეს (37.6 პროცენტი). დედები ბავშვზე ზრუნვაზე კვირაში საშუალოდ 20.4 საათს ხარჯავენ (იგულისხმება ორივე - ძირითადი და პარალელური აქტივობები), რაც მამების მიერ დახარჯულ დროს (3.9 საათი) ხუთჯერ აღემატება. დედების შემთხვევაში, მათ მიერ დახარჯული დროის ნახევარზე მეტი (10.5 საათი) შვილებზე ფიზიკურ და ემოციურ ზრუნვას ეთმობა. მამების მიერ დახარჯული დროის ნახევარზე მეტი (2.2 საათი) ეთმობა შვილებთან თამაშს, კითხვასა და საუბარს. როგორც დედების, ასევე მამების შემთხვევაში, ყველა ტიპის დასახლებაში, ბავშვზე ზრუნვაზე დახარჯული დრო მცირდება ყველაზე უმცროსი შვილის ასაკის მატებასთან ერთად. სრული დროით დასაქმებული დედები ბავშვზე ზრუნვაზე დღეში 1.7 საათს ხარჯავენ, რაც 4.2-ჯერ აღემატება სრული დროით დასაქმებული მამების ანალოგიურ მაჩვენებელს (0.4 საათი).
- ▶ **ახალგაზრდების** (15-24 წლის) დროის განაწილება სხვადასხვა აქტივობაზე განსხვავებულია უფროსი ასაკის პირებთან შედარებით - მათ მეტი სძინავთ და მეტ დროს ხარჯავენ სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, მაგრამ ბევრად ნაკლებ დროს უთმობენ აუნაზღაურებელ ზრუნვის და საოჯახო საქმიანობას. ოჯახთან ერთად მცხოვრები ახალგაზრდები ყველაზე მეტ დროს შემდეგ აქტივობებზე ხარჯავენ: საკუთარ თავზე ზრუნვა და თავის მოვლა (51.0 პროცენტი), დასვენება და გართობა (17.0 პროცენტი), სოციალიზაცია (10.2 პროცენტი) და სწავლა (8.7 პროცენტი). ახალგაზრდა კაცებთან შედარებით, ახალგაზრდა ქალები ნაკლებ დროს ხარჯავენ ჩამოთვლილთაგან პირველ სამ აქტივობაზე, მაგრამ მეტ დროს უთმობენ სწავლასა და აუნაზღაურებელ ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობას.
- ▶ **65 წლის და უფროსი ასაკის ქალები და კაცები**, დასახლების ტიპის მიუხედავად, დროს მსგავსად ანაწილებენ. ისინი ძირითად დროს საკუთარ თავზე ზრუნვასა და თავის მოვლას, ასევე - დასვენებასა და გართობას უთმობენ. გენდერული განსხვავებები აღინიშნება შემდეგ აქტივობებში: აუნაზღაურებელ საქმიანობაზე კაცები უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ქალები (3.3 საათი და 1.6 საათი, შესაბამისად); აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე ქალები უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე კაცები (3.2 საათი და 1.0 საათი, შესაბამისად); გართობასა და დასვენებაზე კაცები უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ქალები (6.4 საათი და 5.4 საათი, შესაბამისად). როგორც კაცებში, ასევე ქალებში, დასვენება და გართობა ძირითადად მასმედიის გამოყენებას უკავშირდება.

- ▶ **შებლუდული შესაძლებლობების მქონე** ქალებისა და კაცების მონაწილეობა დასაქმებასა და სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებში იკლებს შებლუდების მატებასთან ერთად. სხვა აქტივობების შემთხვევაში საპირისპირო ტენდენციებია. შესაბამისად, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და კაცები, სხვებთან შედარებით, საშუალოდ ნაკლებ დროს ხარჯავენ დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე, ხოლო საკუთარი საჭიროებებისთვის პროდუქციის წარმოებას, პირიქით - მეტ დროს უთმობენ.
- ▶ ეთნიკურად ქართველი ქალები და კაცები შედარებით მეტ დროს ხარჯავენ ანაზღაურებად სამუშაოზე (დასაქმება და პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის), ვიდრე ქვეყანაში მცხოვრები **სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები**. ეთნიკურად ქართველ ქალებთან შედარებით სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ქალები აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე დღეში საშუალოდ 0.6 საათით მეტ დროს ხარჯავენ.

დროის გამოყენების სოციალური და პერსონალური განზომილებები

- ▶ საქართველოს მოსახლეობის 37.9 პროცენტის შეფასებით სამუშაო დღეები (ორშაბათი-პარასკევი) **სასიამოვნოა**, ხოლო 55.5 პროცენტის შეფასებით, **არც სასიამოვნოა და არც უსიამოვნო**. უქმე დღეებს (შაბათ-კვირა) მოსახლეობის უფრო დიდი წილი (43.0 პროცენტი) აფასებს სასიამოვნოდ. ზოგადად, უფრო დადებითია ქალების და ახალგაზრდების (15-24 წლის) შეფასება, ვიდრე კაცების და უფროსი ასაკის წარმომადგენლების. როგორც სამუშაო, ისე უქმე დღეებში, ყველაზე სასიამოვნო აქტივობებად სახელდება: (1) რეფლექსიასთან და დასვენებასთან დაკავშირებული აქტივობები; (2) სოციალიზაციასთან და შეკრებასთან დაკავშირებული აქტივობები; (3) ტელევიზიის/ვიდეოს ყურება/მოსმენა; (4) საკვების მიღება; (5) კოლექტიურ რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა; (6) საუბარი, კომუნიკაცია; (7) სკოლაში/უნივერსიტეტში სიარული; (8) ბავშვებთან თამაში და სპორტი.
- ▶ მთლიანობაში, **დროის ზეწოლას** (ფიქრობს, რომ ყოველთვის ჩქარობს) უფრო მეტი ქალი განიცდის, ვიდრე კაცი (32.6 პროცენტი და 25.1 პროცენტი, შესაბამისად). აღნიშნული გენდერული განსხვავება შეინიშნება ყველა ტიპის დასახლებაში. გარდა ამისა, ქალებიც და კაცებიც, დროის სიმცირეს თბილისში უფრო გრძნობენ (38.1 პროცენტი და 28.0 პროცენტი, შესაბამისად), ვიდრე სხვა ქალაქებში და სოფლებში. ასევე, სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია სრული დროით დასაქმებული პირების შემთხვევაში.
- ▶ **მუშაობა-დასვენების ბალანსი** ქალებისთვის უფრო ნაკლებია, ვიდრე კაცებისთვის. ქალების სამუშაო დრო საშუალოდ 1.8-ჯერ აღემატება დასვენების დროს. კაცებში ეს მაჩვენებელი 1.2-ს შეადგენს (გენდერული თანაფარდობა - 1.5). ასაკის მიხედვით, მუშაობა-დასვენების ბალანსი ყველაზე ნაკლებია 25-34 და 35-44 ასაკობრივ ჯგუფებში. ამასთან, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფებში ყველაზე მაღალია გენდერული თანაფარდობა. 10 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვის დედები საშუალოდ 3.7-ჯერ მეტს მუშაობენ, ვიდრე ისვენებენ, მამები კი - 2.2-ჯერ მეტს.

შესავალი



ქალები და კაცები ყოველდღიურად სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ. მათ შორისაა ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი სამუშაო, საოჯახო საქმე, ზრუნვა, მოხალისეობრივი საქმიანობა, სწავლა, კულტურული და სპორტული აქტივობები, სოციალიზაცია, დასვენება, თავის მოვლა და ა.შ. სხვადასხვა აქტივობაზე ქალებისა და კაცების მიერ დახარჯული დროის შესახებ მონაცემები საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ გენდერული განსხვავებები დროის გამოყენების თვალსაზრისით.

დროის გამოყენების გამოკვლევა (TUS) წარმოადგენს შინამეურნეობების გამოკვლევას, რომლის საშუალებითაც გროვდება მონაცემები, თუ რა აქტივობებზე და რამდენ დროს ხარჯავენ ქალები და კაცები დღის განმავლობაში. აღნიშნული გამოკვლევა ერთადერთი წყაროა მდგრადი განვითარების მიზნის (SDG) 5.4 ამოცანის **„აუნაზღაურებელი ზრუნვის და საოჯახო შრომის აღიარება და დაფასება საჯარო მომსახურებების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფით და შინამეურნეობაში და ოჯახში გაზიარებული პასუხისმგებლობის წახალისებით“** შესრულების პროგრესის შესაფასებლად. მისი შესრულების მონიტორინგი ხორციელდება 5.4.1 ინდიკატორის მეშვეობით: **„აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით“**. TUS-ის მონაცემები საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავაანალიზოთ ქალების შრომის წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში, დროითი სიღარიბე¹ და დროის განაწილების გავლენა ცხოვრების ხარისხზე. ამგვარი მონაცემები ასევე ხელს უწყობს საოჯახო წარმოების შეფასებას და მისი ინტეგრაციის შესაძლებლობას ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში.

TUS-ის მნიშვნელობა და გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ SDG 5.4.1 ინდიკატორის წარმოებით. ის ასევე მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მიზნების სხვა ინდიკატორების შესაფასებლადაც. TUS-ის მონაცემების გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკური სიღარიბისა (SDG 1) და დროით სიღარიბეს შორის კავშირის გასაანალიზებლად. დროის გამოყენების გამოკვლევა შეიძლება სასარგებლო იყოს მდგრადი განვითარების ბევრი სხვა ამოცანის შესრულების პროგრესის შესაფასებლად, რადგან: „ჯანდაცვის მომსახურების დიდი ნაწილი გაწეულია შინამეურნეობების მიერ (SDG 3), და ამ აქტივობების შესრულება, ზოგადად, ქალებს ეკისრებათ; ბავშვთა ადრეული განათლების მომსახურების (SDG 4) მიწოდება არა მხოლოდ ამზადებს ბავშვებს დაწყებითი განათლების მისაღებად, არამედ მათ მომვლელ პირებს უთავისუფლებს დროს; ქალებს და კაცებს შორის შრომის განაწილება გენდერული თანასწორობის სტრუქტურული ბარიერია (SDG 5, 8 და 10); სასმელი წყლის, ელექტროენერჯის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არქონა, ზრდის აუნაზღაურებელი შრომის დროს და არაპროპორციულ გავლენას ახდენს ქალებზე (SDG 6, 7, 9, 11)“². დროის გამოყენების გამოკვლევებს საკვანძო მნიშვნელობა აქვთ როგორც აუნაზღაურებელი შრომის აღიარებისა და გადანაწილებისთვის, ასევე იმ საჯარო პოლიტიკის შემუშავებისთვის, რომელიც ეხება ზრუნვის სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას, ზრუნვასთან დაკავშირებული შრომის გადანაწილებას ოჯახის წევრებს შორის, აგრეთვე, ამ შრომის გადანაწილებას კერძო და სახელმწიფო სექტორებზე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში დროის გამოყენების 250-ზე მეტი გამოკვლევა ჩატარდა. ბევრი ინდუსტრიული ქვეყანა, მათ შორის აშშ, კანადა, ავსტრალია და ბევრი ევროპული ქვეყანა, რეგულარულად აგროვებს და აქვეყნებს დროის გამოყენების მონაცემებს. მაგალითად, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა ჯერ კიდევ 1920-იან წლებში დააფინანსა დროის გამოყენების პირველი გამოკვლევა. ამგვარი გამოკვლევები სულ უფრო მეტ განვითარებულ ქვეყანაში ტარდება^{3,4}.

1.1 საქართველოში დროის გამოყენების გამოკვლევის მიზნები

დროის გამოყენების გამოკვლევის ჩატარება საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის (NSDS) ერთ-ერთი მიზანია⁵. ამ მიზნის შესაბამისად, დროის გამოყენების პირველი გამოკვლევა ჩატარდა 2020-2021 წლებში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ. გამოკვლევის მხარდამჭერები იყვნენ ნორვეგიის მთავრობის მიერ დაფინანსებული „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ პროექტი და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფლაგმანი პროგრამა - „თითოეული ქალი და გოგო მნიშვნელოვანია“. სხვა ქვეყნებთან შესადარისი დროის გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოების გარდა, გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა მდგრადი განვითარების მიზნის 5.4 ამოცანის - „აუნაზღაურებელი ზრუნვის და საოჯახო შრომის აღიარება და დაფასება საჯარო მომსახურებების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფით და შინამეურნეობაში და ოჯახში გაზიარებული პასუხისმგებლობის წახალისებით“ საბაზისო ინდიკატორის (SDG 5.4.1) გაანგარიშება.

GTUS-ის დიზაინი შემუშავებულია შემდეგი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად:

მიზნები:

- 1 საერთაშორისო დონეზე შესადარისი დროის გამოყენების მონაცემების წარმოება.
- 2 საქართველოში გენდერული სტატისტიკის განვითარება.
- 3 მდგრადი განვითარების მიზნის ინდიკატორისთვის 5.4.1 (არაანაზღაურებად საოჯახო და ზრუნვის შრომაზე დახარჯული დროის წილი სქესის, ასაკის და დასახლების ტიპის მიხედვით) მონაცემების შეგროვება.
- 4 გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მონაცემებით უზრუნველყოფა.

ძირითადი ამოცანები:

- 1 გენდერული უთანასწორობის ანალიზი ანაზღაურებად და არაანაზღაურებად შრომაზე ქალების და კაცების მიერ დახარჯული დროის/დროის განაწილების საფუძველზე. მონაცემები საშუალებას იძლევა მიღებული იქნას დამატებითი მონაცემები სამუშაო ძალის, კერძოდ არაფორმალური და დამხმარე საქმიანობების შესახებ და შეფასდეს მათი ეკონომიკური ღირებულება.
- 2 ქალების და კაცების მიერ აუნაზღაურებელ შრომაზე, მათ შორის ზრუნვის შრომაზე (მოიცავს ბავშვის მოვლას და მეთვალყურეობას) დახარჯული დროის შეფასება; მონაცემები იძლევა საშუალებას განისაზღვროს აუნაზღაურებელი შრომის ეკონომიკური ღირებულება, რაც მნიშვნელოვანია ქალების მიერ ქვეყნის ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესაფასებლად და აუნაზღაურებელი შრომის სატელიტური ანგარიშების წარმოებისათვის.

- 3 შინამეურნეობებში ქალებს და კაცებს შორის შრომის გადანაწილების შესწავლა და ანალიზი. მონაცემები საშუალებას იძლევა გაანალიზდეს აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის შრომის გადანაწილება შინამეურნეობის წევრებს შორის.

მეორადი ამოცანები:

- 1 ბებია-ბაბუების, მშობლების და დაძმების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის შრომაში (ბავშვების მოვლა და ა.შ.) შეტანილი წვლილის შეფასება.
- 2 ინფორმაციის მიღება ეკონომიკური აქტივობების შესახებ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის (მაგალითად, სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა).
- 3 შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის მიერ განხორციელებული საქმიანობების შესწავლა და შეფასება იმისა, თუ როგორ გავლენას ახდენს ქალების დატვირთვაზე და პროდუქტიულობაზე საცხოვრებელი პირობები (მაგალითად, ხელმისაწვდომობა სარეცხ მანქანაზე და ა.შ.).
- 4 ქალების მიერ განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო აქტივობების შესწავლა და ანალიზი.
- 5 შეფასება იმისა თუ რამდენად ურთიერთობს მოსახლეობა თავის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან.
- 6 მოსახლეობის შრომისა და დასვენების ბალანსის შესწავლა. კერძოდ, იმის ანალიზი თუ როგორ ანაწილებს მოსახლეობა დროს ანაზღაურებად სამუშაოს, აუნაზღაურებელ სამუშაოს, ოჯახსა და დასვენებას შორის..
- 7 მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ცხოვრების შესწავლა. თუ როგორ ატარებენ თავისუფალ დროს და რა განსხვავებები შეინიშნება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში ამ კუთხით.
- 8 ქალებისა და კაცების მიერ სწავლაზე/განათლებაზე დახარჯული დროის შეფასება.
- 9 მოსახლეობის მიერ მგზავრობაზე დახარჯული დროის შესწავლა, სატრანსპორტო პოლიტიკის ინფორმირების მიზნით.

წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია GTUS-ის ძირითადი მიგნებები. ანგარიში იწყება შესავლითა და გამოკვლევის მეთოდოლოგიის მოკლე მიმოხილვით და შედგება სამი ნაწილისგან, სადაც წარმოდგენილია დროის გამოყენების ძირითადი ინდიკატორები, როგორებიცაა აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო და აქტივობებში ჩართული მოსახლეობის წილი (მონაწილეობის დონე) სქესის, დასახლების ტიპის და მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით.

ანგარიშის მეორე ნაწილში განხილულია მოსახლეობის დროის გამოყენების მაჩვენებლები დროის შემდეგი ოთხი ტიპის მიხედვით - ხელშეკრულებებთან, ვალდებულებებთან, აუცილებლობასთან დაკავშირებული და თავისუფალი დრო. ამ ნაწილში წარმოდგენილია მდგრადი განვითარების მიზნის 5.4.1 ინდიკატორი. ასევე, გაანალიზებულია მგზავრობაზე დახარჯული დრო და აქტივობების განაწილების ტენდენციები 24 საათის განმავლობაში.

ანგარიშის მესამე ნაწილში განხილულია დროის გამოყენება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მიერ, როგორებიცაა მშობლები, ახალგაზრდები, ასაკოვანი პირები, შშმ პირები და ეთნიკური ჯგუფები.

მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია მოსახლეობის დროსთან და აქტივობებთან დაკავშირებული გამოცდილებები - ვისთან ერთად ატარებენ დროს; დღის ზოგადი შეფასება; დღის განმავლობაში სასიამოვნოდ, უსიამოვნოდ და სტრესულად მიჩნეული აქტივობები და მუშაობა-დასვენების ბალანსი.

GTUS-ის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ძირითად და მეორად ამოცანებში აღწერილი თემების გაანალიზება. თუმცა, ამ ანგარიშში ყველა ამ შეკითხვაზე არ არის პასუხი გაცემული და GTUS-ის მიზნებში ჩამოყალიბებულ ზოგიერთ კითხვაზე საპასუხოდ საჭიროა დამატებითი ანალიზი.

ანგარიშს თან ახლავს რამდენიმე დანართი: ანგარიშში გამოყენებული ძირითადი ტერმინოლოგია (დანართი A), გამოკვლევის მეთოდოლოგია (დანართი B), გამოკვლევის ინსტრუმენტარი (დანართი C), GTUS-ში გამოყენებული აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაცია (დანართი D) და დეტალური ცხრილები (დანართი E).

1.2 GTUS-ის მეთოდოლოგია

საქართველოში დროის გამოყენების გამოკვლევა 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრის პერიოდში ჩატარდა. გამოკვლევამ მოიცვა კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, შემდეგი გამონაკლისების გარდა:

- ▶ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი) მცხოვრები მოსახლეობა.
- ▶ ქვეყნის ინსტიტუციურ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა.

GTUS 2020/2021-ით შეგროვდა მონაცემები შინამეურნეობისა და ინდივიდების სხვადასხვა მახასიათებელზე და მოსახლეობის მიერ, სამუშაო დღეების (ორშაბათი-პარასკევი) და შაბათ-კვირის განმავლობაში, სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის შესახებ. კითხვარების და დღიურის შემუშავება დაეფუძნა ჰარმონიზებული ევროპული დროის გამოყენების გამოკვლევის სახელმძღვანელოს (HETUS 2018)⁶ და ადაპტირდა საქართველოს კონტექსტისა და GTUS-ის მიზნების გათვალისწინებით. აქტივობების კლასიფიკაცია და კოდირება განხორციელდა დროის გამოყენების სტატისტიკის აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICATUS, 2016) გამოყენებით.⁷

1.2.1 GTUS-ის ინსტრუმენტარი

შინამეურნეობების და ინდივიდების შესახებ მონაცემები ინტერვიუების მიერ რესპონდენტების გამოკითხვის გზით, შინამეურნეობისა და ინდივიდუალური კითხვარების გამოყენებით შეგროვდა. გარდა ამისა, რესპონდენტებს უნდა შეეცნოთ ორი დროის გამოყენების დღიური წინასწარ დადგენილი ორი დღისათვის - ერთი სამუშაო დღისათვის (ორშაბათი-პარასკევი) და ერთი უქმე დღისათვის (შაბათი და კვირა).

შინამეურნეობის კითხვარით შეგროვდა მონაცემები შინამეურნეობის წევრების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია შინამეურნეობის წევრებს შორის მიმართების, შინამეურნეობების წევრების სქესის, ასაკის და ფუნქციონალური სირთულეების შესახებ. ასევე შეგროვდა ინფორმაცია შინამეურნეობის მიერ მიღებულ ზრუნვის და საოჯახო მომსახურებებზე, შინამეურნეობის შემოსავლებზე, საოჯახო ტექნიკით და ავტომობილით სარგებლობაზე, ინტერნეტთან წვდომაზე, საცხოვრებელში არსებულ გათბობის სისტემაზე და ა.შ.

ინდივიდუალური კითხვარით შეგროვდა მონაცემები 15 წლის და უფროსი ასაკის შინამეურნეობის წევრების შემდეგ მახასიათებლებზე: სქესი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, განათლების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფუნქციონალური სირთულეები, სამუშაო ძალის სტატუსი, ეკონომიკური საქმიანობის სახე, სამუშაო საათების რაოდენობა და ა.შ.

დროის გამოყენების დღიურით შეგროვდა შემდეგი მონაცემები:

- ▶ რას აკეთებდა რესპონდენტი დღის განმავლობაში დილის 04:00 საათიდან შემდეგი დღის დილის 04:00 საათამდე 10 წუთიანი ინტერვალებით [ძირითადი აქტივობა]
- ▶ ვისთვის სრულდებოდა ეს აქტივობა [ვისთვის]
- ▶ ძირითადი აქტივობის პარალელურად შესრულებული აქტივობა [პარალელური აქტივობა]
- ▶ აქტივობის დროს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება [IT]
- ▶ სად იმყოფებოდა რესპონდენტი აქტივობის განხორციელების დროს, ან გადაადგილების/სატრანსპორტო საშუალება მოძრაობის შემთხვევაში [ადგილი/ტრანსპორტი]

- ▶ ვისთან ერთად იმყოფებოდა რესპონდენტი აქტივობის განხორციელების დროს [ვისთან ერთად]

კითხვარები და დღიური ითარგმნა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. გამოკვლევის ინსტრუმენტარი წარმოდგენილია დანართ C-ში.

1.2.2 შერჩევის დიზაინი

რესპონდენტების შერჩევა

გამოკვლევის დიზაინი შემუშავდა ისე, რომ მიღებული მონაცემები რეპრეზენტატულია როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე დასახლების სამი ტიპისათვის: თბილისი, სხვა ქალაქები და სოფლები. თბილისის შემთხვევაში პირველადი შერჩეული ერთეულების (PSU) სტრატეგიკაცია არ მომხდარა, დანარჩენი ორი დასახლების ტიპისათვის (სხვა ქალაქები და სოფლები) გამოიყო სამი სტრატა, რაც დაეფუძნა რეგიონების დაჯგუფებას.

GTUS-ის შერჩევის დიზაინი წარმოადგენს სამსაფეხურიან სტრატეგიკირებულ შემთხვევით შერჩევას დასახლების თითოეული ტიპისათვის: (1) PSU-ები შეირჩა ზომის პროპორციული ალბათობის მეთოდით; (2) შერჩეულ PSU-ებში შერჩევა განხორციელდა სისტემატური შერჩევის პრინციპით; (3) შერჩეულ შინამეურნეობებში შეირჩა 15 წლის და უფროსი ასაკის ყველა წევრი, რომელთაც უნდა შეეფასათ ორი დროის გამოყენების დღიური - ერთი სამუშაო დღისათვის (ორშაბათი-პარასკევი), მეორე უქმე დღისათვის (შაბათი და კვირა).

შერჩევის განაწილება დროში

შერჩეული PSU-ები 52 კვირაზე გადანაწილდა - 2020 წლის 7 სექტემბრიდან 2021 წლის 5 სექტემბრამდე პერიოდზე. სამივე ტიპის დასახლებაში, თითოეული კვირისათვის, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა ორი PSU. შესაბამისად, ყოველი კვირისათვის ქვეყნის მასშტაბით შეირჩა ექვსი PSU.

შერჩეული შინამეურნეობების წევრები ავსებდნენ დროის გამოყენების ორ დღიურს, მოცემული PSU-სთვის შერჩეული კვირის წინასწარ დადგენილი ორი დღისთვის: ერთს - სამუშაო დღისათვის (ორშაბათი-პარასკევი), ხოლო მეორეს - უქმე დღისათვის (შაბათი და კვირა).

შერჩევის ზომა

შერჩევის დიზაინი და შერჩევის ზომა საკმარისია ეროვნულ დონეზე, ასევე, მოსახლეობის შედარებით დიდი ჯგუფებისათვის კლასიფიკატორით განსაზღვრულ მსხვილ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დროის გასაანალიზებლად.

გამოკვლევისათვის ქვეყნის მასშტაბით 3,680 შინამეურნეობა შეირჩა და 6,074 რესპონდენტი (15 წლის და უფროსი ასაკის პირი) გამოიკითხა, რომელთაც სულ 5,721 სამუშაო დღისთვის განკუთვნილი და 5,713 უქმე დღისთვის განკუთვნილი დღიური შეავსეს.

გამოპასუხების დონე

გამოკვლევაში შინამეურნეობების გამოპასუხების დონემ 63.3 პროცენტი შეადგინა. გამოპასუხების დონე გაანგარიშებულია, როგორც გამოკითხული შინამეურნეობების წილი შერჩეული შინამეურნეობების მთლიან რაოდენობაში. გამოპასუხების დონე განსხვავებულია დასახლების ტიპის მიხედვით: ყველაზე დაბალი გამოპასუხების დონე თბილისში დაფიქსირდა და 49.2 პროცენტი შეადგინა. სხვა ქალაქებში გამოპასუხების დონე 66.5 პროცენტი იყო, ხოლო სოფლებში 80.8 პროცენტი.

1.2.3 ტრენინგი და პილოტი

საპილოტე გამოკვლევის სავსე სამუშაოებისათვის, ინტერვიუების ტრენინგი 2020 წლის აგვისტოში ჩატარდა, ხოლო, ძირითადი ტრენინგი ჩატარდა სექტემბერში - ძირითადი სავსე სამუშაოების დაწყებამდე. ტრენინგები ჩაატარეს საერთაშორისო ექსპერტმა და საქსტატის სათაო ოფისის თანამშრომლებმა. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა დროის გამოყენების გამოკვლევის მეთოდოლოგია, მიზნები და ამოცანები, სავსე სამუშაოების პროცედურები, ეთიკური სტანდარტები და აქტივობების კლასიფიკაცია. ძირითადი ტრენინგი მოიცავდა სავსე პრაქტიკას ორი დღის განმავლობაში.

საპილოტე გამოკვლევა ჩატარდა თბილისის, სხვა ქალაქებისა და სოფლების 80 შინამეურნეობაში. პილოტის ფარგლებში განხორციელდა კითხვარების და დროის გამოყენების დღიურის, სავსე პროცედურების, CAPI-ისთვის გამოყენებული სისტემის, დღიურების კოდირებისა და შესაბამისი მონაცემების შეყვანის ტესტირება. საპილოტე გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, სავსე სამუშაოს დაწყებამდე, მცირედით შეიცვალა და განახლდა კითხვარები, დროის გამოყენების დღიური და სავსე პერსონალის სახელმძღვანელოები.

კოდირების ჯგუფის წევრებმა დამატებით გაიარეს საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩატარებული ტრენინგი.

1.2.4 სავსე სამუშაოები და ხარისხის კონტროლი

GTUS-ის სავსე სამუშაოები 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით, 12 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. გამოკვლევაში დაახლოებით 80 ინტერვიუერი მონაწილეობდა. მონაცემები შეგროვდა ორი მეთოდის კომბინაციით: (1) პირისპირი ინტერვიუ პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით (CAPI) და (2) თვითადმინისტრირებადი დღიური. შინამეურნეობების და ინდივიდუალური კითხვარები შეივსო CAPI მეთოდის გამოყენებით, ხოლო დროის გამოყენების მონაცემები შეგროვდა ქაღალდის დღიურების საშუალებით.


ზამთარში, COVID-19 ინფექციის მაღალი დონის და მკაცრი შეზღუდვების დროს, რესპონდენტებს დაურიგდათ საინფორმაციო ფურცლები GTUS-ის შესახებ და ეცნობათ, რომ მათი სურვილის შემთხვევაში, შინამეურნეობის და ინდივიდუალურ ინტერვიუებს, ინტერვიუერი პირისპირ გამოკითხვის ნაცვლად, სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით ჩაატარებდა.

1.2.5 შეგროვებული მონაცემების მართვა და ანალიზი

შინამეურნეობისა და ინდივიდუალური კითხვარების მონაცემები საქსტატის სათაო ოფისში ელექტრონული ფორმით იგზავნებოდა. მათი რედაქტირება შინამეურნეობების გამოკვლევისთვის არსებული სტანდარტული მეთოდით განხორციელდა. დროის გამოყენების დღიურების დამუშავება და კოდირება „გაეროს სახელმძღვანელო დროის გამოყენების სტატისტიკის წარმოებისათვის“⁸ და „გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის სახელმძღვანელო დროის გამოყენების გამოკვლევის ჰარმონიზაციისათვის“⁹ სტანდარტული საფეხურების და პრინციპების შესაბამისად განხორციელდა.

წინასწარ განსაზღვრული ძირითადი ინდიკატორების გასაანგარიშებლად, მონაცემები გაანალიზდა Microsoft Access და STATA კომპიუტერული პროგრამების საშუალებით.

2020-2021 წლების GTUS-დან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში დროის გამოყენების ანალიზისთვის გამოყენებული იყო დაგფინ ესის მიერ შემუშავებული დროის ოთხმაგი ტიპოლოგია¹¹. ამ თეორიული ჩარჩოს მიხედვით, არსებობს დროის ოთხი ტიპი: (1) **აუცილებლობასთან დაკავშირებული დრო (necessary time)**, რომელიც ემსახურება ძირითად ფიზიოლოგიურ საჭიროებებს, როგორცაა ძილი, კვება, პირადი ჰიგიენა და ა.შ.; (2) **ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დრო (contracted time)** - უკავშირდება შრომას შემოსავლის მიღების მიზნით, რეგულარულ სასწავლო აქტივობებში ჩართულობას და ა.შ.; (3) **ვალდებულებებთან დაკავშირებული დრო (committed time)** - როდესაც პირს გააჩნია რაიმე სახის ვალდებულება, როგორცაა აუნაზღაურებელი ზრუნვა და საოჯახო საქმე, მოხალისეობრივი საქმიანობა და ა.შ. და (4) **თავისუფალი დრო (free time)** - დანარჩენი აქტივობები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ დროის სამ ტიპში (ჩანართი 2.1.).

ჩანართი 2.1			
დროის ტიპოლოგიები ICATUS კლასიფიკატორის მიხედვით			
კოდი	აქტივობის ძირითადი ჯგუფი	დროის ტიპი	
1	 დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები	ხელშეკრულებებთან დაკავშირებული	
2	 პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	ხელშეკრულებებთან დაკავშირებული	
3	 შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება	ვალდებულებებთან დაკავშირებული	
4	 შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება	ვალდებულებებთან დაკავშირებული	
5	 სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა	ვალდებულებებთან დაკავშირებული	
6	 სწავლა	ხელშეკრულებებთან დაკავშირებული	
7	 სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო და რელიგიურ აქტივობებში მონაწილეობა	თავისუფალი	
8	 კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა	თავისუფალი	
9	 საკუთარ თავზე ზრუნვა და თავის მოვლა	აუცილებლობასთან დაკავშირებული	

1.2.6 შეწონვა

საწყისი შინამეურნეობის და პერსონალური წონები წარმოადგენს შერჩევაში მოხვედრის ალბათობის შეზღუდვას. საბოლოო წონების მისაღებად, საწყისი წონები დაკორექტირდა გამოუქასუხებლობის და მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით. დღიურის წონები გაანგარიშდა საბოლოო პერსონალური წონების საფუძველზე, გამოუქასუხებლობის გათვალისწინებით.

ამ ანგარიშში წარმოდგენილი ძირითადი მაჩვენებლები შეწონილი მაჩვენებლებელია (განგარიშებულია წონების გამოყენებით). უფრო დეტალური ინფორმაცია GTUS-ში გამოყენებული ცნებების განმარტებებისა და გამოკვლევის მეთოდოლოგიის შესახებ (კოდირება, რედაქტირება, დამუშავება და განგარიშების ფორმულები) მოცემულია დანართებში A და B.

1.2.7 გამოკვლევის შეზღუდვები

გამოკვლევის სავსე სამუშაოები COVID-19-ის პანდემიას დაემთხვა, როდესაც მოქმედებდა გადაადგილებასა და საჯარო შეკრებებზე დაწესებული მთელი რიგი შეზღუდვები. 2020 წელს, პანდემიის სამართავად გატარებულ ზომები მოიცავდა სასწავლო დაწესებულებების და ისეთი საჯარო დაწესებულების დახურვას, როგორებიცაა მაღაზიები, რესტორნები და სხვა სამუშაო ადგილები. შეზღუდვები დაწესდა საზოგადოებრივ და კერძო ტრანსპორტზე, აიკრძალა საჯარო შეკრებები, დაწესდა კომენდანტის საათი ღამით და დროის გარკვეულ მონაკვეთებში ჩაიკეტა მთავარი ქალაქები. აღნიშნული შეზღუდვები ხშირად იცვლებოდა და განსხვავდებოდა რეგიონების მიხედვით. COVID-19-ის პანდემიამ ასევე გავლენა მოახდინა ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობაზე: 2020 წელს, ქალებისა და კაცების ერთმა მესამედმა (32 პროცენტმა) განაცხადა სამსახურის დაკარგვის, ასევე ერთმა მესამედმა (32 პროცენტმა) სამუშაო საათების შემცირების შესახებ.¹⁰ ყველა ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იყოს GTUS-ის მიგნებების ინტერპრეტაციისას, მათ შორის ისეთი მიგნებების, რომლებიც ეხება დასაქმებას, მოგზაურობას, აუნაზღაურებელ სამუშაოს, სოციალურ და საზოგადოებრივ კომუნიკაციას და სხვა აქტივობებს, რომლებზეც პანდემიასა და მასთან დაკავშირებულ ზომებს შეეძლო გავლენის მოხდენა.

1.3 GTUS-ის რესპონდენტები და მათი მახასიათებლები







ამ ანგარიშში გამოყენებული მონაცემები მიღებულია 6,074 რესპონდენტის გამოკითხვის შედეგად. რესპონდენტებს შორის 55.6 პროცენტი იყო ქალი, ხოლო 44.4 პროცენტი - კაცი. რესპონდენტთა 31.9 პროცენტი თბილისში გამოიკითხა, 31.7 პროცენტი - სხვა ქალაქებში და 36.5 პროცენტი - სოფლებში.

ანგარიშში დროის გამოყენება გაანალიზებულია მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, როგორცაა სქესი, სამუშაო ძალის სტატუსი, განათლების დონე და ა.შ. გარდა ამისა, დროის გამოყენების მონაცემები გაანალიზებულია შშმ პირებისა და ეთნიკური ჯგუფებისათვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში (1.1) წარმოდგენილია რესპონდენტების რაოდენობა სქესისა და სხვადასხვა პერსონალური მახასიათებლის მიხედვით.

ცხრილი 1.1

GTUS 2020/2021-ის რესპონდენტების რიცხოვნობა სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (შუქონავი მონაცემები)

	მონაწილეების რაოდენობა			პროცენტული განაწილება		
	ქალი	კაცი	საერთო	ქალი	კაცი	საერთო
დასახლების ტიპი						
თბილისი	1,937	1,144	793	31.9	33.8	29.4
სხვა ქალაქები	1,923	1,086	837	31.7	32.1	31.1
სოფლები	2,214	1,150	1,064	36.5	34.0	39.5
საქართველო	6,074	3,380	2,694	100.0	100.0	100.0
ასაკობრივი ჯგუფები						
15-24	810	408	402	13.3	12.1	14.9
25-44	1,865	963	902	30.7	28.5	33.5
45-64	2,004	1,129	875	33.0	33.4	32.5
65-74	856	524	332	14.1	15.5	12.3
75+	539	356	183	8.9	10.5	6.8
სამუშაო ძალის სტატუსი						
სრული დროით დასაქმებული	2,191	993	1,198	36.1	29.4	44.5
არასრული დროით დასაქმებული	362	178	184	6.0	5.3	6.8
უმუშევარი	618	273	345	10.2	8.1	12.8
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	2,903	1,936	967	47.8	57.3	35.9
განათლების მიღწეული დონე						
უმაღლესი განათლება	1,905	1,126	779	31.4	33.3	28.9

	მონაწილეების რაოდენობა			პროცენტული განაწილება		
						
პროფესიული განათლება	1,238	771	467	20.4	22.8	17.3
სრული ზოგადი განათლების საფეხური (სრული საშუალო)	2,388	1,188	1,200	39.3	35.1	44.5
ზოგადი განათლების საბაზო საფეხური (არასრული საშუალო)	458	244	214	7.5	7.2	7.9
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	66	44	22	1.1	1.3	0.8
ზოგადი განათლების გარეშე	19	7	12	0.3	0.2	0.4
ეთნიკურობა						
ქართველი	5,441	3,015	2,426	89.6	89.2	90.1
აფხაზი	4	2	2	0.1	0.1	0.1
სომეხი	194	115	79	3.2	3.4	2.9
აზერბაიჯანელი	275	140	135	4.5	4.1	5.0
ოსი	47	28	19	0.8	0.8	0.7
რუსი	31	28	3	0.5	0.8	0.1
სხვა	82	52	30	1.4	1.5	1.1
შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი						
აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და უკიდურესი შეზღუდვა ძირითად აქტივობებში	150	77	73	2.7	2.5	2.9
აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და შეზღუდვა ძირითად აქტივობებში, მაგრამ არა უკიდურესად	357	224	133	6.4	7.3	5.3
აქვს შეზღუდული შესაძლებლობები/ ხანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, მაგრამ არ აქვს შეზღუდვა აქტივობებში	437	276	161	7.9	9.0	6.4
არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობები ან ხანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა	4,619	2,483	2,136	83.0	81.1	85.3

ზოგადი შენიშვნა:

ცალკეულ შემთხვევებში უმნიშვნელო განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

დროის გამოყენება საქართველოში




2.1 დროის გამოყენების

ტენდენციები: მიმოხილვა

ნახევარი დღე აუცილებლობასთან დაკავშირებული დროა. 2020-2021 წლებში საქართველოს მოსახლეობა, საშუალოდ, დღის განმავლობაში დროის 49 პროცენტს აუცილებლობასთან დაკავშირებულ აქტივობებს უთმობდა, 16 პროცენტს - ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ აქტივობებს, 12 პროცენტს - ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებს და 23 პროცენტს - თავისუფალი დროის აქტივობებს. დასახლების ტიპის მიხედვით დროის განაწილებაში მცირე განსხვავებები აღინიშნება (დიაგრამა 2.1).

დიაგრამა 2.1

24 საათის პროცენტული განაწილება, დასახლების ტიპის მიხედვით, პროცენტი




საქართველოს მოსახლეობის მიერ დღეში დახარჯული საათების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: აუცილებლობასთან დაკავშირებული დრო - 11.7 საათი, თავისუფალი დრო - 5.7 საათი, ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დრო - 3.8 საათი და ვალდებულებებთან დაკავშირებული დრო - 2.8 საათი (დიაგრამა 2.2 და ცხრილი E.2).

თბილისის მოსახლეობის შემთხვევაში, ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საშუალო დრო 3.9 საათი იყო, ხოლო სხვა ქალაქებში - 3.4 საათი. სხვა ქალაქების მოსახლეობას მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა - 5.9 საათი, ვიდრე თბილისისა და სოფლის მოსახლეობას - 5.5 და 5.6 საათი, შესაბამისად.

დიაგრამა 2.2

24 საათის განაწილება, დასახლების ტიპის მიხედვით, საათი დღეში




2.1.1 გენდერული განსხვავებები

აუცილებლობასთან დაკავშირებული დროის წილი კაცების და ქალების შემთხვევაში დაახლოებით ერთნაირია (49 პროცენტი), თუმცა დანარჩენ კატეგორიებზე დროის განაწილება განსხვავდება (დიაგრამა 2.3 და ცხრილი E.1).

ქალები, კაცებთან შედარებით ოთხჯერ მეტ დროს ხარჯავენ ვალდებულებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. ასევე, კაცები, ქალებთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტ დროს ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე ხარჯავენ. თავისუფალი დროის წილი კაცების შემთხვევაში 27 პროცენტია, ხოლო ქალების შემთხვევაში 21 პროცენტი.

დიაგრამა 2.3



24 საათის პროცენტული განაწილება, სქესის მიხედვით, პროცენტი





კაცები და ქალები დღეს სხვადასხვანაირად ატარებენ (დიაგრამა 2.4). კაცები დღეში 6.4 საათს უთმობენ თავისუფალ დროსთან დაკავშირებულ აქტივობებს, ქალები კი ამავე აქტივობებზე 5.1 საათს ხარჯავენ. ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე კაცები 4.9 საათს ხარჯავენ, ხოლო ქალები - 2.8 საათს. ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე კი ქალები კაცებთან შედარებით მეტ დროსი ხარჯავენ. ქალების შემთხვევაში ეს დრო დღეში საშუალოდ 4.3 საათია, ხოლო კაცების შემთხვევაში - 1.0 საათი.

დიაგრამა 2.4

24 საათის განაწილება, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, საათები დღეში





სხვადასხვა ტიპის დასახლებაში, დროის გამოყენების მაჩვენებლები სქესის მიხედვით თითქმის ერთნაირია. თუმცა, სხვა ქალაქებში მცხოვრები ქალები ნაკლებ დროს ხარჯავენ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე (2.5 საათი), ხოლო თბილისის მაჩვენებელი, ამ აქტივობებისთვის, საშუალოდ 30 წუთით მეტია. იგივე სურათია კაცების შემთხვევაშიც.


2.1.2 ასაკობრივი განსხვავებები

ყველა ასაკობრივ ჯგუფში, კაცებს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვთ, ხოლო ქალები უფრო მეტ დროს უთმობენ ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებს. საქართველოში მცხოვრები ქალები და კაცები დღის დაახლოებით 50 პროცენტს აუცილებლობასთან დაკავშირებულ აქტივობებზე ხარჯავენ. ახალგაზრდა (15-24 წლის) და ასაკოვან (65 წლის და უფროსი) კაცებში თავისუფალი დრო მათი მთელი დროის დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენს, ხოლო 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში თავისუფალ დროს დღის დაახლოებით 24 პროცენტი ეთმობა. ახალგაზრდა და ასაკოვან ქალებში კი თავისუფალი დროის წილი 24 პროცენტი და 27 პროცენტი, შესაბამისად.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში, გარდა ასაკოვანი პირების ჯგუფისა, ვალდებულებებთან დაკავშირებული დრო ქალებში დაახლოებით ხუთჯერ აღემატება კაცების შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო ასაკოვანი პირების ჯგუფში - სამჯერ. ქალების მიერ ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული დროის წილი ყველაზე ნაკლებია ახალგაზრდა ქალებში და 10.9 პროცენტს შეადგენს, ხოლო ყველაზე მაღალია 25-44 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში - 23.4 პროცენტი. კაცებში ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული დროის წილი ყველაზე ნაკლებია ახალგაზრდა კაცებშია - 1.7 პროცენტი და ყველაზე მაღალი ასაკოვან კაცებში - 5.0 პროცენტი (დიაგრამა 2.5 და ცხრილი E.3).

დიაგრამა 2.5



24 საათის პროცენტული განაწილება, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი




საერთო ჯამში, ეს ტენდენციები მსგავსია დასახლების ყველა ტიპისთვის (დიაგრამა 2.6). თუმცა, ვალდებულებებთან დაკავშირებული დრო განსხვავებულია ქალაქსა და სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდა ქალებს შორის. თბილისისათვის ეს მაჩვენებელი დღეში 1.7 საათს შეადგენს, ხოლო სასოფლო დასახლებებისათვის 3.8 საათია (ცხრილი E.4).

ღიაზრამა 2.6

24 საათის განაწილება დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში




სხვა ქალაქები: ქალები




- აუცილებლობასთან დაკავშირებული
- ხელშეკრულებებთან დაკავშირებული
- ვალდებულებებთან დაკავშირებული
- თავისუფალი

სხვა ქალაქები: კაცები




- აუცილებლობასთან დაკავშირებული
- ხელშეკრულებებთან დაკავშირებული
- ვალდებულებებთან დაკავშირებული
- თავისუფალი


სოფლები: 🏠 ქალები



-  აუცილებლობასთან დაკავშირებული
-  სელშეკრულებებთან დაკავშირებული
-  ვალდებულებებთან დაკავშირებული
-  თავისუფალი

სოფლები: 🏠 კაცები











-  აუცილებლობასთან დაკავშირებული
-  სელშეკრულებებთან დაკავშირებული
-  ვალდებულებებთან დაკავშირებული
-  თავისუფალი

2.2 ხელშეკრულებათან დაკავშირებული დრო

ხელშეკრულებათან დაკავშირებული დრო მოიცავს შემდეგ აქტივობებზე დახარჯულ დროს: დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები (ICATUS 1), პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის (ICATUS 2) და სწავლა (ICATUS 6). აქტივობების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია დანართში D.



2.2.1 დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები

ჩანართი 2.2	
დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები (ICATUS-ის კოდები 11-18)	
	დასაქმება კორპორაციებში, სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებში
	დასაქმება საოჯახო საწარმოებში პროდუქციის წარმოების მიზნით
	შინამეურნეობაში და საოჯახო საწარმოებში დასაქმება მომსახურების გაწევის მიზნით
	დასაქმებასთან დაკავშირებული დამხმარე აქტივობები და შესვენებები
	დასაქმებასთან დაკავშირებული გადამზადება და სწავლა
	სამუშაოს ძებნა
	ბიზნესის შექმნა
	სამუშაოსთან დაკავშირებული მოგზაურობა და მგზავრობა

საშუალოდ, საქართველოს მოსახლეობა დღეში 2.6 საათს ხარჯავს დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. (დიაგრამა 2.7 და ცხრილი E.5a). თუმცა, შეინიშნება განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვით. დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე თბილისის მოსახლეობა ხარჯავს დღეში 3.4 საათს, ხოლო სოფლის მოსახლეობა - 1.9 საათს.

ღიაზრამა 2.7

დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, საათი დღეში



დასახლების ყველა ტიპში კაცები დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე ქალებთან შედარებით ორჯერ მეტ დროს ხარჯავენ. როგორც კაცების, ასევე ქალების შემთხვევაში, მათ მიერ დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული დროის 88 პროცენტი მოდის მათ ძირითად სამუშაოზე. (ცხრილი E.5b).


ამ რიცხვების ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია, რომ მონაცემები დათვლილია საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის, მათ შორის არიან უმუშევრები, სტუდენტები, პენსიონერები და ა.შ. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად იცვლება თუ დახარჯულ დროს მხოლოდ ამ აქტივობებში ჩართული პირებისათვის (მონაწილეები) გავაანალიზებთ.

დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართული პირები ამ აქტივობებზე დღეში საშუალოდ 8.2 საათს ხარჯავენ. თბილისში დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებს საშუალოდ 9.1 საათი ეთმობა, ხოლო სხვა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები პირები ამ აქტივობებზე შედარებით ნაკლებ დროს ხარჯავენ - 8.6 და 7.0 საათს, შესაბამისად.

სამივე ტიპის დასახლებაში კაცები დაახლოებით ერთი საათით მეტ დროს ხარჯავენ დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, ვიდრე ქალები. მონაცემები, ასევე, გვიჩვენებს, რომ, საშუალოდ, ორივე სქესისთვის, თბილისში მცხოვრები პირები ორი საათით მეტ დროს ხარჯავენ დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, ვიდრე სოფლებში მცხოვრები პირები (დიაგრამა 2.8).

დიაგრამა 2.8

დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში მოსახლეობის მონაწილეობის დონე, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, პროცენტი



დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალია თბილისში (37.0 პროცენტი) და სხვა ქალაქებში (31.8 პროცენტი). ყველა ტიპის დასახლებაში, კაცების მონაწილეობის დონე 1.7-ჯერ აღემატება ქალებისას. ეს განსხვავება ყველაზე თვალსაჩინოა თბილისში და 19 პროცენტულ პუნქტს შეადგენს (დიაგრამა 2.8. და ცხრილი E.6)..



ასაკის მატებასთან ერთად იცვლება დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული დრო. საშუალოდ, 25-64 წლის ქალები დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დღეში საშუალოდ 2.4 საათს ხარჯავენ, რაც აღემატება 15-24 წლის ქალების მიერ დახარჯულ დროს (1.2 საათი). 15-24 წლის ქალები მუშაობაზე დღეში საშუალოდ 8.1 საათს ხარჯავენ, ხოლო 64 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 6.4 საათამდე მცირდება.

15-24 წლის კაცები, დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დღეში საშუალოდ 1.9 საათს ხარჯავენ. 25-44 წლის კაცებში ეს დრო 4.7 საათამდე იზრდება, შემდგომ კი კლებას იწყებს და 45-64 წლის კაცებში 4.1 საათს შეადგენს, ხოლო 64 წელზე მეტი ასაკის კაცებისთვის 1.5 საათამდე მცირდება. რაც შეეხება 15-24 წლის დასაქმებულ კაცებს (მონაწილეები), ისინი დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე ხარჯავენ დღეში საშუალოდ 8.5 საათს. 25-44 წლის კაცებში ეს დრო იზრდება 8.9 საათამდე, შემდეგ კვლავ მცირდება 45-64 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის 8.5 საათამდე და 65 წლისა და უფროსი ასაკის კაცებისათვის - 7.5 საათამდე.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში, დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე ქალები კაცებთან შედარებით ნაკლებ დროს ხარჯავენ. სქესის მიხედვით ყველაზე დიდი განსხვავებაა 45 წლისა და უფროსი ასაკის დასაქმებულთა შორის - ამ ასაკობრივ ჯგუფში დასაქმებული კაცები ერთი საათით მეტს მუშაობენ, ვიდრე დასაქმებული ქალები (დიაგრამა 2.9 და ცხრილები E.7a და E.7b).

დიაგრამა 2.9






დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში



2.2.2 პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის

ჩანართი 2.3

პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის (ICATUS-ის კოდები 21-25)

	სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის
	პროდუქციის დამზადება და გადამუშავება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის
	სამშენებლო აქტივობები საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის
	წყლის და საწვავის მიწოდება საკუთარი შინამეურნეობისათვის ან საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის
	საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებისთვის პროდუქტების ან ადამიანების მგზავრობა, გადაადგილება, ტრანსპორტირება ან მათი თანხლება



საშუალოდ, საქართველოს მოსახლეობა დღეში 0.9 საათს ხარჯავს საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე (ცხრილი E.8a). ყველა ტიპის დასახლებაში ამ აქტივობებზე კაცები ქალებთან შედარებით 1.5-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ.

სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის ამ კატეგორიის ძირითადი საქმიანობებია (ცხრილი E.8b). გარკვეული განსხვავებები აღინიშნება დასახლების ტიპის მიხედვით. ამ საქმიანობებზე სოფლად მცხოვრები ქალებიც და კაცებიც უფრო მეტ დროს ხარჯავენ (10-ჯერ და 4-ჯერ მეტ დროს, შესაბამისად), ვიდრე თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრები ქალები და კაცები.

ამ საქმიანობაში ჩართული პირები (მონაწილეები), საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე დღეში საშუალოდ 3.1 საათს ხარჯავენ. სოფლებში მცხოვრები კაცები ამ აქტივობებს 3.9 საათს უთმობენ. სხვა ქალაქებსა და თბილისში კი ეს მაჩვენებელი ნაკლებია (3.3 საათი და 3.4 საათი, შესაბამისად). რაც შეეხება ქალებს, ისინი საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის პროდუქციის წარმოებაზე კაცებთან შედარებით საშუალოდ 36 წუთით ნაკლებს ხარჯავენ. დასახლების ტიპის მიხედვით არსებული განსხვავებები მსგავსია ქალებისა და კაცების შემთხვევაში (დიაგრამა 2.10).

დიაგრამა 2.10


საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, სათი დღეში



საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალია (55 პროცენტი) სოფლებში და ყველაზე დაბალი (6.3 პროცენტი) - თბილისში (დიაგრამა 2.11 და ცხრილი E.9). კაცებისა და ქალების მონაწილეობა ამ აქტივობებში ერთნაირია, გარდა თბილისისა. თბილისში, ქალების 3.7 პროცენტი ამზადებს ან გადაამუშავებს პროდუქციას საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის, კაცებში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1.1 პროცენტია. ამ ტიპის ყველა აქტივობაში ქალთა მონაწილეობის დონე (6.8 პროცენტი) მცირედით აღემატება კაცების მონაწილეობის დონეს (5.7 პროცენტი) (ცხრილი E.10). სოფლებში, საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაში ქალების და კაცების მონაწილეობის დონე მსგავსია, თუმცა, პროდუქციის მომზადებასა და გადაამუშავებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივობაში ქალთა მონაწილეობის დონე 10-ჯერ აღემატება კაცებისას (14.2 პროცენტი და 3.1 პროცენტი, შესაბამისად).

დიაგრამა 2.11


საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაში მოსახლეობის მონაწილეობის დონე, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, პროცენტი




საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული დრო იცვლება ასაკის მატებასთან ერთად. როგორც ქალებში, ასევე კაცებში, ამ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო იზრდება ასაკის მატებასთან ერთად, მაგრამ იკლებს 64 წლის ასაკის შემდეგ. ახალგაზრდა (15-24 წლის) ქალები ამ აქტივობებზე ხარჯავენ დღეში საშუალოდ 0.1 საათს და ეს მაჩვენებელი 1 საათამდე იზრდება 64 წლის ასაკის შემდეგ. 64 წელზე უფროსი ასაკის კაცები აღნიშნულ საქმიანობაზე ხარჯავენ 1.7 საათს, რაც 4-ჯერ აღემატება ახალგაზრდა კაცების შესაბამის მაჩვენებელს (0.4 საათი) (დიაგრამა 2.12 და ცხრილი E.11a).

დიაგრამა 2.12

საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული საშუალო დრო, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში



მონაწილეები








საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაში ჩართული ქალების (მონაწილეები) დახარჯული დრო ასაკთან ერთად იზრდება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2.7 საათია (45-64 ასაკობრივი ჯგუფი), რაც ოდნავ მცირდება 65 წლის და უფროს ქალებში. კაცი მონაწილეების შემთხვევაში მოცემულ აქტივობაზე დახარჯული დროის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის 25-44 ასაკობრივ ჯგუფში და 4.0 საათს უტოლდება. ეს დრო შედარებით მაღალია უფროს ასაკობრივ ჯგუფებშიც - 3.8 საათი (დიაგრამა 2.12 და ცხრილი E.11b).

ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ქალები 0.5 საათით ნაკლებ დროს ხარჯავენ საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე, ვიდრე კაცები. ხოლო ამ აქტივობებში ჩართულ პირებს შორის, დახარჯულ დროში განსხვავება 1.3 საათის ტოლია.

2.2.3 სწავლა და მასთან დაკავშირებული აქტივობები

ჩანართი 2.4

სწავლა (ICATUS-ის კოდები 61-64 და 69)


-  ფორმალური განათლება
-  საშინაო დავალების შესრულება, რეპეტიტორთან სწავლა, კურსის მიმოხილვა, კვლევა და ფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული აქტივობები
-  დამატებითი სწავლა, არაფორმალური განათლება და კურსები
-  სწავლასთან დაკავშირებული მგზავრობის დრო
-  სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები

საქართველოს მოსახლეობა დღეში საშუალოდ 0.3 საათს ხარჯავს სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. თბილისსა და სხვა ტიპის დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას შორის რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა. თბილისსა და სხვა ქალაქებში სწავლაზე დახარჯული საშუალო დრო დღეში 0.3 საათია, რაც მცირედით აღემატება სოფლის მოსახლეობის იმავე მაჩვენებელს (0.2 საათი).


თბილისში მცხოვრები ქალები ოდნავ მეტ დროს ხარჯავენ სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, ვიდრე კაცები. სოფლებში კი სურათი საპირისპიროა (დიაგრამა 2.13 და ცხრილი E.12a). როგორც ქალებში, ასევე კაცებში სწავლაზე დახარჯული საშუალო დრო ასაკის მატებასთან ერთად იკლებს - 24 წელზე მეტი ასაკის პირები სწავლაზე ძალიან ცოტა დროს ხარჯავენ. ახალგაზრდა (15-24 წლის) ქალები სწავლაზე დღეში საშუალოდ ხარჯავენ 2.3 საათს, ხოლო კაცები დღეში საშუალოდ - 1.9 საათს. თბილისსა და სხვა ქალაქებში ამ ასაკობრივი ჯგუფის ქალები სწავლას უფრო მეტ დროს უთმობენ (ორივე ტიპის დასახლებაში - 2.5 საათი), ვიდრე კაცები (1.6 საათი და 1.9 საათი, შესაბამისად), ხოლო სოფლებში ახალგაზრდა კაცები შედარებით მეტ დროს ხარჯავენ სწავლაზე (2.1 საათი), ვიდრე ახალგაზრდა ქალები (1.9 საათი). დახარჯული დროის ნახევარი ფორმალურ განათლებას ეთმობა, ხოლო მეორე ნახევარი საშინაო დავალების მომზადებას ან ფორმალურ განათლებასთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებს. 25 წლის შემდეგ ეს დრო მცირდება დაახლოებით 0.1 საათამდე და კიდევ უფრო ნაკლებია კაცების შემთხვევაში (ცხრილი E.12b).

დიაგრამა 2.13


მოსახლეობის მიერ სწავლაზე დახარჯული საშუალო დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, საათი დღეში



სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით



განათლების დონის მიხედვით




სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე ყველაზე დიდ დროს სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობა ხარჯავს. სამუშაო ძალის გარეთ მყოფი კაცები სწავლას დღეში უთმობენ 0.7 საათს, უმუშევრები და არასრული დროით დასაქმებულები - 0.2 საათს, ხოლო დასაქმებული კაცები, დასაქმებული ქალების მსგავსად, ამ აქტივობებზე დღიურად ძალიან მცირე დროს ხარჯავენ. სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ქალები სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებს დღეში საშუალოდ 0.4 საათს უთმობენ, რაც ოდნავ მეტია უმუშევარი ან არასრული დროით დასაქმებული ქალების მიერ ამ აქტივობაზე დღეში დახარჯულ 0.3 საათზე (დიაგრამა 2.13 და ცხრილი E.12a).

პირები, რომელთა განათლების უმაღლესი მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზისო საფეხური, სწავლაზე დღეში საშუალოდ 1.9 საათს ხარჯავენ. ეს მაჩვენებელი მსგავსია ორივე სქესისთვის. დაწყებითი განათლების მქონე მოსახლეობაში, კაცები სამჯერ მეტ დროს უთმობენ სწავლას (2.6 საათი), ვიდრე ქალები (0.9 საათი) (დიაგრამა 2.13 და ცხრილი E.12a).

სწავლასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონე უფრო მაღალია თბილისსა და სხვა ქალაქებში (7.9 პროცენტი და 6.0 პროცენტი, შესაბამისად), ვიდრე სოფლებში (4.8 პროცენტი). ამ აქტივობებში ჩართულია ქალების 6.3 პროცენტი და კაცების 5.8 პროცენტი (ცხრილი E.13). თბილისში, ქალების მონაწილეობის დონე უფრო მაღალია (8.6 პროცენტი), ვიდრე კაცების (7.0 პროცენტი). ამის საპირისპიროდ, სხვა ტიპის დასახლებებში მცხოვრები ქალების მაჩვენებელი კაცების მაჩვენებელზე მცირედით ნაკლებია (დიაგრამა 2.14 და ცხრილი E.13).

დიაგრამა 2.14

სწავლის აქტივობებში მოსახლეობის მონაწილეობის დონე, დასახლების ტიპის და სქესის მიხედვით, პროცენტი




სწავლასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის მიერ სწავლაზე დახარჯული დრო იკლებს ასაკის მატებასთან ერთად. ყველა ასაკობრივ ჯგუფში, მონაწილეთა მიერ ამ აქტივობებზე დახარჯული დრო ქალებისა და კაცებისთვის მსგავსია და ასაკის მატებასთან ერთად მცირდება 4.8 საათიდან 2.8 საათამდე და შემდეგ 1.7 საათამდე (დიაგრამა 2.15).

განსხვავებები სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უმნიშვნელოა. 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ამ აქტივობებში მონაწილეობის დონე უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე კაცებში (48.7 პროცენტი და 37.9 პროცენტი, შესაბამისად) (ცხრილი E.13).

დიაგრამა 2.15

მონაწილეების მიერ სწავლაზე დახარჯული საშუალო დრო, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში



2.3 ვალდებულებებთან










დაკავშირებული დრო

ვალდებულებებთან დაკავშირებულ დროში შედის ICATUS-ის შემდეგი აქტივობები (ერთნიშნა კოდები 3, 4 და 5. აქტივობების ჩამონათვალისთვის იხ. დანართი A4): შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება (ICATUS 3), შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება (ICATUS 4) და სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა (ICATUS 5).

2.3.1 შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება

ჩანართი 2.5

შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება (ICATUS-ის კოდები 31-39)



	საჭმლის მომზადება და საკვებთან დაკავშირებული საკითხების მართვა
	საკუთარი საცხოვრებლის და მიმდებარე ტერიტორიის დალაგება და მოვლა
	საკუთარი ხელით დეკორირება, მოვლა და შეკეთება
	ტექსტილის და ფეხსაცმლის მოვლა და შენარჩუნება
	შინამეურნეობის მართვა საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის
	შინაური ცხოველების მოვლა
	საკუთარი შინამეურნეობისათვის და ოჯახის წევრებისთვის საყიდლებზე სიარული
	შინამეურნეობისთვის ან ოჯახის წევრებისთვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო მომსახურებასთან დაკავშირებული პროდუქტის ან პირების მოგზაურობა, გადაადგილება, ტრანსპორტირება ან თანხლება
	შინამეურნეობისათვის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული სხვა აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება

საქართველოს მოსახლეობა დღეში საშუალოდ 2.1 საათს ხარჯავს შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო შრომაზე, თუმცა სქესის მიხედვით განსხვავება დიდია. ყველა ტიპის დასახლებაში ამ საქმიანობაზე კაცები დღეში 0.7 საათს ხარჯავენ. ამის საპირისპიროდ, კაცებთან შედარებით ქალები 5-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ სოფლებში (3.6 საათი) და 4.7-ჯერ მეტ დროს თბილისსა და სხვა ქალაქებში (3.2 საათი) (დიაგრამა 2.16 და ცხრილი E.14).


ასაკის მატებასთან ერთად, იზრდება ქალების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმეზე დახარჯული დროც 1.5 საათიდან (15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი) 3.5 საათამდე (25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფი) და 4.0 საათამდე (45-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი). შემდეგ კი კვლავ იცლებს 3.2 საათამდე (65 წლისა და უფროსი ასაკის). 15-24 წლის კაცები ამ საქმიანობაზე ხარჯავენ 0.3 საათს, 25-44 წლის კაცებისათვის ეს დრო ორმაგდება და 0.6 საათს შეადგენს, ხოლო 65 წლისა და უფროსის ასაკის კაცებისათვის 1.0 საათის ტოლია. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, კაცებთან შედარებით, ამ აქტივობებზე ქალების მიერ დახარჯული დრო თითქმის 6-ჯერ მეტია 15-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში, 5-ჯერ მეტია 45-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში და 3.3-ჯერ მეტია 65 წლისა და უფროსი ასაკის ასაკობრივ ჯგუფში.

დიაგრამა 2.16


მოსახლეობის მიერ შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო მომსახურებაზე დახარჯული საშუალო დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, საათი დღეში



სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით



განათლების დონის მიხედვით




სრული დროით დასაქმებული ქალები დღეში 2.7 საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე, რაც 5-ჯერ მეტია სრული დროით დასაქმებული კაცების მიერ ამ აქტივობებზე დახარჯულ დროზე (0.5 საათი). არასრული დროით დასაქმებული, უმუშევარი თუ სამუშაო ძალის გარეთ მყოფ კაცებში ეს დრო 0.8 საათით მეტია. არასრული დროით დასაქმებული ქალების მიერ ამ აქტივობებზე დახარჯული დრო იზრდება 3.3 საათამდე, უმუშევარი ქალების შემთხვევაში - 4 საათამდე და სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ქალების შემთხვევაში - 3.6 საათამდე. განათლების უფრო მაღალი დონის მქონე ქალები და კაცები უფრო მეტ დროს ხარჯავენ (ქალები: 3.4-3.7 საათი, კაცები: 0.6-0.8 საათი) აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე, ვიდრე განათლების უფრო დაბალი დონის მქონე პირები. განათლების სხვადასხვა დონის შემთხვევაში ქალების მიერ ამ საქმიანობაზე დახარჯული დრო 4-5-ჯერ აღემატება, კაცების დახარჯულ დროს.


საქართველოს მოსახლეობის ორი მესამედი ჩართულია შინამეურნეობის ან ოჯახის წევრების-თვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაში. სქესის მიხედვით განსხვავება ძალიან დიდია, ამ აქტივობებში ჩართულია ქალების 88.3 პროცენტი და კაცების 39.6 პროცენტი. სოფლად მცხოვრები კაცების შემთხვევაში მონაწილეობის დონე მხოლოდ 36.4 პროცენტია, რაც 2.5-ჯერ ნაკლებია ქალების მაჩვენებელზე (90.3 პროცენტი). ქალების მონაწილეობის დონე ამ აქტივობებში კაცებთან შედარებით 2.1-ჯერ მეტია, როგორც თბილისში, ასევე სხვა ქალაქებში (დიაგრამა 2.17 და ცხრილი E.15a).

დიაგრამა 2.17

შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო მომსახურებაში მოსახლეობის მონაწილეობის დონე, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი



ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით




ქალების მონაწილეობა აუნაზღაურებელ საოჯახო შრომაში 1.7-ჯერ მეტია, კაცების შესაბამის მაჩვენებელზე 65 წლისა და უფროსი ასაკის პირებში და 2.8-ჯერ მეტია 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ქალების მონაწილეობის დონე ამ აქტივობებში იზრდება 68.5 პროცენტიდან (15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი) 95.3 პროცენტამდე (45-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი), ხოლო შემდეგ იკლებს 86.6 პროცენტამდე (65 წლისა და უფროსი ასაკის). კაცების მონაწილეობის დონე კი იზრდება 24.6 პროცენტიდან 49.5 პროცენტამდე (დიაგრამა 2.17 და ცხრილი E.15a).

ყველა ტიპის დასახლებაში აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაში ჩართული ქალები დღის განმავლობაში 2.2-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ ამ აქტივობებზე, ვიდრე კაცები (დიაგრამა 2.18 და ცხრილი E.15b). აუნაზღაურებელ საოჯახო საქმეზე როგორც სოფლებში მცხოვრები ქალების, ასევე კაცების მიერ დახარჯული დრო (4 საათი და 1.9 საათი, შესაბამისად) აღემატება თბილისსა (ქალები: 3.7 საათი, კაცები: 1.6 საათი) და სხვა ქალაქებში (ქალები: 3.6 საათი, კაცები: 1.6 საათი) არსებულ მაჩვენებლებს.

დიაგრამა 2.18



მონაწილეების მიერ შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, საათი დღეში




ქალების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული დრო იმატებს ასაკთან ერთად 44-64 წლის ასაკობრივ ჯგუფამდე და შემდეგ მცირდება - თბილისში ყველაზე ნაკლებად, ხოლო სოფლებში დღეში 4.4 საათიდან 3.5 საათამდე. ამ აქტივობებში ჩართული უფროსი ასაკის კაცების შემთხვევაში, დახარჯული დრო ოდნავ მცირდება თბილისში, მაგრამ მცირედით იზრდება სხვა ქალაქებსა და სოფლებში (დიაგრამა 2.19 და ცხრილი E.15b).

დიაგრამა 2.19

მონაწილეების მიერ შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში



სოფლები



ზოგიერთი საოჯახო ტექნიკის გამოყენება ზოგავს დროს სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯულ დროს, თუმცა ეს დიდწილად დამოკიდებულია მოწყობილობის ტიპზე და განსხვავებულია სქესის მიხედვით. გამოკვლევის ფარგლებში შეგროვდა მონაცემები შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული ხანგრძლივი მოხმარების საგნების შესახებ, როგორებიცაა: სარეცხი მანქანა, ავტომობილი, ტელეფონი და ა.შ. ასევე, შინამეურნეობების მიერ გამოყენებული მომსახურებების შესახებ, როგორებიცაა საოჯახო მომსახურება და ინტერნეტის გამოყენება საყიდლებისთვის. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მოწყობილობებით სარგებლობა, აუნაზღაურებელი საოჯახო სამუშაოს შესასრულებლად დახარჯულ დროს ზოგავს ქალებისთვის, თუმცა გავლენას არ ახდენს კაცების შემთხვევაში. სარეცხი მანქანის გამოყენება შინამეურნეობაში, ქალების მიერ საოჯახო საქმიანობაზე დახარჯულ დროს 30 წუთით ამცირებს, მაგრამ გავლენას არ ახდენს კაცების მიერ დახარჯულ დროზე. ასევე, შინამეურნეობაში მიკროტალღური ღუმელის, ჭურჭლის სარეცხი მანქანისა და საქონლის ან მომსახურების შესაძენად ინტერნეტის გამოყენება ქალებისთვის ამცირებს შესაბამის საოჯახო საქმესთან (საჭმლის მომზადება, ჭურჭლის გარეცხვა, საყიდლები) დაკავშირებულ დროს. იმ შინამეურნეობებში მცხოვრები ქალები, სადაც აქვთ გაბჭურა ან ელექტრო ღუმელი, მეტ დროს ხარჯავენ საშინაო საქმეზე; მონაცემები ასევე გვაჩვენებს, რომ, იმ შინამეურნეობებში, სადაც აქვთ მაცივარი, საკერავი მანქანა ან იღებენ საოჯახო მომსახურებას, ქალები და კაცები მეტ დროს ხარჯავენ საოჯახო საქმეზე.

ცხრილი 2.1

აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული საშუალო დრო, შინამეურნეობებში საოჯახო მოწყობილობების/მომსახურებების სარგებლობის მიხედვით, საათები დღეში






მოწყობილობა/მანქანა/მომსახურება	ქალები		კაცები	
	სარგებლობს	არ სარგებლობს	სარგებლობს	არ სარგებლობს
აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე საშუალოდ დახარჯული დრო				
სარეცხი მანქანა	3.3	3.8	0.7	0.8
გაბჭურა/ელექტრო ღუმელი	3.4	3.3	0.7	0.7
მიკროტალღური ღუმელი	3.3	3.4	0.7	0.7
მაცივარი	3.4	3.3	0.7	0.6
ჭურჭლის სარეცხი მანქანა	3.0	3.4	1.0	0.7
გამათბობელი (გაზის ან ელექტრო)	3.3	3.5	0.7	0.7
გამათბობელი (შეშის ღუმელი)	3.6	3.2	0.7	0.7
წყლის გამათბობელი	3.4	3.3	0.7	0.7
მტვერსასრუტი	3.4	3.4	0.7	0.7
საკერავი მანქანა	3.5	3.3	0.8	0.7
ტელეფონი				
სახლის ტელეფონი	3.2	3.4	0.7	0.7
მობილური ტელეფონი	3.4	2.5	0.7	2.0
პერსონალური კომპიუტერი ან ლეპტოპი				
პერსონალური კომპიუტერი ან ლეპტოპი	3.2	3.6	0.6	0.8
ინტერნეტის გამოყენება საქონლის ან მომსახურების შესაძენად	3.0	3.5	0.6	0.7
მანქანა/მიკროავტობუსი/სატვირთო მანქანა				
მანქანა/მიკროავტობუსი/სატვირთო მანქანა	3.5	3.3	0.7	0.7
საოჯახო მომსახურება	3.6	3.4	0.9	0.7

შენიშვნა: ყვითლად მონიშნული მნიშვნელობები მიუთითებს შემთხვევებზე, როდესაც იმ შინამეურნეობებში, სადაც გამოყენებულია მოწყობილობი და საოჯახო მომსახურება, საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული დრო ნაკლებია. ცისფრად მონიშნული მნიშვნელობები მიუთითებს შემთხვევებზე, როდესაც იმ შინამეურნეობებში, სადაც გამოყენებულია მოწყობილობი და საოჯახო მომსახურება, საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული დრო მეტია.

2.3.2 შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება

ჩანართი 2.6

შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება (ICATUS-ის კოდები 41-44, 49)


	ბავშვზე ზრუნვა და სწავლება
	კმაყოფიან მყოფი ზრდასრულების მოვლა
	კმაყოფიან არ მყოფი ზრდასრულების და ოჯახის წევრების დახმარება
	შინამეურნეობის ან ოჯახის წევრების აუნაზღაურებელ ზრუნვის მომსახურებასთან დაკავშირებული მგზავრობა, პროდუქციის გადაზიდვა ან პირების თანხლება
	შინამეურნეობის ან ოჯახის წევრების აუნაზღაურებელ ზრუნვის მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები

საქართველოს მოსახლეობა აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურებებზე დღეში საშუალოდ 0.6 საათს ხარჯავს (ცხრილი E.16). ამ აქტივობებზე ქალების მიერ დახარჯული დრო (0.9 საათი დღეში) 4.5-ჯერ აღემატება კაცების მიერ დახარჯულ დროს (0.2 საათი დღეში) და განსხვავება დღეში 42 წუთს შეადგენს. დასახლების ტიპის მიხედვით, ამ აქტივობებზე ქალების მიერ დახარჯული დრო კაცების მიერ დახარჯულ დროს თბილისსა და სხვა ქალაქებში 4-ჯერ, ხოლო სოფლებში - 5-ჯერ აღემატება.


ქალებსა და კაცებს შორის ყველაზე დიდი განსხვავება აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომაზე დახარჯული დროის მიხედვით 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფშია. ეს განსხვავება ნაკლებია 45 წელზე უფროსი ასაკის პირებში (დიაგრამა 2.20).

დიაგრამა 2.20


მოსახლეობის მიერ შინამეურნეობების და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურებებზე დახარჯული საშუალო დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, საათი დღეში




ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით



განათლების დონის მიხედვით



სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით კაცების მიერ აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომაზე დახარჯული დრო დიდად არ განსხვავდება: უმუშევარი კაცები ამ აქტივობებზე ხარჯავენ დღეში საშუალოდ 0.3 საათს, ხოლო დასაქმებული კაცები - 0.2 საათს. უმუშევარი ქალები აუნაზღაურებელი ზრუნვის აქტივობებზე ხარჯავენ 1.4 საათს, ხოლო სრული დროით დასაქმებული ქალები - 0.6 საათს. აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომაზე სრული დროით დასაქმებული ქალების მიერ დღეში დახარჯული საშუალო დრო 3-ჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს (0.2 საათი). ამ აქტივობებზე უმუშევარი ქალები უმუშევარ კაცებთან შედარებით 4.3-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ. სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ქალები აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომაზე დღეში საშუალოდ 59 წუთს ხარჯავენ, რაც 7.2-ჯერ აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (8 წუთი) (დიაგრამა 2.20).



კაცების შემთხვევაში, აუნაზღაურებელ ზრუნვის საქმიანობაზე დახარჯული დრო მცირედით განსხვავდება განათლების მიღწეული დონის მიხედვით. განათლების მაღალი დონის მქონე ქალები, ზრუნვის საქმიანობას უფრო მეტ დროს უთმობენ (0.9-1.1 საათი დღეში) განათლების უფრო დაბალი დონის მქონე ქალებთან შედარებით (0.4-0.7 საათი დღეში). განათლების დონის მიუხედავად, გენდერული განსხვავება აღნიშნული მაჩვენებლისათვის საკმარისად დიდია. მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე ქალები აუნაზღაურებელ ზრუნვის შრომაზე დღეში საშუალოდ 1.1 საათს ხარჯავენ, რაც 4-ჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს (0.3 საათი დღეში).

შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისათვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურებაში ძირითადი აქტივობებია ბავშვზე ზრუნვა და სწავლება (ქალებისთვის - 90 პროცენტი, კაცებისთვის - 85 პროცენტი). აღნიშნული მაჩვენებლები მსგავსია სამივე ტიპის დასახლებაში. მეორე ადგილზეა აუნაზღაურებელი ზრუნვის აქტივობებთან დაკავშირებული მგზავრობა, რომლის წილი ქალების შემთხვევაში 4.5 პროცენტია, ხოლო კაცების შემთხვევაში - 7.8 პროცენტი (ცხრილი E.17).

შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურებაში ქალების მონაწილეობის დონე (31 პროცენტი) დაახლოებით ორჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს (14.5 პროცენტი). აღნიშნული განსხვავება მსგავსია სამივე ტიპის დასახლებისათვის. ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ქალების მონაწილეობის დონე უფრო მაღალია კაცებთან შედარებით. თუმცა, განსხვავება მცირდება ასაკის მატებასთან ერთად. 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ქალების მონაწილეობის დონე 22.5 პროცენტს შეადგენს, რაც 7.6-ჯერ აღემატება კაცების მონაწილეობის დონეს. როგორც ქალებში, ასევე კაცებში, ამ აქტივობებში მონაწილეობის ყველაზე მაღალი დონე ფიქსირდება 25-44 ასაკობრივ ჯგუფში და შემდეგ მცირდება მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში (დიაგრამა 2.21 და ცხრილი E.18a). 65 წლისა და უფროსი ასაკის პირებში გენდერული თანაფარდობა 1.8-მდე მცირდება.

დიაგრამა 2.21


შინამეურნეობების და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურებებში მონაწილეობის მონაწილეობის დონე, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი



აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობაში ჩართული მოსახლეობის მიერ დახარჯული საშუალო დრო მსგავსია სამივე ტიპის დასახლებაში (დიაგრამა 2.22 და ცხრილი E.18b). ამ აქტივობებში მონაწილე ქალები ზრუნვის შრომაზე დღეში საშუალოდ 2.8-3.0 საათს ხარჯავენ, რაც დაახლოებით 2-ჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს (1.3-1.5 საათი დღეში).

დიაგრამა 2.22




მონაწილეების მიერ შინამეურნეობებისა და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურებებზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, საათი დღეში



თბილისსა და სხვა ქალაქებში, ქალების მიერ აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობებზე დახარჯული დრო იკლებს ასაკის მატებასთან ერთად; ეს მაჩვენებელი სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის ასევე იკლებს 15 წლიდან 64 წლის ასაკამდე, მაგრამ იმატებს 65 წლის შემდეგ. ყველა ტიპის დასახლებაში, ამ აქტივობებში ჩართული კაცების მიერ დახარჯული დრო ასაკის მატებასთან ერთად თითქმის არ იცვლება (დიაგრამა 2.23 და ცხრილი E.18b).

დიაგრამა 2.23

მონაწილეების მიერ შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურებებზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში



2.3.3 აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის შრომა: SDG 5.4.1



მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მე-5 მიზანია „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერება“, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა 5.4 „აუნაზღაურებელი ზრუნვის და საოჯახო შრომის აღიარება და დაფასება საჯარო მომსახურებების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფით და შინამეურნეობაში და ოჯახში გაზიარებული პასუხისმგებლობის წახალისებით“. ამ ამოცანის შესრულების მონიტორინგისთვის რეკომენდებული ინდიკატორია 5.4.1 „აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით“.

აღნიშნული ინდიკატორის გაანგარიშება ეყრდნობა ICATUS-ის მე-3 (შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება) და მე-4 (შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება) ძირითად ჯგუფებს.

SDG ინდიკატორი 5.4.1 გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$\frac{\text{საოჯახო შრომაზე დღეში საშუალოდ დახარჯული საათების რაოდენობა} + \text{ზრუნვის შრომაზე დღეში საშუალოდ დახარჯული საათების რაოდენობა}}{24} \times 100$$


სადაც,

$$\text{შესაბამის აქტივობებზე დღეში საშუალოდ დახარჯული საათების რაოდენობა} = \frac{\text{მოსახლეობის მიერ შესაბამის აქტივობებზე დახარჯული ჯამური საათების რაოდენობა}}{\text{მთლიანი მოსახლეობა (მიუხედავად მათი ჩართულობისა ამ აქტივობაში)}}$$

გამოკვლევის პერიოდში (2020-2021) ქალების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის შრომაზე დახარჯული დროის წილმა 17.8 პროცენტი შეადგინა, რაც დაახლოებით 4.8-ჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს (3.7 პროცენტი). გენდერული თანაფარდობა სოფლებში 4.5 იყო, თბილისში - 4.6, ხოლო სხვა ქალაქებში ყველაზე მაღალი - 5.1 (დიაგრამა 2.24 და ცხრილი E.19a).

დიაგრამა 2.24


შინამეურნეობისა და ოჯახის წევრებისათვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო მომსახურებაზე დახარჯული დროის წილი, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, პროცენტი




მონაცემთა ანალიზი ავლენს გენდერულ უთანასწორობებს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, ყველა ტიპის დასახლებაში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის საქმიანობაზე ქალების მიერ დახარჯული დრო მკვეთრად აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს (ცხრილი E.19b). ასევე, ყველა ტიპის დასახლებაში, აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის საქმიანობებზე კაცების მიერ დახარჯული დროის წილი თითქმის უცვლელია 25-44 ასაკობრივი ჯგუფის შემდეგ (დიაგრამა 2.25 და ცხრილი E.19c). განსხვავებულია მდგომარეობა ქალების შემთხვევაში, სადაც ეს წილი იცვლება ასაკთან ერთად. ყველა ტიპის დასახლებაში, აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 25-44 წლის ქალებში, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად მცირდება.

დიაგრამა 2.25


შინამეურნეობისა და ოჯახის წევრებისათვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დრო, დასახლების ტიპის, სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი




თბილისი



სხვა ქალაქები



სოფლები



ცხრილი 2.2






გენდერული თანაფარდობის კოეფიციენტი, შინამეურნეობისა და ოჯახის წევრებისათვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროისათვის, დასახლების ტიპისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფები	თბილისი	სხვა ქალაქები	სოფლები	საქართველო
15-24	4.3	13.5	8.8	8.2
25-44	5.4	6.7	5.4	5.9
45-54	4.4	5.0	4.8	4.8
55-64	4.2	4.2	4.5	4.3
65+	3.8	3.3	2.7	3.3
სულ	4.6	5.1	4.5	4.8

2.3.4 ანაზღაურების გარეშე მოხალისედ, სტაჟიორად მუშაობა და სხვა აუნაზღაურებელი შრომა

ჩანართი 2.7

სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა (ICATUS-ის კოდები 51-54, 59)



	აუნაზღაურებელი მუშაობა მოხალისედ სხვა შინამეურნეობებისთვის
	აუნაზღაურებელი მუშაობა მოხალისედ თემში ან ორგანიზაციაში
	აუნაზღაურებელი სტაჟირება და სხვა მსგავსი აქტივობები
	მგზავრობის დრო, რომელიც უკავშირდება მოხალისის, სტაჟიორის და სხვა აუნაზღაურებელ სამუშაოს
	აუნაზღაურებელ მუშაობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები

საქართველოს მოსახლეობა ძალიან ცოტა დროს ხარჯავს სტაჟირებაზე, მოხალისეობრივ და სხვა სახის აუნაზღაურებელ შრომაზე (0.1 საათი დღეში). ამ აქტივობებში ჩართულია მოსახლეობის მხოლოდ 2.6 პროცენტი. ამასთან, კაცების მონაწილეობის დონე (3.0 პროცენტი) უფრო მაღალია, ვიდრე ქალების (2.3 პროცენტი). ამ საქმიანობებზე კაცებისა და ქალების მიერ დახარჯული დრო დაახლოებით ერთნაირია დასახლების ტიპის, ასაკობრივი ჯგუფის, სამუშაო ძალაში მონაწილეობის სტატუსისა და განათლების დონის მიხედვით (ცხრილი E.20). მოსახლეობის მიერ ანაზღაურების გარეშე მოხალისედ მუშაობის დროის დიდი წილი (89 პროცენტი) სხვა შინამეურნეობაში ანაზღაურების გარეშე მოხალისედ მუშაობაზე მოდის (ცხრილი E.21).

სტაჟირებაში, მოხალისეობრივ და სხვა სახის აუნაზღაურებელ შრომაში მონაწილეობის დონე დაბალია და საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2.6 პროცენტს შეადგენს. კაცების შემთხვევაში მონაწილეობის დონე 3.0 პროცენტია და აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს - 2.3 პროცენტს. ყველა ტიპის დასახლებაში კაცების მონაწილეობის დონე მსგავსია და აღემატება ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ყველაზე დიდი განსხვავება სოფლებშია, სადაც კაცების მონაწილეობის დონე 2.0 პროცენტია, ხოლო ქალების - 1.7 პროცენტი). ამ აქტივობებში ჩართული კაცების მიერ დღეში საშუალოდ დახარჯული დრო უფრო მაღალია ქალებთან შედარებით (3.1 საათი და 2.1 საათი, შესაბამისად) (დიაგრამა 2.26 და ცხრილი E.22a).

დიაგრამა 2.26

სტაჟირებაზე, მოხალისეობრივ და სხვა სახის აუნაზღაურებელ შრომაში მოსახლეობის მონაწილეობის დონე, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი




ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ქალების უფრო მაღალი მონაწილეობის დონე (2.2 პროცენტი) კაცებთან შედარებით (1.7 პროცენტი) გამოვლინდა მხოლოდ 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში. სქესის მიხედვით განსხვავება ყველაზე მაღალია 65 წლისა და უფროსი ასაკობრივი ჯგუფისთვის (ქალების მონაწილეობის დონე 1.4 პროცენტი, ხოლო კაცების - 3.2 პროცენტი)..

ამ აქტივობებში ჩართული კაცების მიერ დახარჯული დრო ქალების მიერ დახარჯულ დროს 1 საათით აღემატება. თბილისსა და სოფლებში ეს მაჩვენებლები მსგავსია, თუმცა, განსხვავებული მდგომარეობაა სხვა ქალაქებში, სადაც კაცების მიერ დახარჯული დრო მხოლოდ 0.2 საათით არის ნაკლები ქალების მიერ დახარჯულ დროზე (დიაგრამა 2.27 და ცხრილი E.22b).

დიაგრამა 2.27



მონაწილეების მიერ სტაჟირებაზე, მოხალისეობრივ და სხვა სახის აუნაზღურებელ შრომაზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, საათი დღეში




15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ქალების მონაწილეობის დონე კაცებთან შედარებით უფრო მაღალია, თუმცა, კაცი მონაწილეების მიერ დღეში დახარჯული საშუალო დრო მცირედით აღემატება ქალების მიერ დახარჯულ საშუალო დროს (2.4 საათი და 2.0 საათი, შესაბამისად) (დიაგრამა 2.28 და ცხრილი E.22b).

დიაგრამა 2.28


მონაწილეების მიერ სტაჟირებაზე, მოხალისეობრივ და სხვა სახის აუნაზღურებელ შრომაზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში



სსვა ქალაქები



სოფლები



2.4 თავისუფალი დრო

თავისუფალი დრო არის დრო, რომელიც ეთმობა სოციალიზაციასა და კომუნიკაციასთან (ICATUS 7) და დასვენებასა და გართობასთან (ICATUS 8) დაკავშირებულ აქტივობებს.

2.4.1 სოციალიზაცია და სათემო ჩართულობა

ჩანართი 2.8

სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო და რელიგიურ აქტივობებში მონაწილეობა (ICATUS-ის კოდები 71-75, 79)



სოციალიზაცია და კომუნიკაცია



სათემო კულტურულ/სოციალურ ღონისძიებებში მონაწილეობა



სამოქალაქო და მსგავს ვალდებულებებში მონაწილეობა



რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა



სოციალიზაციასა და კომუნიკაციასთან, თემში და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობასთან დაკავშირებული მგზავრობის დრო



სოციალიზაციასა და კომუნიკაციასთან, თემში და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები



საქართველოს მოსახლეობა დღეში საშუალოდ 1.4 საათს ხარჯავს სოციალიზაციასთან და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. კაცები, ქალებთან შედარებით, ამ აქტივობებს დღეში 0.4 საათით მეტ დროს უთმობენ (1.6 საათი და 1.2 საათი, შესაბამისად). სოციალიზაციასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, სოფლებში მცხოვრები ქალები და კაცები, თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ქალებსა და კაცებთან შედარებით 0.4 საათით ნაკლებ დროს ხარჯავენ. ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება როგორც ამ აქტივობებზე დახარჯული დრო, ასევე გენდერული განსხვავებები.

უმუშევარი მოსახლეობა ამ აქტივობებზე დღეში საშუალოდ 2.2 საათს ხარჯავს, რაც სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის მაჩვენებელს 0.7 საათით აღემატება, არასრული დროით დასაქმებულთა მაჩვენებელს - 0.8 საათით, ხოლო სრული დროით დასაქმებულთა მაჩვენებელს 1.1 საათით. სამუშაო ძალის სტატუსის მიუხედავად, კაცები ამ აქტივობებზე ქალებთან შედარებით მეტ დროს ხარჯავენ.


განათლების დაბალი დონის მქონე მოსახლეობაში, ქალები, კაცებთან შედარებით, სოციალიზაციასა და სათემო ჩართულობასთან დაკავშირებულ აქტივობებს მეტ დროს უთმობენ. განათლების უფრო მაღალი დონის მქონე მოსახლეობაში კი სურათი საპირისპიროა (დიაგრამა 2.29 და ცხრილი E.23).

დიაგრამა 2.29


მოსახლეობის მიერ სოციალიზაციასა და კომუნიკაციაზე, სათემო და რელიგიურ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, საათი დღეში



სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით



განათლების დონის მიხედვით





სოციალიზაციაზე, კომუნიკაციაზე, სათემო და რელიგიურ აქტივობებზე დახარჯული დროის 82.5 პროცენტი მოდის სოციალიზაციასა და კომუნიკაციაზე, ხოლო 11.3 პროცენტი ამ აქტივობებთან დაკავშირებულ მგზავრობაზე. როგორც ქალების, ასევე კაცების შემთხვევაში, ამ აქტივობებთან დაკავშირებულ მგზავრობაზე დახარჯული დრო უფრო ნაკლებია თბილისსა და სხვა ქალაქებში, ვიდრე სოფლებში, სადაც მოსახლეობა, ამ აქტივობებზე დახარჯული დროის 12.2 პროცენტს მგზავრობას უთმობს (ცხრილი E.24).

საქართველოში ყოველი 10-დან 6 ადამიანი მონაწილეობს სოციალიზაციისა და სათემო ჩართულობასთან დაკავშირებულ აქტივობებში. ამ აქტივობებში ქალებისა და კაცების მონაწილეობის დონეები მსგავსია. მოსახლეობის მონაწილეობის დონე უფრო მაღალია თბილისში და სხვა ქალაქებში, ვიდრე სოფლებში. ქალების მონაწილეობის დონე უფრო დაბალია თბილისსა და სოფლებში, ხოლო კაცების - სხვა ქალაქებში (დიაგრამა 2.30 და ცხრილი E.25a).

დიაგრამა 2.30

სოციალიზაცია და კომუნიკაციაზე, სათემო და რელიგიურ აქტივობებში მოსახლეობის მონაწილეობის დონე, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი




სოციალიზაცია და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონე მცირდება ასაკის მატებასთან ერთად - 74.2 პროცენტიდან 53.3 პროცენტამდე. ყველა ასაკობრივ ჯგუფში ქალების მონაწილეობის დონე აღემატება კაცების მონაწილეობის დონეს, გარდა 25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფისა (დიაგრამა 2.30 და ცხრილი E.25a).

სოციალიზაციასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის მიერ დახარჯული დრო მსგავსია თბილისსა და სხვა ქალაქებში და ნაკლებია სოფლებში. ყველა ტიპის დასახლებაში კაცი მონაწილეები მეტ დროს (2.8 საათი დღეში) უთმობენ ამ აქტივობებს, ვიდრე ქალები (2.1 საათი დღეში) (დიაგრამა 2.31 და ცხრილი E.25b). როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში, მონაწილეების მიერ სოციალიზაციასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული დრო მცირდება ასაკის მატებასთან ერთად (ცხრილი E.25b).

დიაგრამა 2.31

მონაწილეების მიერ სოციალიზაციასა და კომუნიკაციაზე, სათემო და რელიგიურ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, საათი დღეში



2.4.2 დასვენება

ჩანართი 2.9

კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა (ICATUS-ის კოდები 81-86, 89)


	კულტურულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება, შესაბამისი დაწესებულებების მონახულება
	კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა, ჰობი, თამაშები და სხვა რეკრეაციული აქტივობები
	სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა, ვარჯიში და მათთან დაკავშირებული აქტივობები
	მასმედიის გამოყენება
	რეფლექსიასთან და დასვენებასთან დაკავშირებული აქტივობები
	კულტურულ, დასვენების, მასმედიის და სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებული მგზავრობის დრო
	კულტურულ, დასვენების, მასმედიის და სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებული სხვა აქტივობები

საქართველოს მოსახლეობა დასვენებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დღეში საშუალოდ 4.2 საათს ხარჯავს. კაცების მიერ დასვენებაზე დღეში საშუალოდ დახარჯული დრო 4.7 საათს შეადგენს, რაც 0.8 საათით აღემატება ქალების მიერ დახარჯულ დროს - 3.9 საათს. ამ აქტივობებს ყველა ტიპის დასახლებაში თანაბარი დრო ეთმობა (დიაგრამა 2.32 და ცხრილი E.26). სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამოვლინდა გარკვეული განსხვავებები, კერძოდ, ამ აქტივობებზე ყველაზე ნაკლებ დროს 25-44 ასაკობრივი ჯგუფის ქალები და კაცები ხარჯავენ (2.8 საათი დღეში და 3.9 საათი დღეში, შესაბამისად), ასაკის მატებასთან ერთად, ეს მაჩვენებელი იზრდება. ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ქალები, კაცებთან შედარებით, ნაკლებ დროს უთმობენ დასვენებას. ამ მხრივ, ქალებსა და კაცებს შორის განსხვავება მსგავსია ყველა ასაკობრივ ჯგუფში (დიაგრამა 2.32 და ცხრილი E.26).


სამუშაო ძალის გარეთ მყოფ მოსახლეობას დასვენებაზე ყველაზე მეტ დროს ხარჯავენ (5.1 საათი დღეში). დასაქმებული პირები დასვენებაზე უფრო ნაკლებ დროს ხარჯავენ. სრული დროით დასაქმებულები, სამუშაო ძალის გარეთ მყოფ მოსახლეობასთან შედარებით, დღეში საშუალოდ ორი საათით ნაკლებ დროს ხარჯავენ ამ აქტივობებზე. ყველა სამუშაო ძალის სტატუსის შემთხვევაში, დასვენებაზე კაცები, ქალებთან შედარებით, მეტ დროს ხარჯავენ - სხვაობა 0.8 საათიდან 1.7 საათამდე მერყეობს.

დიაგრამა 2.32


მოსახლეობის მიერ კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასშედიასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, საათი დღეში




ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით



განათლების დონის მიხედვით



უფრო მაღალი განათლების დონის მქონე მოსახლეობა ნაკლებ დროს ხარჯავს დასვენებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. კერძოდ, ზოგადი განათლების არ მქონე მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი 5.6 საათს, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში 3.8 საათს შეადგენს. ყველა განათლების დონის შემთხვევაში, კაცები, ქალებთან შედარებით, მეტ დროს ხარჯავენ დასვენებაზე. ყველაზე დიდი გენდერული სხვაობა ზოგადი განათლების არ მქონე მოსახლეობაშია და დღეში 2.8 საათს შეადგენს.



დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, დასვენებაზე დახარჯული დროის 67-74 პროცენტს მასმედიის გამოყენებაზე დახარჯული დრო შეადგენს, ხოლო დროის 19-26 პროცენტს - რეფლექსიასა და რელაქსაციასთან დაკავშირებული დრო. ქალები, კაცებთან შედარებით, მასმედიას მეტ დროს უთმობენ (ცხრილი E.27).

დასახლების ტიპის მიხედვით, დასვენებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში მოსახლეობის მონაწილეობის დონე 93.6 პროცენტიდან 97.4 პროცენტამდე მერყეობს. სოფლებში აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით აღემატება თბილისისა და სხვა ქალაქების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ქალების მონაწილეობის დონე, კაცებთან შედარებით, ოდნავ ნაკლებია.

როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში, დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონე უფრო ნაკლებია დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში და იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. გენდერული განსხვავება ყველაზე ნაკლებია 15-24 წლის და 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში (დიაგრამა 2.33 და ცხრილი E.28a).

დიაგრამა 2.33


კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მოსახლეობის მონაწილეობის დონე, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი



დასვენებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე ქალი და კაცი მონაწილეობის მიერ დახარჯული დრო მსგავსია დასახლების ყველა ტიპისთვის. სოფლებში და თბილისში მცხოვრები კაცები დასვენებაზე ნაკლებ დროს ხარჯავენ სხვა ქალაქებში მცხოვრებ კაცებთან შედარებით (დიაგრამა 2.34 და ცხრილი E.28a).

დიაგრამა 2.34

მონაწილეების მიერ კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, საათი დღეში









ამ აქტივობებში მონაწილე მოსახლეობაში, კაცები, ქალებთან შედარებით, დღეში საშუალოდ 0.8 საათით მეტ დროს ხარჯავენ. გენდერული სხვაობა ყველაზე მცირეა თბილისში (0.7 საათი დღეში) (ცხრილი E.28b).

15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, მონაწილეების მიერ ამ აქტივობებზე დახარჯული დრო 4.3 საათია, ხოლო 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფისათვის უფრო ნაკლები - 3.4 საათი. მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში, ეს დრო კიდევ უფრო იზრდება. ტენდენცია მსგავსია ყველა ტიპის დასახლებაში (ცხრილი E.28b).

2.5 აუცილებლობასთან

დაკავშირებული დრო

აუცილებლობასთან დაკავშირებული დრო ეთმობა საკუთარ თავზე ზრუნვასა და თავის მოვლას (ICATUS 9)

ჩანართი 2.10	
საკუთარ თავზე ზრუნვა და თავის მოვლა (ICATUS-ის კოდები 91-95, 99)	
	ძილი და მასთან დაკავშირებული აქტივობები
	საკვების და სასმელის მიღება
	პირადი ჰიგიენა და თავის მოვლა
	სხვა პირებისგან ზრუნვის მიღება პირად და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე
	საკუთარი თავის მოვლასთან და საკუთარ თავზე ზრუნვასთან დაკავშირებული მგზავრობის დრო
	საკუთარი თავის მოვლასთან და საკუთარ თავზე ზრუნვასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები

ყველა ტიპის დასახლებაში, როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის, საკუთარ თავზე ზრუნვასა და თავის მოვლასთან დაკავშირებული აქტივობებიდან ყველაზე მეტი დრო ძილსა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე (77-80 პროცენტი) იხარჯება. სხვადასხვა ტიპის დასახლებაში საკვებისა და სასმელის მიღებას ეთმობა თავის მოვლაზე ქალების მიერ დახარჯული დროის 12.2-13.4 პროცენტი, ხოლო კაცების დროის - 13.1-14.2 პროცენტი. პირადი ჰიგიენისა და თავის მოვლის აქტივობებს ეთმობა თავის მოვლაზე დახარჯული დროის 8.2-9.4 პროცენტი ქალების შემთხვევაში, ხოლო 8.5-9.2 პროცენტი კაცების შემთხვევაში (ცხრილი E.29a).

საქართველოს მოსახლეობას დღეში საშუალოდ 9.1 საათი სძინავს. მნიშვნელოვანი განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვით არ გამოვლენილა. 15-44 წლის მოსახლეობაში ქალებისა და კაცების მიერ ძილზე დახარჯული დრო მსგავსია. 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ქალებისა და კაცების მიერ ძილისთვის დათმობილი დრო წინა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით მცირდება 9.7 საათიდან 8.9 საათამდე, ხოლო 45-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 8.7 საათამდე ქალებისათვის და 8.6 საათამდე კაცებისათვის. თუმცა, 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში ძილზე დახარჯული დრო მეტია წინა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით და ქალების შემთხვევაში 9.7 საათს, ხოლო კაცების შემთხვევაში 9.3 საათს შეადგენს (ცხრილი E.29b).

ყველა ტიპის დასახლებაში, ქალებისა და კაცების მიერ საკვებისა და სასმელის მიღებაზე დახარჯული დრო მსგავსია. ამ აქტივობებზე დახარჯული დრო მცირედით იზრდება ასაკის მატებასთან ერთად ორივე სქესის შემთხვევაში (ცხრილი E.29b).

ქალებისა და კაცების მიერ პირად ჰიგიენასა და თავის მოვლაზე დახარჯული დრო თითქმის არ განსხვავდება დასახლების ტიპისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (1.0 - 1.1 საათი დღეში) (ცხრილი E.29b).

2.6 მგზავრობაზე დახარჯული

დრო

ICATUS-ში მგზავრობასთან დაკავშირებული აქტივობები დაჯგუფებულია კატეგორიებად მგზავრობის მიზნის მიხედვით (ცხრილი 2.3). დღის განმავლობაში მგზავრობაზე დახარჯული მთელი დრო წარმოადგენს თითოეულ ამ კატეგორიაზე დახარჯული დროის ჯამს (დიაგრამა 2.35 და ცხრილი E.30a).

ცხრილი 2.3

მგზავრობა და მასთან დაკავშირებული აქტივობები ICATUS-ის მიხედვით

აქტივობა	ICATUS კოდი
სამუშაოსთან დაკავშირებული მოგზაურობა და მგზავრობა	18
საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებისთვის პროდუქტების ან ადამიანების მგზავრობა, გადაადგილება, ტრანსპორტირება ან მათი თანხლება	25
შინამეურნეობისთვის ან ოჯახის წევრებისთვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო მომსახურებასთან დაკავშირებული მგზავრობა, პროდუქციის გადაზიდვა ან პირების თანხლება	38
შინამეურნეობის ან ოჯახის წევრების აუნაზღაურებელ ზრუნვის მომსახურებასთან დაკავშირებული მგზავრობა, პროდუქციის გადაზიდვა ან პირების თანხლება	44
მგზავრობის დრო, რომელიც უკავშირდება მოხალისის, სტაჟიორის და სხვა აუნაზღაურებელ სამუშაოს	54
სწავლასთან დაკავშირებული მგზავრობის დრო	64
სოციალიზაციასა და კომუნიკაციასთან, თემში და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობასთან დაკავშირებული მგზავრობის დრო	75
კულტურულ, დასვენების, მასმედიის და სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებული მგზავრობის დრო	86
საკუთარი თავის მოვლასთან და საკუთარ თავზე ზრუნვასთან დაკავშირებული მგზავრობის დრო	95


საქართველოს მოსახლეობა მგზავრობაზე დღეში საშუალოდ 0.7 საათს (42 წუთს) ხარჯავს. მგზავრობაზე დახარჯული დრო კაცების შემთხვევაში დღეში საშუალოდ 0.9 საათს შეადგენს, რაც 0.3 საათით (18 წუთით) აღემატება ქალების მიერ დახარჯულ დროს - 0.6 საათს. თბილისის მოსახლეობა დღეში საშუალოდ 0.9 საათს ხარჯავს მგზავრობაზე, რაც მცირედით აღემატება სხვა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებთა მიერ დახარჯულ დროს (0.7 საათი და 0.6 საათი, შესაბამისად).

ყველა ასაკობრივ ჯგუფში, კაცების მიერ მგზავრობაზე დახარჯული დრო უმნიშვნელოდ აღემატება ქალების მიერ დახარჯულ დროს. მგზავრობაზე ყველაზე მეტ დროს 25-44 წლის მოსახლეობა ხარჯავს (კაცები - 1.1 საათი დღეში და ქალები - 0.7 საათი დღეში). ასაკის მატებასთან ერთად, ქალებიც და კაცებაც ნაკლებ დროს ხარჯავენ მგზავრობაზე.


სამუშაო ძალის ყველა სტატუსის შემთხვევაში, კაცების მიერ მგზავრობაზე დახარჯული დრო მცირედ აღემატება ქალების ამავე მაჩვენებელს. ორივე სქესის შემთხვევაში, მგზავრობაზე ყველაზე მეტ დროს დასაქმებული პირები ხარჯავენ. სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობა, დასაქმებულებთან შედარებით, მგზავრობაზე ორჯერ ნაკლებ დროს ხარჯავს.

დიაგრამა 2.35

მოსახლეობის მიერ მგზავრობაზე დახარჯული საშუალო დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, საათი დღეში



სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით



ყველა ტიპის დასახლებაში, ორივე სქესის შემთხვევაში, მგზავრობის ძირითადი კატეგორიებია: სამუშაოსთან დაკავშირებული მოგზაურობა და მგზავრობა; შინამეურნეობისთვის ან ოჯახის წევრებისთვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო მომსახურებასთან დაკავშირებული მგზავრობა, პროდუქციის გადაზიდვა ან პირების თანხლება; სოციალიზაციასა და კომუნიკაციასთან, თემში და რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობასთან დაკავშირებული მგზავრობის დრო (ცხრილი E.30b).

მგზავრობასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში ყველაზე მაღალი მონაწილეობის დონე, ასევე ზემოთ აღნიშნულ სამ კატეგორიაში ფიქსირდება (ცხრილი E.31a). გამონაკლისს წარმოადგენს სოფლებში მცხოვრები კაცები, რომელთა მგზავრობასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონეც საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებისთვის მგზავრობის კატეგორიაში ოდნავ უფრო მაღალია (12.5 პროცენტი), ვიდრე აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული მგზავრობის კატეგორიაში (11.7 პროცენტი).

მგზავრობასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონის მიხედვით, ახალგაზრდა (15-24 წლის) მოსახლეობისთვის, დასახლების ტიპის მიუხედავად, მგზავრობის ძირითადი მიზეზი სოციალიზაცია და სათემო ჩართულობაა (ცხრილი E.31b). ქალაქებში, 25-64 წლის ქალების მგზავრობა ძირითადად აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობებს უკავშირდება, ხოლო კაცებში მგზავრობის ძირითადი მიზეზი დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობებია. თბილისში, 65 წლის და უფროსი ასაკის ქალებისთვის, მგზავრობის მიზეზი ძირითადად აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობაა, სხვა ქალაქებში და სოფლებში კი - სოციალიზაცია და სათემო ჩართულობა. თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრები ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცებისთვის მგზავრობა უმთავრესად აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობებს უკავშირდება, ხოლო სოფლებში მცხოვრები კაცებისთვის - სოციალიზაციას და სათემო ჩართულობას.

მგზავრობასთან დაკავშირებული ამ მონაცემების ინტერპრეტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კვლევის ჩატარების დროს არსებული COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები, რასაც შესაძლოა მგზავრობის დროზე მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა გარკვეულ პერიოდებში „დარჩი სახლში“ წესისა და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

2.7 აქტივობების

განახილების დინამიკა 24


საათის განმავლობაში

წარმოდგენილი ტემპოგრამა ასახავს საქართველოს მოსახლეობის მიერ 24 საათის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების განაწილების დინამიკას (დიაგრამა 2.36):

- ▶ საკუთარ თავზე ზრუნვა (ძილი, საკვების მიღება, ჰიგიენა და ა.შ.): საქართველოს მოსახლეობა დაძინებას იწყებს 22:00 საათიდან და ამ მათი რაოდენობა პიკს აღწევს დაახლოებით დილის 05:00 საათზე. დღის დანარჩენ მონაკვეთში ეს აქტივობები ძირითადად უკავშირდება საკვების მიღებას, პირად ჰიგიენას და სხვა თავის მოვლის აქტივობებს. სადილობის ტიპური დრო 14:00 საათია, ხოლო ვახშმის - 20:00 საათი.
- ▶ ანაზღაურებადი შრომა (დასაქმება და პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის: მუშაობის საათები იწყება 06:00-დან და გრძელდება 24:00-მდე, თუმცა, მოსახლეობის უმრავლესობა ამ აქტივობებში ჩართულია 09:00 საათიდან 18:00 საათამდე. ტემპოგრამაზე ჩაღრმავებები მიანიშნებს დროის ამ მონაკვეთში საკვების მიღებასთან დაკავშირებულ შესვენებებზე.
- ▶ აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის საქმიანობა იწყება დილით ადრე, პიკს აღწევს დაახლოებით 11:00 საათზე და გრძელდება გვიანობამდე.
- ▶ სოციალიზაციასა და დასვენებებთან დაკავშირებულ აქტივობებში მოსახლეობა ერთვება 12:00 საათიდან, თუმცა, ამ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა პიკს აღწევს (40-50 პროცენტი) საღამოს 20:30-დან 22:30 საათამდე.

დიაგრამა 2.36



24 საათის განმავლობაში მოსახლეობის მონაწილეობის დონე სხვადასხვა აქტივობაში, პროცენტი



დიაგრამა 2.37 აჩვენებს, რომ ანაზღაურებად შრომაში ქალების მონაწილეობის დონე დაბალია კაცების მონაწილეობის დონესთან შედარებით. მაშინ, როდესაც კაცების ჩართულობა აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის საქმიანობებში ნაკლებია ქალებთან შედარებით. ქალების დიდი ნაწილი აუნაზღაურებელ საქმიანობაში 10:30-დან 13:30-მდე ერთვება (30 პროცენტი) და ამ საქმიანობას დაახლოებით 22:00 საათამდე აგრძელებს. კაცების შემთხვევაში აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის საქმიანობები ძირითადად დაახლოებით 18:00 საათისთვის სრულდება, რის შემდეგაც იწყება სოციალიზაციისა და დასვენების აქტივობები.

დიაგრამა 2.37

24 საათის განმავლობაში მოსახლეობის მონაწილეობის დონე სხვადასხვა აქტივობაში, სქესის მიხედვით, პროცენტი




თბილისში ანაზღაურებადი შრომის უფრო დიდი წილი დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე მოდის. მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი აგრძელებს მუშაობას 21:00 საათის შემდეგ. მოსახლეობის დიდი ნაწილი აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობას 12:00 საათიდან 21:00 საათამდე ასრულებს. მოსახლეობის მონაწილეობის დონე სოციალიზაციასა და დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში იზრდება 20:30 საათიდან და მცირდება 23:00 საათის შემდეგ (დიაგრამა 2.38).

თბილისთან შედარებით, სხვა ქალაქებში მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილია ჩართული საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის პროდუქციის წარმოებაში. აუნაზღაურებელ სამუშაოში მოსახლეობის ჩართულობის პერიოდი სხვა ქალაქებში თბილისის მსგავსია. თბილისის მსგავსად, სხვა ქალაქებშიც სოციალიზაციასა და დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის წილი პიკს აღწევს საღამოს საათებში (დიაგრამა 2.38).


სხვა ქალაქებთან შედარებით, სოფლებში მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილია ჩართული საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის პროდუქციის წარმოებაში. სადილის დრო სოფლებში ბევრად უფრო გამოკვეთილია და დაღმავალია, ვიდრე სხვა ქალაქებში. აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის საქმიანობები ძირითადად 22:00 საათამდე გრძელდება. სოფლის მოსახლეობის 40-50 პროცენტი ჩართულია სოციალიზაციასა და დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ძირითადად ჩართულია 20:30 საათსა და 22:00 საათს შორის (პიკის საათები) (დიაგრამა 2.38).

დიაგრამა 2.38

24 საათის განმავლობაში მოსახლეობის მონაწილეობის დონე სხვადასხვა აქტივობაში, დასახლების ტიპის მიხედვით, პროცენტი




სსვა ქალაქები



-  საკუთარ თავზე ზრუნვა
-  დასვენება
-  სოციალიზაცია და კომუნიკაცია
-  სწავლა
-  მოხალისეობრივი და სსვა სახის აუნაზღაურებელი შრომა
-  აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება
-  აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება
-  პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის
-  დასაქმება

სოფლები




-  საკუთარ თავზე ზრუნვა
-  დასვენება
-  სოციალიზაცია და კომუნიკაცია
-  სწავლა
-  მოხალისეობრივი და სსვა სახის აუნაზღაურებელი შრომა
-  აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება
-  აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება
-  პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის
-  დასაქმება


სწავლასთან დაკავშირებული აქტივობები ყველაზე გავრცელებულია 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ამ ასაკის მოსახლეობის 15-20 პროცენტი სასწავლო აქტივობებს 10:00-დან 18:00 საათამდე ახორციელებს. ახალგაზრდების მონაწილეობის დონე სოციალიზაციასა და დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში იზრდება დაახლოებით 11:00 საათიდან, პიკს აღწევს 21:00-დან 23:00 საათამდე და მცირდება 23:00 საათის შემდეგ.

დიაგრამა 2.39

24 საათის განმავლობაში მოსახლეობის მონაწილეობის დონე სხვადასხვა აქტივობაში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი




25-44 წლის მოსახლეობა




-  საკუთარ თავზე ზრუნვა
-  დასვენება
-  სოციალიზაცია და კომუნიკაცია
-  სწავლა
-  მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა
-  აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება
-  აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება
-  პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის
-  დასაქმება

45-64 წლის მოსახლეობა



-  საკუთარ თავზე ზრუნვა
-  დასვენება
-  სოციალიზაცია და კომუნიკაცია
-  სწავლა
-  მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა
-  აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება
-  აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება
-  პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის
-  დასაქმება

65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა



25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში, წინა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით, იზრდება ანაზღაურებად სამუშაოში ჩართულობის დონე. სამუშაო საათები უმეტესად 9:00-დან 18:00 საათამდე გრძელდება. 20:00 საათის შემდეგ 25-44 წლის მოსახლეობის 10 პროცენტზე ნაკლები მუშაობს. ამ ასაკობრივ ჯგუფში აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის აქტივობებში მონაწილეობის დონე ასევე იზრდება წინა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით და პიკს აღწევს 10:00-12:00 საათების მონაკვეთში. ზრუნვის საქმიანობები ყველაზე მეტად ამ ასაკობრივ ჯგუფშია გავრცელებული და ძირითადად საღამოს საათებში - 20:00-დან 22:00 საათამდე ხორციელდება. დასვენებასა და სოციალიზაციასთან დაკავშირებული აქტივობები ყველაზე გავრცელებულია 19:00-დან 23:00 საათამდე პერიოდში.

45-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე მაღალია საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის დონე. ანაზღაურებადი საქმიანობები ამ ასაკის მოსახლეობის მიერ ძირითადად 8:00-დან 19:00 საათამდე სრულდება. წინა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით ამ ასაკობრივ ჯგუფში მცირდება სოციალიზაციაზე დახარჯული დრო. 23:00 საათის შემდეგ 45-64 წლის მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლებია ჩართული სოციალიზაციასთან დაკავშირებულ აქტივობებში. ამ ასაკობრივ ჯგუფში, წინა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით, მცირდება ზრუნვის საქმიანობებში მონაწილეობის დონე და იზრდება საოჯახო საქმიანობებში მონაწილეობის დონე. 45-64 წლის მოსახლეობის 17-24 პროცენტი აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაში 9:00-დან 19:00-მდე საათების პერიოდშია ჩართული, რაც პიკს 11:00-12:00 საათებს აღწევს.

სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში მცირდება ანაზღაურებად სამუშაოში (განსაკუთრებით დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებში), ზრუნვის საქმიანობებში, სოციალიზაციასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონე და იზრდება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებასა და დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონე. ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობისათვის დასვენებასთან დაკავშირებული აქტივობები იწყება დილის 10 საათზე და პიკს აღწევს 20:00-დან 22:00 საათამდე, როდესაც მონაწილეობის დონე 45-58 პროცენტს შეადგენს (დიაგრამა 2.39).

დროის გამოყენება

საქართველოს მოსახლეობის

სხვადასხვა ჯგუფის მიერ



3.1 დროის გამოყენება 15

წელზე უმცროსი ასაკის

ბავშვების მშობლების მიერ

ანალიზისთვის ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებული აქტივობები შვიდ კატეგორიადაა დაჯგუფებული (ჩანართი 3.1).

ჩანართი 3.1

ბავშვზე ზრუნვის კატეგორიები ICATUS-ის მიხედვით

C1	ფიზიკური და ემოციური ზრუნვა ბავშვზე	411	ბავშვის მოვლა, კვების, დალაგების, ფიზიკური მოვლის ჩათვლით
		412	ბავშვის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა
C2	ბავშვის სწავლება, ტრენინგი, დახმარება	413	ბავშვის სწავლება, ტრენინგი, დახმარება
		414	ბავშვთან საუბარი და კითხვა
C3	ბავშვთან თამაში, საუბარი, კითხვა	415	ბავშვთან თამაში და სპორტული აქტივობებით დაკავება
		416	ბავშვზე პასიური ზრუნვა (მეთვალყურეობა)
C5	სკოლაში და ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებში ვიზიტი	417	სკოლებში და ბავშვის მოვლის დაწესებულებებში შეხვედრები
C6	ამ აქტივობებთან დაკავშირებული მგზავრობა	441	შინამეურნეობის და ოჯახის წევრებზე ზრუნვის მომსახურებებთან დაკავშირებული მგზავრობა
		442	შვილების თანხლება
C7	სხვა	419	ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები

მოცემულ სექციაში წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა 603 მამის და 759 დედის გამოკითხვას (ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1

გამოკითხული მშობლების რიცხოვნობა ყველაზე უმცროსი შვილის ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით

	15 წელზე უმცროსი შვილის		12-14 წლის შვილის	
	მამები	დედები	მამები	დედები
საქართველო	603	759	89	102
თბილისი	204	276	29	36
სხვა ქალაქები	194	253	35	38
სოფელი	205	230	25	28
	5-11 წლის შვილის		0-4 წლის შვილის	
	მამები	დედები	მამები	დედები
საქართველო	245	333	269	324
თბილისი	89	127	86	113
სხვა ქალაქები	74	104	85	111
სოფელი	82	102	98	100



3.1.1 ბავშვზე ზრუნვაზე დახარჯული დრო

საქართველოში მცხოვრები დედების 80 პროცენტი ჩართულია ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ აქტივობებში, რაც ორჯერ აღემატება მამების ამავე მაჩვენებელს - 37.6 პროცენტს. სოფლებში მცხოვრები დედების მონაწილეობის დონე 2.4-ჯერ მეტია, ვიდრე მამების (დედების - 81.1 პროცენტი, მამების - 34.4 პროცენტი). დასახლების ტიპის მიხედვით, თბილისში მცხოვრები მამების მონაწილეობის დონე ყველაზე მაღალია და 43.1 პროცენტს შეადგენს, სხვა ქალაქებში - 36.1 პროცენტს, ხოლო სოფლებში - 34.4 პროცენტს (ცხრილი E.32a).

საქართველოში მცხოვრები დედები ბავშვზე ზრუნვაზე კვირაში საშუალოდ 20.4 საათს ხარჯავენ (პარალელური აქტივობების ჩათვლით), რაც ხუთჯერ მეტია მამების მიერ დახარჯულ დროსთან (3.9 საათი კვირაში) შედარებით. დედები ამ დროის ნახევარს (10.5 საათი) ბავშვზე ფიზიკურ და ემოციურ ზრუნვას უთმობენ, მამები კი დროის ნახევარზე მეტს (2.2 საათს) ბავშვთან თამაშზე, საუბარსა და კითხვაზე ხარჯავენ. დასახლების ტიპის მიხედვით, სხვა ქალაქებში მცხოვრები დედები შედარებით ნაკლებ დროს ხარჯავენ ბავშვზე ზრუნვაზე (18.5 საათი), ვიდრე თბილისსა და სოფლებში (21.4 საათი და 21.1 საათი, შესაბამისად). თბილისში მცხოვრები მამები ბავშვზე ზრუნვას კვირაში საშუალოდ 4.6 საათს უთმობენ, სხვა ქალაქებსა და სოფლებში კი - 3.6 საათს და 3.5 საათს, შესაბამისად. სოფლებში მცხოვრები დედების მიერ ბავშვზე ზრუნვაზე დახარჯული დრო 6-ჯერ აღემატება მამების ამავე მაჩვენებელს (ცხრილი E.32a).

დიაგრამა 3.1

15 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვების მშობლების მიერ ბავშვზე ზრუნვაზე კვირაში დახარჯული საშუალო დრო (საათი) და მონაწილეობის დონე (პროცენტი), დასახლების ტიპის მიხედვით



3.1.2 განსხვავებები უმცროსი შვილის ასაკის მიხედვით

ყველა ტიპის დასახლებაში, დედების და მამების მიერ ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის დონე და ამ აქტივობებზე დახარჯული დრო მცირდება უმცროსი შვილის ასაკის მატებასთან ერთად (ცხრილები E.32b და E.32c).

ბავშვზე ზრუნვაზე დახარჯული დრო და მონაწილეობის დონე, უმცროსი შვილის ასაკის მატებასთან ერთად, განსხვავებულად იცვლება ბავშვზე ზრუნვის კატეგორიების მიხედვით (ცხრილი E.32b). მაგალითად, დედების მიერ ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ ზრუნვაზე დახარჯული დრო, ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად მცირდება (0-4 წლის - 17.6 საათი; 5-11 წლის - 6.3 საათი და 12-14 წლის - 0.5 საათი). მეორეს მხრივ, ბავშვის სწავლებასთან და დახმარებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული დრო 0-4 ასაკობრივი ჯგუფისთვის კვირაში საშუალოდ 2.0 საათს შეადგენს, 5-11 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის უფრო მეტია და შეადგენს 2.0 საათს, ხოლო 12-14 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის მხოლოდ 1.4 საათია. მამების შემთხვევაში, ბავშვთან თამაშზე, კითხვასა და საუბარზე დახარჯული დრო, უმცროსი ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად მცირდება (0-4 წლის - 3.8 საათი; 5-11 წლის - 1.0 საათი და 12-14 წლის - 0.1 საათი). ამ აქტივობებში მონაწილეობის დონეები საშუალოდ დახარჯული დროის მსგავსად იცვლება (იხილეთ ცხრილი E.32c).

3.1.3 განსხვავებები მშობლის სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით

გამოკითხული მშობლების რიცხოვნობა სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 3.2. განსხვავებული ფერით მონიშნულია ის ჯგუფები, რომლებშიც გამოკითხული რესპონდენტების რიცხოვნობა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად (შესაბამისად, ცხრილში E. 33 არ არის მოცემული სტატისტიკური მაჩვენებლები ამ ჯგუფებისთვის).

ცხრილი 3.2

გამოკითხული მშობლების რიცხოვნობა სამუშაო ძალის სტატუსის და დასახლების ტიპის მიხედვით

სამუშაო ძალის სტატუსი	საქართველო		თბილისი		სხვა ქალაქები		სოფლები	
	დედები	მამები	დედები	მამები	დედები	მამები	დედები	მამები
სრული დროით დასაქმებული	259	401	107	149	100	139	52	113
არასრული დროით დასაქმებული	44	48	19	14	12	8	13	26
უმუშევარი	90	87	38	27	31	26	21	34
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	366	67	112	14	110	21	144	32

შენიშვნა: განსხვავებული ფერით მონიშნულია ის ჯგუფები, რომლებშიც გამოკითხული რესპონდენტების რიცხოვნობა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად.

სრული დროით დასაქმებული დედები ბავშვზე ზრუნვაზე დღეში საშუალოდ 1.7 საათს ხარჯავენ (პარალელური აქტივობების ჩათვლით), რაც 4.2-ჯერ აღემატება სრული დროით დასაქმებული მამების მიერ დახარჯულ დროს - 0.4 საათს. სოფლებში, სრული დროით დასაქმებული დედები ბავშვზე ზრუნვაზე დღეში საშუალოდ 2.0 საათს ხარჯავენ, რაც 5.8-ჯერ აღემატება მამების ამავე მაჩვენებელს - 0.3 საათს. თბილისში, სამუშაო ძალის გარეთ მყოფი დედები ბავშვზე ზრუნვაზე დღეში საშუალოდ 3.8 საათს ხარჯავენ, რაც მცირედით აღემატება სხვა ქალაქებში და სოფლებში მცხოვრები დედების ანალოგიურ მაჩვენებლებს (3.3 საათი და 3.2 საათი, შესაბამისად).

3.2 დროის გამოყენება

ახალგაზრდა მოსახლეობის

მიერ

მოცემული სექციაში წარმოდგენილია 15-24 წლის მოსახლეობის დროის გამოყენების ანალიზი, რომელიც 771 რესპონდენტის გამოკითხვას ეფუძნება. განსხვავებული ფერით მონიშნულია ის ჯგუფები, რომლებშიც გამოკითხული რესპონდენტების რიცხოვნობა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად (ცხრილი 3.3).

ცხრილი 3.3

გამოკითხული ახალგაზრდების (15-24 წლის) რიცხოვნობა საცხოვრებელი პირობების, განათლების და სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით

	საქართველო			თბილისი			სხვა ქალაქები			სოფლები		
	♂♀	♀	♂	♂♀	♀	♂	♂♀	♀	♂	♂♀	♀	♂
შერჩევა, სულ	771	392	379	299	163	136	234	119	115	238	110	128
საცხოვრებელი პირობები												
ცხოვრობს ოჯახთან ერთად	764	391	373	294	162	132	233	119	114	237	110	127
ცხოვრობს სხვებთან ერთად	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ცხოვრობს მარტო	7	1	6	5	1	4	1	0	1	1	0	1
განათლების სტატუსი												
სწავლობს	477	252	225	204	115	89	152	80	72	121	57	64
არ სწავლობს	294	140	154	95	48	47	82	39	43	117	53	64
სამუშაო ძალის სტატუსი												
სრული დროით დასაქმებული	142	60	82	71	38	33	34	11	23	37	11	26
არასრული დროით დასაქმებული	40	21	19	19	11	8	6	5	1	15	5	10
დაუსაქმებელი	589	311	278	209	114	95	194	103	91	186	94	92

შენიშვნა: განსხვავებული ფერით მონიშნულია ის ჯგუფები, რომლებშიც გამოკითხული რესპონდენტების რიცხოვნობა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად.

ახალგაზრდების მიერ დროის გამოყენება განსხვავებულია უფროსი ასაკის მოსახლეობისგან. ახალგაზრდები მეტ დროს უთმობენ ძილს და სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებს, თუმცა, ნაკლებ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის საქმიანობებზე. ვინაიდან ახალგაზრდა მოსახლეობა არაერთგვაროვანია და მოიცავს როგორც მოსწავლეებს/


სტუდენტებს და დასაქმებულებს, ასევე მათ ვინც არ არიან მოსწავლეები/სტუდენტები ან დასაქმებულები, მათ მიერ დროის გამოყენება განსხვავებულია სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით.

3.2.1 განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვით


ოჯახთან ერთად მცხოვრები ახალგაზრდები ყველაზე მეტ დროს შემდეგ აქტივობებზე ხარჯავენ: საკუთარი თავის მოვლა და საკუთარ თავზე ზრუნვა (50.6 პროცენტი), დასვენება (16.9 პროცენტი), სოციალიზაცია და სათემო ჩართულობა (10.2 პროცენტი) და სწავლა (8.7 პროცენტი). ახალგაზრდებში, ისევე როგორც ზოგადად მოსახლეობაში, ცოტა დრო ეთმობა მოხალისეობრივ საქმიანობას. ახალგაზრდა ქალები, ახალგაზრდა კაცებთან შედარებით, ნაკლებ დროს ხარჯავენ ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან პირველ სამ აქტივობაზე. ხოლო სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე ახალგაზრდა ქალები, კაცებთან შედარებით მეტ დროს ხარჯავენ (დიაგრამა 3.2).

დიაგრამა 3.2

ოჯახებთან ერთად მცხოვრები ახალგაზრდების (15-24 წლის) მიერ ძირითად აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, საათი კვირაში



სხვა ქალაქები



ქალები



კაცები



დასაქმება და პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის



აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება



აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება



მობალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა



სწავლა



სოციალიზაცია და კომუნიკაცია




დასვენება



საკუთარ თავზე ზრუნვა

სოფლები



ახალგაზრდა ქალები მეტ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის საქმიანობებზე (10.8 საათი და 6.9 საათი კვირაში, შესაბამისად), ვიდრე ახალგაზრდა კაცები (1.8 საათი და 0.3 საათი კვირაში, შესაბამისად). ამ აქტივობებზე დახარჯულ დროში გამოვლენილი გენდერული განსხვავებები ყველაზე დიდია სოფლებში და შეადგენს 13.7 საათს აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობისათვის და 10.9 საათს აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობისათვის (ცხრილი E.34a).

3.2.2 განსხვავებები განათლების სტატუსის მიხედვით


ახალგაზრდა ქალები, რომლებიც სწავლობენ, კვირაში 24.2 საათს ხარჯავენ სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, ხოლო ახალგაზრდა კაცები - 20.2 საათს (დიაგრამა 3.3 და ცხრილი E.34b).

ახალგაზრდა ქალები, რომლებიც არ სწავლობენ, მუშაობენ 14.6 საათს, ხოლო ახალგაზრდა კაცები - 25.0 საათს.

განათლების სტატუსის მიუხედავად, ახალგაზრდა კაცებისა და ქალების მიერ ძილზე დახარჯული დრო შეადგენს საკუთარ თავზე ზრუნვისა და თავის მოვლის მთელი დროის დაახლოებით 84-86 პროცენტს.

დიაგრამა 3.3

ახალგაზრდების (15-24 წლის) მიერ ძირითად აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, განათლების სტატუსისა და სქესის მიხედვით, საათი კვირაში



მათი დროის უმეტეს ნაწილს იკავებს დასვენებასთან, სოციალიზაციასთან და სათემო ჩართულობასთან (განსაკუთრებით - მედიის მოხმარება) დაკავშირებული აქტივობები (ცხრილი E.34b).

სწავლაში ჩართული ახალგაზრდა ქალები 9.7 საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საქმიანობაზე, ხოლო კაცები - მხოლოდ 1.6 საათს. ახალგაზრდა ქალები, რომლებიც არ სწავლობენ, კვირაში 31.7 საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელი სამუშაოს შესრულებაზე, ხოლო კაცები - მხოლოდ 2.9 საათს.

3.2.3 განსხვავებები სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით


სრული დროით დასაქმებული ახალგაზრდა ქალები კვირაში საშუალოდ 46.4 საათს ხარჯავენ დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, ხოლო კაცები - 54.3 საათს (დიაგრამა 3.4. და ცხრილი E.34c).

სრული დროით დასაქმებული ახალგაზრდა ქალები და კაცები, დაუსაქმებელ პირებთან შედარებით უფრო ნაკლებ დროს უთმობენ დასვენებასა და სოციალიზაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

დაუსაქმებელი ახალგაზრდა ქალები აუნაზღაურებელ საქმიანობაზე კვირაში საშუალოდ 19 საათს ხარჯავენ, ხოლო კაცები - 2 საათს.

დიაგრამა 3.4

ახალგაზრდების (15-24 წლის) მიერ ძირითად აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო სამუშაო ძალის სტატუსისა და სქესის მიხედვით, საათი კვირაში



3.3 დროის გამოყენება

ასაკოვანი პირების (65 წლისა და უფროსი) მიერ

მოცემული სექციაში წარმოდგენილია 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის დროის გამოყენების ანალიზი, რომელიც 1,308 რესპონდენტის გამოკითხვას ეფუძნება. ზოგიერთ შემთხვევაში, დეტალური ანალიზისთვის შედარებულია 65-74 წლისა და 75 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ჯგუფები. განსხვავებული ფერით მონიშნულია ის ჯგუფები, რომლებშიც გამოკითხული რესპონდენტების რიცხოვნობა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად (ცხრილი 3.4).

ცხრილი 3.4

გამოკითხული ასაკოვანი პირების (65 წლის და უფროსი) რიცხოვნობა საცხოვრებელი პირობების, განათლების და სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით

	საქართველო		თბილისი		სხვა ქალაქები		სოფლები	
	♀ ქალები	♂ კაცები	♀ ქალები	♂ კაცები	♀ ქალები	♂ კაცები	♀ ქალები	♂ კაცები
65-74	497	309	140	77	150	96	207	136
75+	333	169	107	37	100	38	126	94
65+	830	478	247	114	250	134	333	230


შენიშვნა: განსხვავებული ფერით მონიშნულია ის ჯგუფები, რომლებშიც გამოკითხული რესპონდენტების რიცხოვნობა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად.

3.3.1 განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვით


65 წლისა და უფროსი ასაკის ქალების და კაცების სხვადასხვა აქტივობაზე დროის განაწილება მსგავსია სამივე ტიპის დასახლებაში (დიაგრამა 3.5). ზოგიერთი აქტივობის შემთხვევაში ვლინდება გენდერული განსხვავებები, კერძოდ, ანაზღაურებადი სამუშაოს შემთხვევაში კაცები მეტ დროს ხარჯავენ, ქალებთან შედარებით (3.3 საათი და 1.6 საათი, შესაბამისად). აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის საქმიანობებზე მეტ დროს ქალები ხარჯავენ (3.2 საათი და 1.0 საათი). დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, კაცები ხარჯავენ უფრო მეტ დროს ქალებთან შედარებით (6.4 საათი და 5.4 საათი, შესაბამისად).

დიაგრამა 3.5

ასაკოვანი პირების (65 წლის და უფროსი) მიერ ძირითად აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, სათი დღეში



სსვა ქაღალეები



ქალები



კაცები



დასაქმება



პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის



აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება



აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება



მოსხლისეობრივი და სსვა სახის აუნაზღაურებელი შრომა



სწავლა



სოციალიზაცია და კომუნიკაცია




დასვენება



საკუთარ თავზე ზრუნვა

სოფლები




კაცები საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის პროდუქციის წარმოებაზე დღეში საშუალოდ 1.7 საათს ხარჯავენ. ქალების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობებზე დახარჯულ დროში (3.2 საათი დღეში) 1.7 საათი საჭმლის მომზადებას ეთმობა, ხოლო 1.0 საათი - სახლის დალაგებასა და მოვლას. კაცებშიც და ქალებშიც, დასვენების დროსთან დაკავშირებული აქტივობები ეხება მასმედიის გამოყენებას (4.6 საათი და 4.0 საათი, შესაბამისად) (ცხრილი E.35).

3.3.2 განსხვავებები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

75 წლისა და უფროსი ასაკის ქალები 65-74 წლის ქალებთან შედარებით უფრო ნაკლებ დროს ხარჯავენ, როგორც დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე (0.2 საათი დღეში და 0.9 საათი დღეში, შესაბამისად), ასევე, საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე (0.6 საათი დღეში და 1.3 საათი დღეში, შესაბამისად). ამ ორივე ტიპის აქტივობებზე ქალების მიერ დახარჯული დრო, ორივე ასაკობრივ ჯგუფში, უფრო ნაკლებია, ვიდრე კაცების მიერ დახარჯული დრო (დიაგრამა 3.6. და ცხრილი E.35).

დიაგრამა 3.6

ასაკოვანი პირების (65 წლის და უფროსი) მიერ ძირითად აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში



აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე 75 წლის და უფროს ქალები დღეში 2.5 საათს ხარჯავენ, რაც ნაკლებია 65-74 წლის ქალების მიერ დახარჯულ დროზე (3.7 საათი დღეში). სურათი მსგავსია კაცების შემთხვევაშიც. ორივე ასაკობრივ ჯგუფში, კაცები ბევრად ნაკლებ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე, ვიდრე ქალები.

ორივე ასაკობრივ ჯგუფში, ქალები და კაცები დაახლოებით 1 საათს ხარჯავენ სოციალიზაციასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. 75 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა დასვენებას უფრო მეტ დროს უთმობენ, კერძოდ, დასვენებაზე 65-74 წლის ქალები დღეში საშუალოდ 4.7 საათს ხარჯავენ, ხოლო 75 წლის და უფროსი ასაკის ქალები - 6.4 საათს. ასევე, კაცების შემთხვევაში, ამ ასაკობრივი ჯგუფებისთვის, დახარჯული დრო შეადგენს - 6.0 საათს და 7.3 საათს, შესაბამისად. ორივე ასაკობრივი ჯგუფისათვის, კაცების მიერ დასვენებაზე დახარჯული დრო აღემატება ქალების მიერ დახარჯულ დროს. 75 წლის და უფროსი ასაკის ქალები და კაცები მეტ დროს უთმობენ ძილს, ვიდრე 65-74 წლის პირები. კერძოდ, 75 წლის და უფროსი წლის ქალებს დღეში 10.3 საათი სძინავთ, ხოლო 65-74 წლის ქალებს - 9.2 საათი. 75 წლის და უფროსი ასაკის კაცებს დღეში 9.9 საათი სძინავთ, ხოლო 65-74 წლის კაცებს - 9.0 საათი.

3.4 დროის გამოყენება

შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირების მიერ

ამ სექციაში გაანალიზებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების მიერ დროის გამოყენება. შშმ პირის სტატუსის დასადგენად გამოყენებულია შემდეგი კითხვები:

- ▶ კითხვა H2e შინამეურნეობის კითხვარიდან: აქვს თუ არა (პირის სახელი) ფუნქციონალური სირთულე(ები)? [1-დიახ/2-არა]
- ▶ კითხვა I25 ინდივიდუალური კითხვარიდან: გაქვთ თუ არა რაიმე ხანგრძლივი ხასიათის დაავადება ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა? [1-დიახ/2-არა]
- ▶ კითხვა I26 ინდივიდუალური კითხვარიდან: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო გაქვთ თუ არა შეზღუდვა ისეთ საქმიანობებში, რომლებსაც ჩვეულებრივ სხვა ადამიანები ასრულებენ? თქვენი შეფასებით, თქვენ ხართ ...? [(1) უკიდურესად შეზღუდული; (2) შეზღუდული, მაგრამ არა უკიდურესად; (3) საერთოდ არ ვარ შეზღუდული]
- ▶ კითხვა I27 ინდივიდუალური კითხვარიდან: იყავით თუ არა შეზღუდული (საქმიანობაში, რომელსაც ადამიანები ჩვეულებრივ ასრულებენ) სულ მცირე გასული 6 თვის განმავლობაში ან უფრო მეტ ხანს? [1-დიახ/2-არა]

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის კატეგორიების განსაზღვრები მოცემულია ცხრილში E.36a.

მოცემული ანალიზი ეფუძნება 5,246 პირის გამოკითხვას, რომელთაგან 895 პირს ჰქონდა რაიმე სახის შეზღუდული შესაძლებლობა. როგორც ცხრილი 3.5-დან ჩანს, რესპონდენტთა მხოლოდ მცირე რაოდენობა ხვდება პირველ კატეგორიაში - აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და უკიდურესი შეზღუდვა ძირითად აქტივობებში. განსხვავებული ფერით მონიშნული უჯრებისათვის შერჩევის ზომა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად. შესაბამისად, ძირითად აქტივობებში უკიდურესი შეზღუდვის მქონე პირების შესახებ ანალიზი არ ჩატარებულა. ამავე მიზეზით არ არის წარმოდგენილი მონაცემები დასახლების ტიპისა და მოსახლეობის სხვა მახასიათებლების მიხედვით.

ცხრილი 3.5

გამოკითხული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რიცხოვნობა, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი	15-64			65+			სულ
	♀♀	♀	♂	♀♀	♀	♂	
① აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და უკიდურესი შეზღუდვა ძირითად აქტივობებში	50	13	37	100	64	36	150
② აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და შეზღუდვა ძირითად აქტივობებში, მაგრამ არა უკიდურესად	153	80	73	204	144	60	357

შებლდული შესაძლებლობების სტატუსი	15-64			65+			სულ
③ აქვს შებლდული შესაძლებლობები/ ხანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, მაგრამ არ აქვს შებლდვა აქტივობებში	291	174	117	146	102	44	437
④ არ აქვს შებლდული შესაძლებლობები ან ხანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა	3,935	2,087	1,848	684	396	288	4,619
სულ	4,429	2,354	2,075	1,134	706	428	5,563

შენიშვნა: განსხვავებული ფერით მონიშნულია ის ჯგუფები, რომლებშიც გამოკითხული რესპონდენტების რიცხოვნობა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად.

3.4.1 განსხვავებები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

იმ მოსახლეობაში, რომელთაც არ აქვს შებლდული შესაძლებლობები ან ხანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, 65 წლისა და უფროსი ასაკის პირები, ნაკლებად არიან ჩართული დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში, აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობაში და სოციალიზაციასა და სათემო აქტივობებში, 15-64 წლის პირებთან შედარებით. ხოლო საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაში, აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობებსა და დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებში უფრო მეტად არიან ჩართულნი (ცხრილი 3.6. და ცხრილი E.36b).

ცხრილი 3.6

ძირითად აქტივობებში მოსახლეობის მონაწილეობის დონე, შებლდული შესაძლებლობის სტატუსის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი

	მონაწილეობის დონე, პროცენტი					
	შებლდული შესაძლებლობების სტატუსი - 2		შებლდული შესაძლებლობების სტატუსი - 3		შებლდული შესაძლებლობების სტატუსი - 4	
	15-64 წლის					
დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები	12.5	16.2	28.5	46.5	30.9	48.8
პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	29	34.3	28.2	29.6	22.3	25.8
შინამეურნეობის და ოჯახის წევრების-თვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება	90	51.9	91.7	37	88.4	36.3
შინამეურნეობის და ოჯახის წევრების-თვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება	25.7	11.7	40.4	20.2	38.1	16.3

	მონაწილეობის დონე, პროცენტი					
	შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი - 2		შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი - 3		შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი - 4	
	♀	♂	♀	♂	♀	♂
სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა	0.7	4.9	3.7	5.3	2.6	2.6
სწავლა	4.6	1	7.6	3.6	9.5	8.1
სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო და რელიგიურ აქტივობებში მონაწილეობა	65.5	61.1	57.8	60.2	60.7	61.5
კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა	96	99.5	92.2	96.5	93	95.2
საკუთარ თავზე ზრუნვა და თავის მოვლა	100	100	100	100	100	100
65 წლის და უფროსი						
დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები	2.1	5.7	16.9	25.8	14.1	27.3
პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	28	41.3	32.5	42.5	43.8	49.9
შინამეურნეობის და ოჯახის წევრების-თვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება	79.3	53.2	92.3	65.6	90.6	48.9
შინამეურნეობის და ოჯახის წევრების-თვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება	16	11.1	15.7	8.9	13.8	8.4
სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა	1.7	3.1	0.8	1.7	1.9	3.8
სწავლა	-	-	-	-	-	-
სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო და რელიგიურ აქტივობებში მონაწილეობა	52.2	46.8	65.2	57.4	50.9	50
კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა	99.5	99.5	98.8	100	97.8	98.6
საკუთარ თავზე ზრუნვა და თავის მოვლა	100	100	100	100	100	100

65 წლამდე მოსახლეობაში, ფუნქციონალური შეზღუდვების მატებასთან ერთად, ქალებისა და კაცების მონაწილეობის დონე იკლებს დასაქმებასა და სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებში, სხვა სახის აქტივობებში კი ძირითადად მატების ტენდენციაა. გენდერული განსხვავებები, მონაწილეობის დონის მიხედვით, არ ფიქსირდება დასვენებასა და საკუთარ თავზე ზრუნვასთან დაკავშირებული აქტივობების გარდა.

65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, ფუნქციონალური შეზღუდვების მატებასთან ერთად, მონაწილეობის დონე იკლებს დასაქმებასა და საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ აქტივობებში. სხვა აქტივობებისთვის, უმეტეს შემთხვევაში სურათი საპირისპიროა.

იმ მოსახლეობაში, რომელთაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები და შეზღუდვა ძირითად აქტივობებში, მაგრამ არა უკიდურესად (მე-2 ჯგუფი), მონაწილეობის დონე დასაქმებასა და სოციალიზაციასთან დაკავშირებულ აქტივობებში ბევრად ნაკლებია 65 წლის და უფროსი ასაკის პირებში. მოსახლეობის ამ ჯგუფის კაცების შემთხვევაში მონაწილეობის დონე ნაკლებია საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ აქტივობებში სხვა ჯგუფებთან (მე-3 და მე-4) შედარებით. ქალების შემთხვევაში, აღნიშნული ტენდენცია შეიმჩნევა აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობებისთვის..

3.4.2 განსხვავებები შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მიხედვით

სხვადასხვა სტატუსის შშმ პირთა მიერ, დღის განმავლობაში აქტივობებზე დახარჯული დროის განაწილება წარმოდგენილია ცხრილებში: E.36c და 3.7. 15-64 წლის მოსახლეობაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე როგორც ქალები, ასევე კაცები, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებთან შედარებით, ნაკლებ დროს ხარჯავენ დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, ხოლო მეტ დროს საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებას უთმობენ. შშმ კაცების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული დრო ნაკლებია შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე კაცებთან შედარებით. შშმ ქალები აუნაზღაურებელ ზრუნვის საქმიანობაზე ნაკლებ დროს ხარჯავენ. შშმ ქალები, კაცებთან შედარებით, სოციალიზაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს მეტ დროს უთმობენ. შშმ ქალები და კაცები უფრო მეტ დროს უთმობენ დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებს შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე პირებთან შედარებით..

ცხრილი 3.7

მოსახლეობის მიერ ძირითად აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში

	შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი - 2		შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი - 3		შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი - 4	
	♀	♂	♀	♂	♀	♂
	15-64 წლის					
დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები	0.9	1.4	2.4	4.2	2.4	4.2
პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	0.7	1.2	0.9	1.3	0.5	1.0
შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება	3.4	1.0	3.6	0.7	3.4	0.6
შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება	0.6	0.2	1.1	0.3	1.2	0.2

	შებლუდული შესაძლებლობების სტატუსი - 2		შებლუდული შესაძლებლობების სტატუსი - 3		შებლუდული შესაძლებლობების სტატუსი - 4	
	♀	♂	♀	♂	♀	♂
სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა	0.0	0.2	0.1	0.2	0.1	0.1
სწავლა	0.2	0.0	0.3	0.1	0.4	0.4
სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო და რელიგიურ აქტივობებში მონაწილეობა	1.8	1.7	1.1	1.6	1.3	1.8
კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა	4.4	5.7	3.2	4.3	3.2	4.1
საკუთარ თავზე ზრუნვა და თავის მოვლა	11.8	12.5	11.2	11.2	11.4	11.5
65 წლის და უფროსი						
დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები	0.1	0.5	1.3	2.4	0.9	2.0
პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის	0.7	1.6	0.7	1.8	1.1	1.9
შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება	2.8	0.8	3.2	1.0	3.5	1.1
შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება	0.3	0.1	0.3	0.1	0.2	0.1
შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.1
სწავლა	-	-	-	-	-	-
სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო და რელიგიურ აქტივობებში მონაწილეობა	1.1	0.9	1.3	0.8	1.0	1.0
კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა	6.3	7.3	4.6	6.1	5.0	6.1
საკუთარ თავზე ზრუნვა და თავის მოვლა	12.7	12.7	12.5	11.8	12.1	11.7

65 წლის და უფროსი ასაკის შებლუდული შესაძლებლობების პირები, შებლუდული შესაძლებლობის არმქონე პირებთან შედარებით, ნაკლებ დროს ხარჯავენ ანაზღაურებად საქმიანობაზე, სოციალიზაციაზე და აუნაზღაურებელ საოჯახო შრომაზე, ხოლო მეტ დროს დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებს უთმობენ.







3.5 დროის გამოყენება

ეთნიკური კუთვნილების მიხედვით

გამოკვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ. მოსახლეობის განაწილება ეთნიკური კუთვნილების, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოცემულია ცხრილი 3.8-ში.

ცხრილი 3.8

გამოკითხული მოსახლეობის რიცხოვნობა, ეთნიკური კუთვნილების, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მიხედვით

	ქართველი			სხვა ეთნიკური ჯგუფები		
						
ასაკობრივი ჯგუფები						
15–64	3 997	2 151	1 846	425	233	192
65+	1 137	716	421	171	114	57
სულ	5 134	2 867	2 267	596	347	249
დასახლების ტიპი						
თბილისი	1 725	1 013	712	156	101	55
სხვა ქალაქები	1 635	935	700	134	81	53
სოფლები	1 774	919	855	306	165	141

შენიშვნა: GTUS-ის ინდივიდუალურ კითხვარში მოცემული იყო შემდეგი ეთნიკური ჯგუფების ჩამონათვალი: ქართველი, აფხაზი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, რუსი და სხვა. ვინაიდან ეთნიკურად არაქართველ პირთა რიცხოვნობა მცირე იყო, ამ სექციაში მოცემული ანალიზისთვის ქართველის გარდა, სხვა ეთნიკური ჯგუფები გაერთიანებულია.

ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ქალები და კაცები ყველაზე მეტ დროს უთმობენ: 1. საკუთარ თავზე ზრუნვასა და თავის მოვლას და 2. დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებს. ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა დღეში საშუალოდ 11.7 საათს ხარჯავს საკუთარი თავის მოვლაზე, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები კი - 12.1 საათს (დიაგრამა 3.7).


ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა დღეში საშუალოდ 4.2 საათს ხარჯავს დასვენებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები კი - 4.5 საათს. ამ აქტივობებზე ეთნიკურად ქართველი და არაქართველი კაცები, ქალებთან შედარებით, მეტ დროს ხარჯავენ. გენდერული განსხვავება ეთნიკურ ქართველებში 0.9 საათია, ხოლო სხვა ეთნიკურ ჯგუფებში - 1.1 საათი.

ეთნიკურად ქართველი ქალები და კაცები შედარებით მეტ დროს ხარჯავენ ანაზღაურებად შრომაზე (დასაქმებასა და საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული აქტივობები). სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქალები, ეთნიკურად ქართველ ქალებთან შედარებით 0.6 საათით მეტს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე. სხვა აქტივობების შემთხვევაში, ეთნიკურ ჯგუფებს შორის განსხვავებები უმნიშვნელოა.

ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ანაზღაურებად საქმიანობაზე კაცები ქალებზე ორჯერ მეტ დროს ხარჯავენ. საპირისპირო სურათია აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაზე დახარჯული დროის შემთხვევაში - ქალები, კაცებთან შედარებით, 5-6-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ. ასევე, ქალები, კაცებთან შედარებით, 4.5-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობებზე.

დიაგრამა 3.7



15 წლის და უფროსი მოსახლეობის მიერ ძირითად აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, ეთნიკური კუთვნილებისა და სქესის მიხედვით, საათი დღეში



ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, 65 წლისა და უფროსი ასაკის ქალებიც და კაცებიც, ნაკლებ დროს ხარჯავენ დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, ვიდრე 15-64 წლის ასაკის პირები. ყველაზე დიდი განსხვავება სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ კაცებში დაფიქსირდა, ამ ჯგუფში დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული დრო 3.3 საათით ნაკლებია 15-64 წლის კაცებთან შედარებით (დიაგრამა 3.8. და ცხრილი E.37).

დიაგრამა 3.8

მოსახლეობის მიერ ძირითად აქტივობებზე დახარჯული საშუალო დრო, ეთნიკური კუთვნილების, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში



65 წლის და უფროსი ასაკის ქალების მიერ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობებზე დახარჯული დრო ნაკლებია 15-64 წლის ქალებთან შედარებით. ეს განსხვავება ყველაზე დიდია (1 საათი) სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ ქალებში. როგორც ეთნიკურად ქართველებში, ასევე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებში, აუნაზღაურებელ საოჯახო შრომაზე დახარჯული დრო უფრო მეტია 65 წლის და უფროსი ასაკის კაცებში, 15-64 წლის კაცებთან შედარებით.

დროის გამოყენების
სოციალური და კიროვნული
განზომილებები



4.1 დროის გამოყენების სოციალური კონტექსტი: მართო თუ სხვასთან ერთად?

ანგარიშის ამ ნაწილში განხილულია მოსახლეობის მიერ მართო და სხვა პირებთან ერთად გატარებული დრო. ჩანართში 4.1. მოცემული განმარტების თანახმად, მართო/სხვებთან ერთად გატარებული დრო განისაზღვრება GTUS-ის დღიურის კონტექსტის ცვლადის („ვისთან ერთად?“) მიხედვით.

ჩანართი 4.1	
მართო და სხვებთან ერთად გატარებული დროის განმარტება	
მართო/სხვებთან ერთად	აღწერა
	ვისთან ერთად: მართო იყავით თუ ნაცნობთან ერთად? (ეხება ძირითად აქტივობას)
მართო	მართო (ან უცხო პირ(ებ)თან ერთად)
სხვებთან ერთად	შინამეურნეობის წევრ(ებ)თან ერთად: <ul style="list-style-type: none"> ▶ მეუღლე /პარტნიორი ▶ მშობელი ▶ ბავშვ(ებ)ი (10 წლამდე ასაკის) ▶ შინამეურნეობის სხვა წევრ(ებ)ი ▶ სხვა ნაცნობ პირ(ებ)თან ერთად

ამ სექციაში გაანალიზებულია მართო/სხვებთან ერთად გატარებული დრო სამუშაო და უქმე დღეებისა და საცხოვრებელი პირობების (ცხოვრობს მართო/ცხოვრობს ოჯახთან ერთად) მიხედვით. ანალიზი ეფუძნება ცხრილში 4.1. წარმოდგენილ რესპონდენტთა განაწილებას. განსხვავებული ფერით მონიშნულია ის ჯგუფები, რომლებშიც გამოკითხული რესპონდენტების რიცხოვნობა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად.

ცხრილი 4.1

გამოკითხული მოსახლეობის რიცხოვნობა საცხოვრებელი პირობების, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

საცხოვრებელი პირობები	ცხოვრობს მართო		ცხოვრობს ოჯახთან ერთად		ცხოვრობს სხვებთან ერთად	
	♀	♂	♀	♂	♀	♂
დასახლების ტიპი						
თბილისი	65	27	1 077	762	2	4
სხვა ქალაქები	72	25	1 014	812	0	0
სოფლები	98	58	1 052	1 006	0	0
ასაკობრივი ჯგუფები						
15-24	1	6	407	396	0	0
25-44	5	17	958	881	0	4
45-64	73	43	1 055	832	1	0
65+	156	44	723	471	1	0

შენიშვნა: განსხვავებული ფერით მონიშნულია ის ჯგუფები, რომლებშიც გამოკითხული რესპონდენტების რიცხოვნობა არ არის საკმარისი სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლების მისაღებად.

4.1.1 განსხვავებები დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით

მოსახლეობა, რომელიც მართო ცხოვრობს, უფრო მეტ დროს ატარებს მართო, ვიდრე ოჯახთან ერთად მცხოვრები პირები (ცხრილები E.38a და E.38b). მართო მცხოვრებთა მიერ სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი) მართო გატარებული დრო თბილისში 11.8 საათია, სხვა ქალაქებში - 9.9 საათი და სოფლებში - 12.4 საათი. ეს დრო, ოჯახთან ერთად მცხოვრები პირების მიერ მართო გატარებულ დროს, თბილისში აღემატება 4.6 საათით, სხვა ქალაქებში - 4.3 საათით და სოფლებში - 5.8 საათით.

უქმე დღეებში (შაბათ-კვირა), სამუშაო დღეებთან შედარებით, მართო მცხოვრები პირების მიერ მართო გატარებული დრო თბილისსა და სოფლებში (12.3 საათი ორივეგან) მეტია, ხოლო სხვა ქალაქებში ნაკლებია (10.4 საათი). ოჯახთან ერთად მცხოვრები პირების მონაცემებთან შედარებით, მართო მცხოვრები პირების მიერ მართო გატარებული დრო 5.3 საათით მეტია თბილისში, 4.8 საათით - სხვა ქალაქებში და 5.8 საათით - სოფლებში

როგორც უქმე, ასევე სამუშაო დღეებში, ყველა ტიპის დასახლებაში, მართო მცხოვრები პირები გაცილებით მეტ დროს ატარებენ მართო, ვიდრე ოჯახთან ერთად მცხოვრები პირები.

ყველა ტიპის დასახლებაში, მართო მცხოვრები ქალების მიერ მართო გატარებული დრო 1.6-2.0-ჯერ აღემატება ოჯახთან ერთად მცხოვრები ქალების მიერ მართო გატარებულ დროს, როგორც სამუშაო, ისე უქმე დღეებში.

4.1.2 მართო მცხოვრები მოსახლეობა

მცირე ზომის შერჩევის გამო, დროის განაწილების ანალიზი მართო მცხოვრები პირებისთვის საკმაოდ შეზღუდულია. ყველა ტიპის დასახლებაში, როგორც სამუშაო, ასევე უქმე დღეებში, მართო მცხოვრები პირები მეტ დროს ატარებენ მართო, ვიდრე სხვებთან ერთად (ცხრილები E.38a და E.38b).

4.1.3 ოჯახთან ერთად მცხოვრები მოსახლეობა


ოჯახთან ერთად მცხოვრებ მოსახლეობაში, ყველა ასაკობრივი ჯგუფისა და ორივე სქესისთვის, სამუშაო და უქმე დღეებში მართო გატარებული დრო ერთნაირია. 25-44 წლის ქალები და კაცები, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ნაკლებ დროს ატარებენ მართო (დიაგრამა 4.1. და ცხრილები E.38a და E.38b).

15-24 წლის ქალები და კაცები, სამუშაო დღეებში თითქმის ერთნაირ დროს ატარებენ მართო და სხვებთან ერთად. ასაკის მატებასთან ერთად, სხვებთან ერთად გატარებული დრო იზრდება. 25-44 წლის ქალები 10.0 საათს ატარებენ მართო და 5.3 საათს - სხვებთან ერთად. ხოლო კაცები 9.5 საათს ატარებენ მართო და 5.7 საათს - სხვებთან ერთად.


შაბათ-კვირას, მართო გატარებული დრო, სხვებთან ერთად გატარებული დროსთან შედარებით, ნაკლებია. სამუშაო დღეებთან შედარებით, შაბათ-კვირას სხვებთან ერთად გატარებული დრო ნაკლებია 15-64 წლამდე პირებში, მაგრამ მეტია 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში.

დიაგრამა 4.1


ოჯახთან ერთად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მართო/სხვებთან ერთად გატარებული საშუალო დრო, ორშაბათი-პარასკევი/შაბათ-კვირის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საათი დღეში




მარტო გატარებული დრო, შაბათი-კვირა



სხვებთან ერთად გატარებული დრო, ორშაბათი-პარასკევი



სხვებთან ერთად გატარებული დრო, შაბათი-კვირა



4.2 დღის შეფასება

ჩანართი 4.2

დღის შეფასება

რესპონდენტები, GTUS-ის დღიურის შევსების შემდეგ, აფასებდნენ განვლილ დღეს.


Q5- საერთო ჯამში, როგორ შეაფასებთ ამ დღეს?


- ▶ ძალიან სასიამოვნო
- ▶ სასიამოვნო
- ▶ არც სასიამოვნო და არც უსიამოვნო
- ▶ არასასიამოვნო
- ▶ ძალიან არასასიამოვნო

გამოკითხულთა უმრავლესობისთვის სამუშაო დღეები არც სასიამოვნოა და არც უსიამოვნო (55.5 პროცენტი), ან სასიამოვნოა (37.9 პროცენტი). შაბათ-კვირას უფრო მეტი ადამიანი აფასებს, როგორც სასიამოვნოს (43.0 პროცენტი) (ცხრილი E.39).

ღიაზრამა 4.2

მოსახლეობის მიერ დღის ზოგადი შეფასების განაწილება, ორშაბათი-პარასკევი/შაბათ-კვირისა და სქესის მიხედვით, პროცენტი








ქალების 40.8 და კაცების 34.4 პროცენტისთვის, სამუშაო დღეები (ორშაბათი-პარასკევი) სასიამოვნოა, ხოლო ქალების 52.6 და კაცების 59.0 პროცენტისთვის - არც სასიამოვნო და არც უსიამოვნო.

სამუშაო დღეებთან შედარებით, უქმე დღეები (შაბათ-კვირა) მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილისთვისაა სასიამოვნო (ქალების 45.4 პროცენტი და კაცების 40.2 პროცენტი). ქალების და კაცების წილი, რომლებიც დღეს აფასებენ, როგორც არც სასიამოვნო და არც უსიამოვნო, უფრო ნაკლებია უქმე დღეების შემთხვევაში (ქალების 46.6 პროცენტი და კაცების 53.1 პროცენტი), ვიდრე სამუშაო დღეების შემთხვევაში.


ყველა ტიპის დასახლებაში, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ სამუშაო დღეები არც სასიამოვნოა და არც უსიამოვნო. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში - 62.5 პროცენტი. თბილისში სამუშაო დღეებს გამოკითხულთა 31.9 პროცენტი აფასებს სასიამოვნოდ, სხვა ქალაქებში - 40.1 პროცენტი, ხოლო სოფლებში - 40.9 პროცენტი. უქმე დღეებს მოსახლეობის უფრო მეტი წილი მიიჩნევს სასიამოვნოდ (თბილისში - 40.2 პროცენტი, სხვა ქალაქებში - 44.8 პროცენტი, სოფლებში - 43.9 პროცენტი).

დიაგრამა 4.3

მოსახლეობის მიერ დღის ზოგადი შეფასების განაწილება, ორშაბათი-პარასკევი/შაბათ-კვირის, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, პროცენტი



შაბათ-კვირა ღმერთის კაცები





ყველა ტიპის დასახლებაში, როგორც ქალაქები, ისე კაცები, მიიჩნევენ, რომ სამუშაო დღეები არც სასიამოვნოა და არც უსიამოვნო. როგორც სამუშაო, ისე უქმე დღეებს მეტი ქალი მიიჩნევს სასიამოვნოდ, კაცებთან შედარებით.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში, როგორც სამუშაო, ისე უქმე დღეებს სასიამოვნოდ მიიჩნევს უფრო მეტი ქალი, ვიდრე კაცი.

დიაგრამა 4.4

მოსახლეობის მიერ დღის ზოგადი შეფასების განაწილება, ორშაბათი-პარასკევი/შაბათ-კვირის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი







დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში, მაღალ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, მეტია ქალების და კაცების წილი, რომლებიც დღეს სასიამოვნოდ მიიჩნევენ. ასაკის მატებასთან ერთად მცირდება იმ მოსახლეობის წილი, ვინც დღეს სასიამოვნოდ აფასებს.

ზოგადად, სამუშაო დღეებს ქალების მცირე ნაწილი აფასებს დალიან სასიამოვნოდ. არასრული დროით დასაქმებული და უმუშევარი ქალების უფრო მეტი წილი (7.0 პროცენტი და 7.1 პროცენტი, შესაბამისად) მიიჩნევს სამუშაო დღეებს დალიან სასიამოვნოდ, ვიდრე სრული დროით დასაქმებულები ან სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ქალები (4.5 პროცენტი და 4.6 პროცენტი, შესაბამისად). ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია უქმე დღეების შეფასებისას. გამონაკლისია უმუშევარი ქალების შეფასებები.


სამუშაო ძალის სტატუსის მიუხედავად, კაცების უმეტესობისთვის შაბათ-კვირა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სამუშაო დღეები. შაბათ-კვირას სასიამოვნოდ აფასებს დასაქმებული კაცების, უფრო დიდი წილი, უმუშევარ ან სამუშაო ძალის გარეთ მყოფ კაცებთან შედარებით.

დიაგრამა 4.5


მოსახლეობის მიერ დღის ზოგადი შეფასების განაწილება, ორშაბათი-პარასკევი/შაბათ-კვირის, სამუშაო ძალის სტატუსისა და სქესის მიხედვით, პროცენტი



ორშაბათი-პარასკევი ორთქცები



შაბათ-კვირა ორთქცები



4.3 აქტივობების შეფასება

ჩანართი 4.3

ყველაზე სასიამოვნო, არასასიამოვნო და სტრესული აქტივობების გამოვლენა

რესპონდენტებს, რომლებიც ავსებდნენ დროის გამოყენების დღიურს, უნდა დაესახელებინათ ყველაზე სასიამოვნო, არასასიამოვნო და სტრესული აქტივობა დღიურის შევსების დღის განმავლობაში.

Q2 – დღიურში აღწერილი აქტივობებიდან, რომელი იყო თქვენთვის **ყველაზე სასიამოვნო?**

Q3 – დღიურში აღწერილი აქტივობებიდან, რომელი იყო თქვენთვის **ყველაზე არასასიამოვნო?**

Q4 – დღიურში აღწერილი აქტივობებიდან, რომელი იყო თქვენთვის **ყველაზე სტრესული?**

ამ კითხვებზე პასუხად რესპონდენტებს უნდა აღეწერათ დღის განმავლობაში განხორციელებული აქტივობა, რომელსაც შემდგომ ენიჭებოდა ICATUS-ის სამნიშნა კოდი. მათ ასევე შეეძლოთ ჩაეწერათ პასუხი „ყველაფერი“ ან „არაფერი“.

ზოგადად, რესპონდენტთა უმრავლესობა ასახელებდა ყველაზე სასიამოვნო აქტივობას (ცხრილი 40a). თუმცა, კითხვაზე, რომელი იყო ყველაზე არასასიამოვნო ან ყველაზე სტრესული აქტივობა, გამოკითხულთა უმრავლესობის პასუხი იყო „არაფერი“.

დასახლების ტიპის, სქესის, ასაკის, სამუშაო ძალის სტატუსისა და განათლების დონის მიუხედავად, გამოკითხულთა 74.8 პროცენტის (ქალების 74.5 პროცენტი და კაცების 75.2 პროცენტი) პასუხი სამუშაო დღის განმავლობაში ყველაზე არასასიამოვნო აქტივობის შესახებ არის – „არაფერი“. შაბათ-კვირის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მცირედით მაღალია და 77.0 პროცენტს შეადგენს (ქალების 76.5 პროცენტი და კაცების 77.6 პროცენტი). სხვა ქალაქებში მცხოვრები ქალებისა და კაცების წილი (კერძოდ, ქალების 81.4 პროცენტი და კაცების 81.3 პროცენტი), ვისთვისაც არც ერთი აქტივობა იყო არასასიამოვნო, აღემატება თბილისისა და სოფლებში მცხოვრებთა მაჩვენებლებს როგორც სამუშაო დღეებში, ასევე შაბათ-კვირას (ცხრილი E.40b).

კითხვაზე, თუ რომელი იყო ყველაზე სტრესული აქტივობა სამუშაო დღის განმავლობაში, მოსახლეობის 88.6 პროცენტის პასუხია „არაფერი“, ხოლო შაბათ-კვირისთვის ეს მაჩვენებელი 89.9 პროცენტამდე იზრდება. განსხვავებები ქალებისა და კაცების პასუხებს შორის ძალიან მცირეა. ზოგადად მოსახლეობისთვის შაბათ-კვირის დღეები ნაკლებად სტრესულია, ვიდრე სამუშაო დღეები (ცხრილი E.40c).

მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი (30.4 პროცენტი) არ აკონკრეტებს ყველაზე სასიამოვნო აქტივობას (ქალებში - 28.9 პროცენტი და კაცებში - 32.3 პროცენტი) სამუშაო დღეების განმავლობაში, ხოლო ძალიან ცოტა (1.9 პროცენტი) აღნიშნავს, რომ „ყველაფერი“ სასიამოვნო იყო (ქალების - 2.1 პროცენტი და კაცების - 1.8 პროცენტი). მათ შორის, ვინც დაასახელა კონკრეტული სასიამოვნო აქტივობა, უმეტესობამ მიუთითა რეფლექსიასთან, დასვენებასა და რელაქსაციასთან დაკავშირებულ აქტივობებზე (ყველაზე ხშირად დასახელებული აქტივობა) და სოციალიზაციის/შეხვედრის/შეკრების აქტივობებზე (ყველაზე ხშირად დასახელებული მეორე აქტივობა).

მოსახლეობის წილი, რომელიც შაბათ-კვირას ყველაზე სასიამოვნო აქტივობად „არაფერს“ ასახელებს, სამუშაო დღეების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ოდნავ დაბალია. სამუშაო დღეების მსგავსად, მათ შორის, ვინც შაბათ-კვირას დაასახელა კონკრეტული სასიამოვნო აქტივობა, უმეტესობამ მიუთითა რეფლექსიასთან, დასვენებასა და რელაქსაციასთან დაკავშირებულ აქტივობებზე (ყველაზე ხშირად დასახელებული აქტივობა) და სოციალიზაციის/შეხვედრის/შეკრების აქტივობებზე (ყველაზე ხშირად დასახელებული მეორე აქტივობა).

მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიუხედავად, ყველაზე სასიამოვნო აქტივობებად რვა ტიპის აქტივობა დასახელდა, საიდანაც ოთხი აქტივობა საერთოა სამუშაო დღეებისა და შაბათ-კვირისათვის (დიაგრამა 4.6).

დიაგრამა 4.6

ყველაზე სასიამოვნო აქტივობები

ყველაზე სასიამოვნო აქტივობები		ICATUS-ის კოდები:	
ორშაბათი-პარასკევი	შაბათ-კვირა		
-	415	415	ბავშვებთან თამაში და სპორტული აქტივობებით დაკავება
611	-	611	სკოლა/უნივერსიტეტში სიარული
-	711	711	საუბარი, ლაპარაკი, ლაქლაქი
712	712	712	სოციალიზაციის/შეხვედრის/შეკრების აქტივობები
742	-	742	მონაწილეობა რელიგიური წეს-ჩვეულებების კოლექტიურ აღსრულებაში
842	842	842	ტელევიზორის და ვიდეო ყურება/მოსმენა
850	850	850	რეფლექსიასთან, დასვენებასთან, რელაქსაციასთან დაკავშირებული აქტივობები
921	921	921	საკვების/ხემსის მიღება

4.4 დროის ზეწოლა და მუშაობა-დასვენების ბალანსი

ჩანართი 4.4

დროის ზეწოლა

„დროის ზეწოლის“ მაჩვენებლის განსასაზღვრად გამოყენებულია გამოკვლევის ფარგლებში დასმული კითხვა:

I28 – რამდენად ხშირად ჩქარობთ? თქვენი აზრით, თქვენ ...?

- (1) ყოველთვის ჩქარობთ?
- (2) ზოგჯერ ჩქარობთ?
- (3) არასდროს ჩქარობთ?

თუ პირი ყოველთვის ჩქარობს, ის დროის ზეწოლას განიცდის.

დროის ზეწოლის კონცეფციას უკავშირდება „მუშაობა-დასვენების ბალანსი“, რომელიც წარმოადგენს მუშაობის დროის შეფარდებას დასვენების დროსთან. მნიშვნელობა „1“ შეესაბამება მუშაობა-დასვენების იდეალურ ბალანსს. მუშაობისა და დასვენების შესაბამისი აქტივობები მოცემულია ცხრილში 4.2.

ცხრილი 4.2

მუშაობისა და დასვენების დროის შესაბამისი აქტივობები


დროის ტიპი	აქტივობა (ICATUS-ის მიხედვით)
მუშაობის დრო	1 – დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები
	2 – პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის
	3 – შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება
	4 – შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება
	5 – სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა
დასვენების დრო	8 – კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა

4.4.1 დროის ზეწოლა საქართველოში

ყველა ტიპის დასახლებაში, კაცებთან შედარებით, ქალების უფრო დიდი წილი გრძნობს დროის ზეწოლას - ყოველთვის ჩქარობს (ქვეყანაში მცხოვრები ქალების 32.6 პროცენტი და კაცების 25.1 პროცენტი). დროის ზეწოლას უფრო მეტად გრძნობენ თბილისში მცხოვრები ქალები და კაცები (38.1 პროცენტი და 28.0 პროცენტი, შესაბამისად), ვიდრე სხვა ქალაქებში (29.3 პროცენტი და 23.5 პროცენტი, შესაბამისად) და სოფლებში (30.5 პროცენტი და 24.2 პროცენტი, შესაბამისად) (ცხრილი E.41a).

დიაგრამა 4.7

იმ ადამიანების პროცენტული წილი, რომლებიც ყოველთვის ჩქარობენ, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პროცენტი




დროის ზეწოლას ყველაზე მეტად სრული დროით დასაქმებული პირები გრძნობენ (დიაგრამა 4.8). ამ მხრივ მეორე ადგილზე არიან არასრული დროით დასაქმებულები, შემდეგ უმუშევრები, ბოლოს კი სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობა. ეს ტენდენცია მსგავსია ქალებშიც და კაცებშიც.

ყველა სამუშაო ძალის სტატუსის შემთხვევაში, ქალების წილი, რომლებიც დროის ზეწოლას განიცდიან, 1.4-ჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს, გარდა სამუშაო ძალის გარეთ მყოფი პირებისა, სადაც გენდერული თანაფარდობა 1.6-ს შეადგენს (ცხრილი E.41a).

დიაგრამა 4.8

იმ ადამიანების პროცენტული წილი, რომლებიც ყოველთვის ჩქარობენ, სამუშაო ძალის სტატუსისა და სქესის მიხედვით, პროცენტი




საცხოვრებელი პირობების მიუხედავად, ქალები, კაცებთან შედარებით უფრო მეტად გრძნობენ დროის ზეწოლას - გენდერული თანაფარდობა 1.1-დან 1.9-მდე მერყეობს (დიაგრამა 4.9 და ცხრილი E.41a).

ერთად მცხოვრები პარტნიორები დროის ზეწოლას უფრო მეტად განიცდიან, მიუხედავად იმისა, ჰყავთ თუ არა ბავშვი. 10 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვის დედების 41.7 პროცენტი და მამების 35.8 პროცენტი ყოველთვის ჩქარობს; შვილების გარეშე ერთად მცხოვრები პარტნიორების შემთხვევაში, ყოველთვის ჩქარობს ქალების 36.0 პროცენტი და კაცების 24.5 პროცენტი (დიაგრამა 4.9).

დიაგრამა 4.9

იმ ადამიანების პროცენტული წილი, რომლებიც ყოველთვის ჩქარობენ, საცხოვრებელი პირობებისა და სქესის მიხედვით, პროცენტი




იმ მშობლებიდან, რომლებიც თავიანთ ჯანმრთელობის მდგომარეობას აფასებენ როგორც „ძალიან კარგი“ ან „კარგი“, უფრო მეტი წილი განიცდის დროის ზეწოლას მათთან შედარებით ვინც საკუთარ ჯანმრთელობას უარყოფითად აფასებს (დიაგრამა 4.10).

ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, ქალები, კაცებთან შედარებით, უფრო მეტად განიცდიან დროის ზეწოლას.

დიაგრამა 4.10

იმ ადამიანების პროცენტული წილი, რომლებიც ყოველთვის ჩქარობენ, ჯანმრთელობის თვითშეფასებისა და სქესის მიხედვით, პროცენტი




როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე მოსახლეობაში, კაცებთან შედარებით ქალების უფრო დიდი წილი განიცდის დროის ზეწოლას (დიაგრამა 4.11).

ისინი, ვისაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები ან ხანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, მაგრამ არ აქვთ შეზღუდვა აქტივობებში, ყველაზე მეტად განიცდიან დროის ზეწოლას (ქალების 41.3 პროცენტი და კაცების 30.5 პროცენტი). ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია იმ პირებთან შედარებითაც კი, ვისაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობები ან ხანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა.

დიაგრამა 4.11

იმ ადამიანების პროცენტული წილი, რომლებიც ყოველთვის ჩქარობენ, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსისა და სქესის მიხედვით, პროცენტი





4.4.2 მუშაობა-დასვენების ბალანსი

ქალების მუშაობა-დასვენების ბალანსი ნაკლებია კაცებთან შედარებით. ქალების შემთხვევაში მუშაობის დრო 1.8-ჯერ აღემატება მათ დასვენების დროს, ხოლო კაცების შემთხვევაში - მხოლოდ 1.2-ჯერ (გენდერული თანაფარდობა შეადგენს 1.5-ს). ყველა ტიპის დასახლებაში მუშაობა-დასვენების ბალანსი და გენდერული თანაფარდობების კოეფიციენტები მსგავსია (დიაგრამა 4.12 და ცხრილი E.41b).


15-24 წლის და 75 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ქალებისა და კაცების მიერ დახარჯული დრო მუშაობა-დასვენებაზე ყველაზე მეტადაა დაბალანსებული. ახალგაზრდა (15-24 წლის) კაცებისა და უფროსი ასაკის (75 წლის და უფროსი) ქალებისა და კაცების დასვენების დრო აღემატება მათი მუშაობის დროს. 25-44 წლის მოსახლეობაში მუშაობა-დასვენებაზე დახარჯული დრო ყველაზე ნაკლებადაა დაბალანსებული. მუშაობა-დასვენების ბალანსის თვალსაზრისით, დიდია გენდერული განსხვავებები. ქალების მუშაობა-დასვენებაზე დახარჯული დრო ნაკლებადაა დაბალანსებული კაცების მიერ დახარჯულ დროსთან შედარებით.

დიაგრამა 4.12


მუშაობა-დასვენების ბალანსი (მუშაობის დროის შეფარდება დასვენების დროსთან), მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით




დასახლების ტიპის მიხედვით



საცხოვრებელი პირობების მიხედვით



ჯანმრთელობის თვითშეფასების მიხედვით




შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მიხედვით

აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და უკიდურესი შეზღუდვა ძირითად აქტივობებში




აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და შეზღუდვა ძირითად აქტივობებში, მაგრამ არა უკიდურესად



არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობები ან სანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა



აქვს შეზღუდული შესაძლებლობები/სანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, მაგრამ არ აქვს შეზღუდვა აქტივობებში



სრული დროით დასაქმებული ქალები 3.5-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ მუშაობაზე, ვიდრე დასვენებაზე, ხოლო არასრული დროით დასაქმებული ქალები - 2.7-ჯერ. კაცების შემთხვევაში, შესაბამისი თანაფარდობებია 2.4 და 1.5.

დედები, რომლებიც პარტნიორთან და 10 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვთან ერთად ცხოვრობენ, 3.7-ჯერ მეტ დროს უთმობენ მუშაობას, ვიდრე დასვენებას, ხოლო მამები - 2.2-ჯერ.


იმ ქალების შემთხვევაში, რომლებიც საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას კარგად ან ძალიან კარგად აფასებენ, მუშაობასა და დასვენებაზე დახარჯული დრო ყველაზე ნაკლებადაა დაბალანსებული (2.4 და 2.1, შესაბამისად). მოცემული მაჩვენებლები დაბალია მოსახლეობის იმ ჯგუფებში, რომლებიც საკუთარ ჯანმრთელობას საშუალოდ, ცუდად ან ძალიან ცუდად აფასებენ.

იმ პირების შემთხვევაში, რომლებსაც არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები ან ხანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა ან აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები ან ხანგრძლივი ხასიათის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, მაგრამ არ აქვთ შეზღუდვა აქტივობებში, მუშაობასა და დასვენებაზე დახარჯული დრო ყველაზე ნაკლებადაა დაბალანსებული (2.1 და 1.9, შესაბამისად).


დროის ზეწოლის შეგრძნება დადებით კორელაციაშია მუშაობისა და დასვენების ბალანსთან (დიაგრამა 4.13 და ცხრილი E.40c).

დიაგრამა 4.13

დროის ზეწოლის მაჩვენებელი და მუშაობა-დასვენების ბალანსი, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით



შებლდული შესაძლებლობების სტატუსის მიხედვით



შენიშვნები

- 1 „დროითი სიღარიბის“ რამდენიმე განმარტება არსებობს. ერთ-ერთი განმარტების მიხედვით (ბარდასი და ვოდონი (2008)) დროითი სიღარიბე არის „საკმარისი დროის არქონა დასვენებისთვის, პროდუქტიულ, ანაზღაურებად და აუნაზღაურებელ აქტივობებზე დახარჯული დროის გამო“. იხილეთ: E. Bardasi and Q. Wodon. 2006. “Measuring Time Poverty and Analyzing Its Determinants: Concepts and Application to Guinea.” Munich Personal RePEc Archive MPRA Paper No. 11082. <https://mpra.ub.uni-muenchen.de/11082/>.
- 2 გაეროს სტატისტიკური კომისია. 2020. პოლიტიკასთან შესაბამისობა: დროის გამოყენების მონაცემთა შეგროვება მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის მხარდასაჭერად (14 თებერვლის სამუშაო ვერსია), გვ.10-11. <https://unstats.un.org/unsd/statcom/51st-session/documents/BG-Item3m-PolicyRelevance-E.pdf>.
- 3 გაეროს ქალთა ორგანიზაცია. დროის გამოყენების გაზომვა: განვითარებად ქვეყნებში დროის გამოყენების გამოკვლევების ჩატარების გამოწვევების შეფასება. <https://data.unwomen.org/sites/default/files/documents/Publications/Measuring%20time%20use.pdf>.
- 4 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და გაეროს განვითარების პროგრამა. 2018. დროის გამოყენების გამოკვლევები და სტატისტიკა აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---asia/---ro-bangkok/documents/publication/wcms_630892.pdf.
- 5 საქსტატი. 2019. საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის შექმნის ეროვნული სტრატეგია – 2020-2023, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/659/sakartvelos-ofitsialuri-statistikis-erovnu-li-sistemis-ganvitarebis-strategia-2020-2023>.
- 6 ევროსტატი. 2020. ჰარმონიზებული ევროპული დროის გამოყენების კვლევები (HETUS): 2018 წლის სახელმძღვანელო (2020 წლის გამოცემა). ლუქსემბურგი: ევროკავშირის გამომცემლობა. <https://ec.europa.eu/eurostat/web/products-manuals-and-guidelines/-/ks-gq-20-011>.
- 7 გაერთიანებული ერების სტატისტიკის სამმართველო. 2016. დროის გამოყენების სტატისტიკის აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკატორი 2016. <https://unstats.un.org/unsd/classifications/Family/Detail/2083>.
- 8 გაერთიანებული ერების სტატისტიკის სამმართველო. 2004. გაეროს სახელმძღვანელო დროის გამოყენების სტატისტიკის წარმოებისათვის. ნიუ-იორკი: გაერთიანებული ერები. https://unstats.un.org/unsd/publication/series/seriesf_93e.pdf.
- 9 გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისია. 2013. სახელმძღვანელო დროის გამოყენების გამოკვლევის ჰარმონიზაციისათვის. შენევა: გაერთიანებული ერები. <https://unece.org/statistics/publications/guidelines-harmonizing-time-use-surveys>.
- 10 გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2020. საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება. თბილისი. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2020/RGA%20UNW-GEO.pdf>.
- 11 D. Ås. 1982. “Designs for Large Scale Time Use Studies of the 24 Hour Day.” In *It’s About Time: Proceedings of the International Research Group on Time Budgets and Social Activities*. Z. Staikov (Ed.). Sofia, Bulgaria: Bulgarian Sociological Association, Institute of Sociology at the Bulgarian Academy of Sciences, pp. 17–53.

დანართი A – ძირითადი

ტერმინების განმარტებები

<p>დროის გამოყენების გამოკვლევა</p>	<p>დროის გამოყენების გამოკვლევა (TUS) შეისწავლის, რა დროს ხარჯავს მოსახლეობა სხვადასხვა აქტივობაზე, როგორებიცაა: ანაზღაურებადი შრომა, საოჯახო საქმიანობა, ზრუნვა, სწავლა, თავის მოვლა, მოხალისეობრივი საქმიანობა, სოციალიზაცია, მგზავრობა, დასვენება და ა.შ. დროის გამოყენების გამოკვლევის საფუძველზე მიღებული მაჩვენებლები გამოიყენება თანასწორობასთან, ოჯახთან, სოციალურ, სატრანსპორტო, კულტურულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისა და გაუმჯობესებისთვის, ასევე, შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის ღირებულების შესაფასებლად და არსებული მდგომარეობის საერთაშორისო დონეზე შედარების მიზნით.</p>
<p>აქტივობების კლასიფიკაცია</p>	<p>ყველა იმ აქტივობის კლასიფიკაცია, რაზეც ადამიანი შეიძლება დახარჯოს დრო დღე-ღამის განმავლობაში.</p>
<p>დღიურის შევსების დღე</p>	<p>დღე, რომლის შესახებაც ივსება დროის გამოყენების დღიური. საქართველოში, დროის გამოყენების გამოკვლევა (GTUS) ითვალისწინებდა რესპონდენტების მიერ დღიურის შევსებას წინასწარ დადგენილი ორი დღისათვის - ერთის შევსებას სამუშაო დღისთვის (ორშაბათი-პარასკევი), ხოლო მეორის - უქმე დღისთვის (შაბათი და კვირა).</p>
<p>აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო</p>	<p>კონკრეტულ აქტივობაზე მოსახლეობის მიერ დღის განმავლობაში დახარჯული საშუალო დრო.</p>
<p>ძირითადი აქტივობა და პარალელური აქტივობა</p>	<p>იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც დღის განმავლობაში გარკვეულ დროს უთმობენ კონკრეტული აქტივობის განხორციელებას.</p>
<p>ძირითადი აქტივობა და პარალელური აქტივობა</p>	<p>გამოკვლევის ფარგლებში გროვდება ინფორმაცია რესპონდენტის მიერ დროის მოცემულ მონაკვეთში განხორციელებული ძირითადი და პარალელური აქტივობების შესახებ. ძირითადი და პარალელური აქტივობები განისაზღვრება შემდეგნაირად:</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ თუ აქტივობები ხორციელდება ერთდროულად და ერთი აქტივობა გამომდინარეობს მეორე აქტივობის შედეგად, მაშინ პირველი ითვლება პარალელურ, ხოლო მეორე - ძირითად აქტივობად; ▶ თუ აქტივობები თანმიმდევრულია - ერთი აქტივობის განხორციელების პარალელურად იწყება მეორე აქტივობა, ისე, რომ არცერთი მათგანი არ გამომდინარეობს მეორის შედეგად, მაშინ დროში პირველად შესრულებული აქტივობა ითვლება ძირითად აქტივობად, ხოლო მეორე - პარალელურ აქტივობად; ▶ თუ ორი აქტივობა ხორციელდება ერთდროულად, მაგრამ ერთი აქტივობა, მეორესთან შედარებით უფრო ხანგრძლივია, მაშინ უფრო ხანგრძლივი აქტივობა ითვლება ძირითად აქტივობად.

აუნაზღაურებელი შრომა	საქმიანობა, რომლის შედეგად მიიღება პროდუქტი ან მომსახურება, მაგრამ არ არის ანაზღაურებული ფულადი ან სხვა სახის კომპენსაციით. მაგალითად, საოჯახო საქმიანობა, ოჯახის წევრებზე ზრუნვა და ა.შ. GTUS-ში აუნაზღაურებელი შრომის აქტივობები განსაზღვრულია ICATUS (2016) კლასიფიკაციის მიხედვით.
ბავშვი	10 წელზე უმცროსი ასაკის პირი.
ბავშვზე ზრუნვა	ბავშვის მოვლა და მასზე მზრუნველობა. GTUS-ში ბავშვის ზრუნვის აქტივობები განსაზღვრულია ICATUS (2016) კლასიფიკაციის მიხედვით.
შინამეურნეობა	ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისგანაც).
საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) გამოყენება	დროის გამოყენების დღიურით გროვდება მონაცემები იმის შესახებ, იყო თუ არა ძირითადი ან პარალელური აქტივობის განხორციელებისთვის გამოყენებული ინტერნეტი, კომპიუტერი, სმარტფონი, პლანშეტიური კომპიუტერი ან რაიმე მსგავსი მოწყობილობა.
სამუშაო ძალის სტატუსი	<ul style="list-style-type: none"> ▶ დასაქმებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ავადმყოფობის, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო. ▶ დაქირავებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების მიღების მიზნით, ფულადი ან ნატურის სახით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო. ▶ თვითდასაქმებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც მოგების მიღების მიზნით ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე. ▶ უმუშევარი – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, გასული 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში. ▶ სამუშაო ძალის გარეთ – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, არ ეძებდა სამუშაოს გასული 4 კვირის განმავლობაში და/ან არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.
ანაზღაურება საოჯახო საქმიანობებისთვის	ეხება საოჯახო საქმის შესრულებას ანაზღაურების ან მოგებისთვის.
მგზავრობა	მოიცავს ფეხით სიარულს, ასევე, მგზავრობას ავტომობილით, ავტობუსით, ველოსიპედით, მოტოციკლით და ა.შ.

ვისთვის სრულდებოდა აქტივობა [ვისთვის]	თითოეული აქტივობისათვის რესპონდენტი განსაზღვრავს, ვისთვის ასრულებდა აქტივობას - „ჩემთვის“, „ჩემი შინამეურნეობისთვის - ბავშვ(ებ)ისთვის (10 წლამდე ასაკის)“, „ჩემი შინამეურნეობისთვის - სხვა წევრ(ებ)ისთვის“, „სხვა შინამეურნეობისთვის ან სხვა პირ(ებ)ისთვის“, „სამუშაოსთვის/ სამსახურისთვის“, „საზოგადოებისთვის, ორგანიზაციისთვის და ა.შ.“.
ვისთან ერთად იმყოფებოდა რესპონდენტი აქტივობის განხორციელების დროს [ვისთან ერთად]	თითოეული აქტივობისათვის რესპონდენტი განსაზღვრავს, ვისთან ერთად იმყოფებოდა აქტივობის განხორციელების დროს - „მართლ (ან უცხო პირ(ებ)თან ერთად)“, „შინამეურნეობის წევრ(ებ)თან ერთად (მეუღლე/პარტნიორი, მშობელი, ბავშვ(ებ)ი (10 წლამდე ასაკის), შინამეურნეობის სხვა წევრ(ებ)ი“, „სხვა ნაცნობ პირ(ებ)თან ერთად“.
სამუშაო დღე და უქმე დღე	სამუშაო დღედ ჩათვლილია ორშაბათი-პარასკევის დღეები, ხოლო უქმე დღედ - შაბათი და კვირა.

დანართი B – დროის გამოყენების გამოკვლევის (GTUS 2020/2021) მეთოდოლოგია

გამოკვლევის საანგარიშო პერიოდი

საქართველოში დროის გამოყენების გამოკვლევა (GTUS 2020/2021) 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრის პერიოდში ჩატარდა.

გამოკვლევის სამიზნე მოსახლეობა

გამოკვლევამ მოიცვა კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, შემდეგი გამონაკლისების გარდა:

- ▶ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი) მცხოვრები მოსახლეობა;
- ▶ ქვეყნის ინსტიტუციურ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა.

გამოკვლევის შინაარსი

GTUS 2020/2021-ით შეგროვდა მონაცემები შინამეურნეობებისა და მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლებზე და მათ მიერ სამუშაო (ორშაბათი-პარასკევი) და უქმე (შაბათი და კვირა) დღეების განმავლობაში სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის შესახებ. შინამეურნეობების და ინდივიდების შესახებ მონაცემები ინტერვიუერების მიერ რესპონდენტების გამოკითხვის გზით, შინამეურნეობისა და ინდივიდუალური კითხვარების გამოყენებით შეგროვდა. გარდა ამისა, ყველა რესპონდენტი ავსებდა დროის გამოყენების ორ დღიურს წინასწარ დადგენილი ორი დღისათვის: ერთს - სამუშაო დღისათვის (ორშაბათი-პარასკევი) და მეორეს - უქმე დღისათვის (შაბათი და კვირა).

შინამეურნეობის კითხვარით შეგროვდა მონაცემები შინამეურნეობის წევრების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების, მათ შორის, შინამეურნეობის წევრებს შორის მიმართებების შესახებ. გარდა ამისა, შეგროვდა მონაცემები შემდეგ საკითხებზე:

- ▶ ბავშვზე ზრუნვა;
- ▶ შინამეურნეობის შემოსავალი;
- ▶ დახმარების მიღება;
- ▶ საცხოვრებელი პირობები.

ინდივიდუალური კითხვარით შეგროვდა მონაცემები შემდეგ საკითხებზე:

- ▶ დემოგრაფიული მახასიათებლები;
- ▶ დასაქმება;
- ▶ დასაქმების სტატუსის სუბიექტური შეფასება;

- ▶ განათლება;
- ▶ ჯანმრთელობა;
- ▶ დროის გამოყენება.

დროის გამოყენების დღიურით შეგროვდა შემდეგი მონაცემები:

- ▶ რას აკეთებდა რესპონდენტი დღის განმავლობაში დილის 04:00 საათიდან შემდეგი დღის დილის 04:00 საათამდე 10 წუთიანი ინტერვალებით [ძირითადი აქტივობა];
- ▶ ვისთვის სრულდებოდა ეს აქტივობა [ვისთვის];
- ▶ ძირითადი აქტივობის პარალელურად შესრულებული აქტივობა [პარალელური აქტივობა];
- ▶ აქტივობის დროს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება [IT];
- ▶ სად იმყოფებოდა რესპონდენტი აქტივობის განხორციელების დროს, ან გადაადგილების/სატრანსპორტო საშუალება მოძრაობის შემთხვევაში [ადგილი/ტრანსპორტი];
- ▶ ვისთან ერთად იმყოფებოდა რესპონდენტი აქტივობის განხორციელების დროს [ვისთან ერთად].

შერჩევის დიზაინი და რესპონდენტის შერჩევა

სტრატეგიკაცია

გამოკვლევის დიზაინი შემუშავდა ისე, რომ მიღებული მაჩვენებლები რეპრეზენტატულია როგორც ქვეყნის დონეზე, ასევე დასახლების სამი ტიპისათვის: თბილისი, სხვა ქალაქები და სოფლები.

თბილისის შემთხვევაში პირველადი შერჩევის ერთეულების (PSUs) სტრატეგიკაცია არ მომხდარა, დანარჩენი ორი დასახლების ტიპისათვის (სხვა ქალაქები და სოფლები) გამოიყო სამი სტრატა, რაც დაეფუძნა რეგიონების დაჯგუფებას:

- ▶ სტრატა 1: აჭარის ა.რ., ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი;
- ▶ სტრატა 2: სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი;
- ▶ სტრატა 3: კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი.

შერჩევის პროცედურა

პირველადი შერჩევის ერთეულების (PSUs) შერჩევა – თითოეული ტიპის დასახლებისთვის 104 PSU შეირჩა, რაც ქვეყნის მასშტაბით 312 PSU-ს შეადგენს. მეორე და მესამე ტიპის დასახლებებისთვის, სტრატებში PSU-ები გადანაწილდა შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$n_h = \frac{n}{\sum_h \sqrt{M_h}} \times \sqrt{M_h}$$

სადაც n_h არის შერჩეული PSU-ების რაოდენობა h სტრატაში ($h = 1, 2, 3$); n არის დასახლების ტიპისთვის შესარჩევი PSU-ების რაოდენობა (104); M_h არის h სტრატაში შინამეურნეობების რაოდენობა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით.


შინამეურნეობების შერჩევა – თითოეულ შერჩეულ PSU-ში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 10 შინამეურნეობა.

ინდივიდის შერჩევა – თითოეულ შერჩეულ შინამეურნეობაში შეირჩა 15 წლის და უფროსი ასაკის ყველა წევრი.

შერჩევის განაწილება დროში

შერჩეული PSU-ები 52 კვირაზე გადანაწილდა – 2020 წლის 7 სექტემბრიდან 2021 წლის 5 სექტემბრამდე პერიოდზე. სამივე ტიპის დასახლებაში, თითოეული კვირისათვის, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა ორი PSU. შესაბამისად, ყოველი კვირისათვის ქვეყნის მასშტაბით შეირჩა ექვსი PSU.

დღიურის შევსების წინასწარ დადგენილი დღე – შერჩეული შინამეურნეობების წევრები ავსებდნენ დროის გამოყენების ორ დღიურს, მოცემული PSU-სთვის შერჩეული კვირის წინასწარ დადგენილი ორი დღისთვის: ერთს - სამუშაო დღისათვის (ორშაბათი-პარასკევი), ხოლო მეორეს - უქმე დღისათვის (შაბათი და კვირა). თითოეულ შერჩეულ PSU-ში წინასწარ დადგენილი დღეები შინამეურნეობებისთვის განისაზღვრა შემდეგნაირად:



COVID-19 პანდემიის შედეგად დამდგარი გამოწვევების შესამსუბუქებლად მიღებული ზომები, გამოპასუხების საჭირო რაოდენობის მისაღწევად

გამოწვევები – გამოკვლევის სავსე სამუშაოები COVID-19 პანდემიის პერიოდს დაემთხვა, რის შედეგადაც გამოუპასუხებლობის დონემ გადააჭარბა მოსალოდნელს, რომლის საფუძველზეც განსაზღვრული იყო შერჩევის ზომა.

მიღებული ზომები – საკმარისი გამოპასუხების მისაღწევად, გაიზარდა PSU-ებში შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობა. კერძოდ, 2020 წლის ნოემბრიდან თბილისის PSU-ებში შერჩევის ზომა 10-დან 14-მდე გაიზარდა, ხოლო 2021 წლის ივნისიდან - 14-დან 20-მდე. ასევე, 2021 წლის ივნისიდან სხვა ქალაქებში შერჩევის ზომა 10-დან 12-მდე გაიზარდა.

საბოლოო შერჩევის ზომა

შერჩევის დიზაინი და გამოპასუხების რაოდენობა საკმარისია მოსახლეობის შედარებით დიდი ჯგუფებისათვის კლასიფიკატორით განსაზღვრულ აქტივობებზე დახარჯული საშუალო დროის გასაანალიზებლად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გამოკვლევის საბოლოო შერჩევის ზომა და გამოპასუხების რაოდენობა.

	საქართველო (სულ)	თბილისი	სხვა ქალაქები	სოფლები
შერჩეული PSU-ების რაოდენობა	312	104	104	104
შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობა	3,680	1,544	1,096	1,040
გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობა	2,328	759	729	880
შერჩეული ინდივიდების რაოდენობა	6,543	2,173	2,064	2,306
გამოკითხული ინდივიდების რაოდენობა	6,074	1,937	1,923	2,214
სამუშაო დღეებისთვის შევსებული დღიურების რაოდენობა	5,721	1,875	1,768	2,078
უქმე დღეებისთვის შევსებული დღიურების რაოდენობა	5,713	1,866	1,769	2,078

საბოლოოდ, გამოკვლევისთვის შეირჩა 3,680 შინამეურნეობა და 15 წლის და უფროსი ასაკის 6,543 წევრი. შერჩეულმა რესპონდენტებმა ჯამში სამუშაო დღეებისთვის განკუთვნილი 5,721 და უქმე დღეებისთვის განკუთვნილი 5,713 დროის გამოყენების დღიური შეავსეს.

გამოპასუხების დონე

გამოკვლევის გამოპასუხების დონის მოსალოდნელი მაჩვენებელი 70 პროცენტი იყო. საბოლოოდ, გამოპასუხების დონემ 63.3 პროცენტი შეადგინა. გამოპასუხების დონე განსაზღვრულია, როგორც გამოკითხული შინამეურნეობების პროცენტული წილი შერჩეული შინამეურნეობების საერთო რაოდენობაში. გამოპასუხების დონე განსხვავებული იყო დასახლების სხვადასხვა ტიპისთვის: ყველაზე დაბალი გამოპასუხების დონე თბილისში დაფიქსირდა და 49.2 პროცენტი შეადგინა, სხვა ქალაქებში - 66.5 პროცენტი, ხოლო სოფლებში - 80.8 პროცენტი.

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

მონაცემები შეგროვდა ორი მეთოდის კომბინაციით: (1) პირისპირ ინტერვიუ პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით (CAPI) და (2) თვითაღმინისტრირებადი დღიური. შინამეურნეობის და ინდივიდუალური კითხვარები შეივსო CAPI მეთოდის გამოყენებით, ხოლო დროის გამოყენების მონაცემები შეგროვდა ქალაქის დღიურების საშუალებით.

გამოკითხვა შინამეურნეობის კითხვარით

შერჩეულ შინამეურნეობასთან კონტაქტის დასამყარებლად, საჭიროების შემთხვევაში, ინტერვიუერი მისამართზე სამ ვიზიტს ახორციელებდა. შინამეურნეობის კითხვარის რესპონდენტი იყო შერჩეული შინამეურნეობის ზრდასრული ინფორმირებული წევრი.

გამოკითხვა ინდივიდუალური კითხვარით და დროის გამოყენების დღიურის შევსება

შინამეურნეობის კითხვარის შევსების შემდეგ, შინამეურნეობის 15 წლის და უფროსი ასაკის ყველა წევრთან ინტერვიუერი ატარებდა გამოკითხვას ინდივიდუალური კითხვარის გამოყენებით. ინდივიდუალური ინტერვიუს შემდეგ, თითოეულ რესპონდენტს შესავსებად გადაეცემოდა დროის გამოყენების ორი დღიური (ერთი სამუშაო, ხოლო მეორე უქმე დღისათვის განკუთვნილი). ინტერვიუერი რესპონდენტს განუმარტავდა, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მოეწოდებინა და როგორ უნდა შეევსო დროის გამოყენების დღიური. ინტერვიუერი რესპონდენტს უტოვებდა დროის გამოყენების დღიურებს, რომლებიც რესპონდენტს უნდა შეევსო წინასწარ დადგენილი

ორი დღისათვის. რესპონდენტისათვის, დღიურში მოცემული იყო დღიურის შევსების დეტალური ინსტრუქცია, რათა მას გამარტივებოდა ხარისხიანი, სტანდარტების შესაბამისი მონაცემების წარმოდგენა. დღიური ასევე მოიცავდა შევსებული დღიურის მაგალითს.

დღიურების შეგროვების დროს, ინტერვიუერი რესპონდენტთან ერთად განიხილავდა შევსებულ მონაცემებს, რათა დარწმუნებულიყო, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია იყო სრულყოფილი და მაღალი ხარისხის.

COVID-19 პანდემიის შედეგად დამდგარი გამოწვევების შესამსუბუქებლად მიღებული ზომები, ინტერვიუს წარმატებით ჩატარებისთვის

გამოწვევები – COVID-19 პანდემიის დროს, რესპონდენტები თავს არიდებდნენ პირისპირ ინტერვიუში მონაწილეობას, რის შედეგადაც გამოუპასუხებლობის დონემ გადააჭარბა მოსალოდნელს.

მიღებული ზომები – რესპონდენტებს გადაეცათ წერილები, სადაც ახსნილი იყო დროის გამოყენების გამოკვლევის მნიშვნელობა. ამასთან, რესპონდენტის სურვილის შემთხვევაში, პირისპირ ინტერვიუს ნაცვლად, შეთავაზებული იქნა სატელეფონო ინტერვიუს ჩატარება, შინამეურნეობის და ინდივიდუალური კითხვარების შესავსებად. დროის გამოყენების დღიურები, ამ შემთხვევაშიც, რესპონდენტის მიერ უნდა შევსებულიყო.

მონაცემთა დამუშავება და ხარისხის უზრუნველყოფა

მონაცემთა დამუშავება და აქტივობების კოდირება

გამოკვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ელექტრონულ კითხვარში ინტეგრირებული იყო ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლები, რომელთა საშუალებითაც, ინტერვიუს დროს, შესაძლებელი იყო კითხვარებში შეუსაბამობების გამოვლენა, რესპონდენტთან გადამოწმება და რედაქტირება. ინტერვიუერების მიერ შევსებული კითხვარების პირველადი ლოგიკური კონტროლი ხორციელდებოდა სავსე სამუშაოების ზედამხედველების მიერ. კითხვარების საბოლოო შემოწმება და ვალიდაცია ხდებოდა საქსტატის სათაო ოფისის თანამშრომლების მიერ. ხარვეზების ან საეჭვო მონაცემების არსებობის შემთხვევაში, შევსებული კითხვარები უკან უბრუნდებოდათ ინტერვიუერებს მონაცემების რესპონდენტთან დასაბუთებლად.

ინტერვიუერებს დროის გამოყენების დღიურის მონაცემების ნაწილი (გარდა აქტივობების შესახებ მონაცემებისა) შეჰყავდათ ელექტრონულ კითხვარში, რაც იძლეოდა საკმარის ინფორმაციას შინამეურნეობისა და ინდივიდუალური კითხვარების დღიურთან დასაკავშირებლად.

კოდირებისთვის გამოყენებული იყო გაეროს მიერ შემუშავებული „საერთაშორისო კლასიფიკატორი დროის გამოყენების სტატისტიკისათვის“ (ICATUS 2016). კლასიფიკატორი ითარგმნა ქართულ ენაზე და ადაპტირდა, კერძოდ, კლასიფიკატორს დაემატა სამი კოდი (001 – დღიურის შევსება, 611 – დისტანციური სწავლა და 999 – განუსაზღვრელი აქტივობა). აქტივობების კოდირება განხორციელდა საქსტატის სათაო ოფისის თანამშრომელთა გუნდის (კოდირების სპეციალისტების) მიერ. კოდირების დროს შემუშავდა ე.წ. კოდირების ინდექსი, რომელსაც იყენებდა კოდირების ყველა სპეციალისტი. დროის გამოყენების დღიურში არსებული აქტივობების კოდირება ხდებოდა ქალაქის დღიურზე. აქტივობებისთვის მინიჭებული კოდების შეყვანა მონაცემთა ბაზაში განხორციელდა საქსტატის მიერ სპეციალურად შემუშავებული პროგრამის საშუალებით.

საბოლოოდ, მონაცემები დამუშავდა და მაჩვენებლები გაანგარიშდა საქსტატის სათაო ოფისის თანამშრომლების მიერ.

მონაცემთა ვერიფიკაციის პროცედურები

დროის გამოყენების დღიურში წარმოდგენილი აქტივობების შედარება განხორციელდა შინამეურნეობის და ინდივიდუალური კითხვარის მონაცემებთან, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო მექანიკური შეცდომები. ყურადღება ექცეოდა ისეთ საეჭვო შემთხვევებს, როდესაც დღიურში არ იყო დაფიქსირებული საკვების და სასმელის მიღება და ა.შ. დღიურებში განხორციელდა მიმინალური რაოდენობის შესწორებები.

შეწონვა

შინამეურნეობის და პერსონალური საწყისი წონები წარმოადგენს შერჩევაში მოხვედრის ალბათობის შებრუნებულ მნიშვნელობას. საბოლოო წონების მისაღებად, საწყისი წონები დაკორექტირდა გამოუპასუხებლობის და მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით. დღიურის წონები გაანგარიშდა საბოლოო პერსონალური წონების საფუძველზე, გამოუპასუხებლობის გათვალისწინებით.

მაჩვენებლების გაანგარიშება

მაჩვენებლები გაანგარიშებულია სტატისტიკური წონების გამოყენებით. სხვადასხვა ტიპის მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

მაჩვენებლის ტიპი	გაანგარიშების მეთოდი
ძირითად აქტივობაზე დღეში საშუალოდ დახარჯული დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით	$5/7 \times (\text{ყველა სამუშაო დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო}) / (\text{სამუშაო დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}) + 2/7 \times (\text{ყველა უქმე დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო}) / (\text{უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}).$ <p><i>მოიცავს ყველა დღიურს, მიუხედავად იმისა, დაფიქსირებულია თუ არა შესაბამისი აქტივობა.</i></p>
ძირითად აქტივობაში ჩართული მოსახლეობის მიერ დღეში საშუალოდ დახარჯული დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით	$5/7 \times (\text{ყველა სამუშაო დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო}) / (\text{აქტივობაში ჩართული მოსახლეობის სამუშაო დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}) + 2/7 \times (\text{ყველა უქმე დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო}) / (\text{აქტივობაში ჩართული მოსახლეობის უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა})$ <p><i>მოიცავს მხოლოდ იმ დღიურებს, სადაც დაფიქსირებულია შესაბამისი ძირითადი აქტივობა. ამ ტიპის მაჩვენებლების ჯამი არ წარმოადგენს ანალოგიურ მაჩვენებელს შესაბამისი აქტივობებისათვის.</i></p>
ძირითად აქტივობაში ჩართული მოსახლეობის პროცენტული წილი (მონაწილეობის დონე)	$(5/7 \times (\text{ძირითად აქტივობაში ჩართული მოსახლეობის სამუშაო დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}) / (\text{მოსახლეობის სამუშაო დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}) + 2/7 \times (\text{ძირითად აქტივობაში ჩართული მოსახლეობის უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}) / (\text{მოსახლეობის უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა})) \times 100$ <p><i>ამ ტიპის მაჩვენებლების ჯამი არ წარმოადგენს ანალოგიურ მაჩვენებელს შესაბამისი აქტივობებისათვის.</i></p>

მაჩვენებლის ტიპი	გაანგარიშების მეთოდი
<p>ძირითად აქტივობაზე სამუშაო/უქმე დღის განმავლობაში საშუალოდ დახარჯული დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით</p>	<p>(ყველა სამუშაო/უქმე დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო) / (სამუშაო/უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა)</p> <p><i>მოიცავს ყველა დღიურს, მიუხედავად იმისა, დაფიქსირებულია თუ არა შესაბამისი აქტივობა.</i></p>
<p>ძირითად აქტივობაში ჩართული მოსახლეობის მიერ სამუშაო/უქმე დღის განმავლობაში საშუალოდ დახარჯული დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით</p>	<p>(ყველა სამუშაო/უქმე დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო) / (აქტივობაში ჩართული მოსახლეობის სამუშაო/უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა)</p> <p><i>მოიცავს მხოლოდ იმ დღიურებს, სადაც დაფიქსირებულია შესაბამისი ძირითადი აქტივობა. ამ ტიპის მაჩვენებლების ჯამი არ წარმოადგენს ანალოგიურ მაჩვენებელს შესაბამისი აქტივობებისათვის.</i></p>
<p>სამუშაო/უქმე დღეების განმავლობაში ძირითად აქტივობაში ჩართული მოსახლეობის პროცენტული წილი (მონაწილეობის დონე)</p>	<p>(ძირითად აქტივობაში ჩართული მოსახლეობის სამუშაო/უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა) / (მოსახლეობის სამუშაო/უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა) × 100</p> <p><i>ამ ტიპის მაჩვენებლების ჯამი არ წარმოადგენს ანალოგიურ მაჩვენებელს შესაბამისი აქტივობებისათვის.</i></p>
<p>ძირითად და პარალელურ აქტივობაზე დღეში საშუალოდ დახარჯული დრო, მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით</p>	<p>$5/7 \times$ (ყველა სამუშაო დღის დღიურში შესაბამის ძირითად და პარალელურ აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო) / (სამუშაო დღის დღიურების ჯამური რაოდენობა) + $2/7 \times$ (ყველა უქმე დღის დღიურში შესაბამის ძირითად და პარალელურ აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო) / (უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა)</p> <p><i>მოიცავს ყველა დღიურს, მიუხედავად იმისა, დაფიქსირებულია თუ არა შესაბამისი აქტივობა. ამ ტიპის მაჩვენებლების ჯამი შესაძლებელია აღემატებოდეს 24 საათს.</i></p>
<p>პროცენტული განაწილება მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით [ინდივიდუალური კითხვარიდან]</p>	<p>(შესაბამისი პასუხების მქონე მოსახლეობა) / (მოსახლეობის საერთო რაოდენობა) × 100</p>
<p>პროცენტული განაწილება მოსახლეობის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით [დროის გამოყენების დღიურიდან]</p>	<p>$(5/7 \times$ (სამუშაო დღის დღიურების ჯამური რაოდენობა შესაბამისი პასუხით) / (სამუშაო დღის დღიურების ჯამური რაოდენობა) + $2/7 \times$ (უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა შესაბამისი პასუხით) / (უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა)) × 100</p>

დანართი C – დროის გამოყენების გამოკვლევის (GTUS 2020/2021) ინსტრუმენტები



კითხვარი: # 07.1.გრ-5.6-12 (ერთდროული)
დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სამსახურის საბჭოს 2020 წლის 04 სექტემბრის
#11 დადგენილებით



დროის გამოყენების გამოკვლევა



შინამეურნეობის კითხვარი

A. ინფორმაცია ინტერვიუს შესახებ			
A1.	უბნის ნომერი: _ _ _ _ _	A2.	შინამეურნეობის ნომერი: _ _ _
A3.	ინტერვიუერის სახელი და გვარი: -----	A4.	ინტერვიუერის კოდი: _ _ _ _ _ _ _ _ _
A5.	ზედამხედველის სახელი და გვარი: -----	A6.	ზედამხედველის კოდი: _ _ _ _ _ _

ინტერვიუერს

გამარჯობა! ჩემი სახელია (სახელი და გვარი) და მე წარმოვადგენ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) ერთად საქართველოში ატარებს გამოკვლევას დროის გამოყენების შესახებ. ამასთან დაკავშირებით გვსურს დაგისვით რამდენიმე შეკითხვა თქვენ და თქვენი შინამეურნეობის წევრებს, იმისათვის, რომ დავადგინოთ მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დრო, მაგალითად, ანაზღაურებად და არაანაზღაურებად სამუშაოზე, საოჯახო საქმეებზე, ბავშვის მოვლაზე, მგზავრობაზე და ა.შ. თქვენი შინამეურნეობა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა სხვა რამდენიმე ათას შინამეურნეობასთან ერთად. გამოკვლევის შედეგების მაღალი სანდოობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი თანხმობა გამოკვლევაში მონაწილეობაზე. გამოკვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და თქვენ მიერ მოწოდებული მონაცემები მკაცრად კონფიდენციალური და ანონიმურია. მკვლევარებს არ ექნებათ შესაძლებლობა დააკავშირონ თქვენი მისამართი და სხვა პირადი მონაცემები, თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან. ინტერვიუ დაახლოებით 10 წუთი გაგრძელდება. ასევე, ინტერვიუს დასრულების შემდეგ, გთხოვთ, რომ შეავსოთ აქტივობების დღიური კვირის ორი დღისთვის.

A7.	შეგვიძლია ღაპინწყომთ?	ღინახ	1 ⇨ A9
		არა/პინთხვპ არ ღასგულა	2 ⇨ A8
A8.	შინამეურნეობის გამოკითხვის შედეგი:	ინტერვიუ ჩატარღა	1
		ვიზიტის მომენტისთვის სახლში არავინ იყო ან არ იყო შინამეურნეობის ინფორმირებული წევრი	2
		საველე პერიოდის განმავლობაში სახლში არ იმყოფებოღა შინამეურნეობის არცერთი წევრი	3
		უარი განაცხადეს ინტერვიუზე	4
		ღაკეტელი საცხოვრისი/არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა/ნაგებობა	5
		საცხოვრისი დანგრეულია	6
		მისამართი არ მოიძებნა	7
		სხვა (მიუთითეთ) _____	96
A9.	ინტერვიუს ჩატარების თარიღი:	a. რიცხვი __ __ __ b. თვე __ __ __ c. წელი __ __ __ __ __ __	
A10.	ინტერვიუს დაწყების დრო: __ __ __ : __ __ __		
<p>ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური მონაცემი და სხვა ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დღგენილი წესით.</p> <p>თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაცულია ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით. ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ საერთო სტატისტიკური ინდექსების გამოსათვლელად.</p>			

შინამეურნეობის შემადგენლობა	
H1	თქვენი ჩათვლით, რამდენი წევრისგან შედგება შინამეურნეობა? __ __ __
H2	<p>ვინ არიან თქვენი შინამეურნეობის წევრები? თითოეულ მათგანზე მომაწოდეთ შემდეგი ინფორმაცია:</p> <p>(A) სახელი</p> <p>(B) გვარი</p> <p>(C) ღაბაღების თარიღი</p> <p>(D) სქესი</p> <p>(E) აქვს თუ არა ფუნქციონალური სირთულე(ები)</p> <p>(F) მიმართება შინამეურნეობის სხვა წევრებთან</p>

შინამეურნეობა: ერთი პირი ან პირთა ჯგუფი, რომლებიც ცხოვრობენ ერთ საცხოვრისში, ინაწილებენ საკვებს და აქვთ საერთო (მთლიანად ან ნაწილობრივ) ბიუჯეტი. თუ პიროვნებები არ არიან ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში, მაგრამ აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს: ცხოვრობენ ერთად, ინაწილებენ საკვებს და აქვთ საერთო ბიუჯეტი, მაშინ ისინი ერთი შინამეურნეობის წევრებად უნდა ჩაითვალოს. შესაძლებელია, ერთ მისამართზე ცხოვრობდეს ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში მყოფი რამდენიმე ადამიანი, მაგრამ მათ ჰქონდეთ ცალ-ცალკე ბიუჯეტი. მაგალითად, ერთ მისამართზე (საცხოვრისში) ცხოვრობდეს ორი ძმა საკუთარი ოჯახებით. იმ შემთხვევებში, თუ მათ გააჩნიათ ცალ-ცალკე ბიუჯეტი, ისინი განიხილებიან დამოუკიდებელ შინამეურნეობებად.

შინამეურნეობის ნომერი	სახელი	გვარი	დაბადების თარიღი			სქესი 1. ქალი 2. კაცი	აქვს თუ არა (სახელს) ფუნქციონალური სირთულე(ები)?* 1. დიახ / 2. არა	შინამეურნეობის წევრების მიმართებაბის მატრიცა**										
			დღე	თვე	წელი			F	01	02	03	04	05	06	07			
																C	D	E
01																		
02																		
03																		
04																		
05																		
06																		
07																		

* სმენის, საუბრის, მხედველობის, ხანგრძლივი ხასიათის მოძრაობის/სიარულის, თავის მოვლის, კომუნიკაციის, აღქმის, სწავლის, მეხსიერების და ა.შ. პრობლემები.

** შინამეურნეობის წევრთან მიმართება - კოდები F-სთვის:

- 11 მეუღლე 52 დედინაცვალი/მამინაცვალი
- 12 პარტნიორი/არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი 60 მეუღლის მშობელი
- 21 ბიოლოგიური/ნაშვილები შვილი 70 ბებია/ბაბუა
- 22 მეუღლის შვილი, გერი 81 და/ძმა
- 30 სიძე/რძალი (შვილის მეუღლე) 82 ნახევარ და/ძმა
- 40 შვილიშვილი 90 სხვა ნათესავი
- 41 ბიოლოგიური/არაბიოლოგიური მშობელი 95 სხვა არანათესავი

ბაკშპხე ზრუნვა

თუ შინამეურნეობის რომელიმე წევრი არის 10 წელზე ნაკლები ასაკის → H3

სხვა შემთხვევაში → H5

H3 არის თუ არა თქვენი შინამეურნეობის რომელიმე 10 წელზე ნაკლები ასაკის წევრი/ბავშვი საბავშვო ბაღის/ბაგა-ბაღის ან სხვა მსგავსი დაწესებულების აღსაზრდელი ან ჰყავს თუ არა სხვა აღზრდელი (პირი, რომელიც არ არის თქვენი შინამეურნეობის წევრი) ხანგრძლივი დროით?

არ ჩათვალოთ მოკლევადიანი ან არარეგულარული (რამდენიმე დღიანი) დახმარება ბავშვზე ზრუნვაში (მაგ. მშობლების, მეზობლების და ა.შ. ბავშვის მოვლაში დროდადრო გაწეული დახმარება, არარეგულარულად ან მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში). სკოლაში სავალდებულო დასწრება არ განიხილება, როგორც ბავშვზე ზრუნვა.

დიახ (1) ⇒ H4

არა (2) ⇒ H5

H4 გთხოვთ, მითხრათ როგორ ხდება თქვენი შინამეურნეობის 10 წელზე ნაკლები ასაკის წევრების/ბავშვების მოვლა ყოველდღიურად? გთხოვთ, დააზუსტოთ თითოეულ ბავშვზე ცალ-ცალკე.

შინამეურნეობის წევრის ნომერი (H2-დან)	ბავშვის სახელი	ბავშვზე მზრუნველი დაწესებულება/პირი		
		საჯარო დაწესებულება	კერძო დაწესებულება	კერძო პირი
		<input type="checkbox"/> (1)	<input type="checkbox"/> (2)	<input type="checkbox"/> (3)
		<input type="checkbox"/> (1)	<input type="checkbox"/> (2)	<input type="checkbox"/> (3)
		<input type="checkbox"/> (1)	<input type="checkbox"/> (2)	<input type="checkbox"/> (3)

შინამეურნეობის შემოსავალი

შემდეგი კითხვები ეხება შინამეურნეობის ყველა წევრის შემოსავლებს, ასევე შინამეურნეობის მიერ მიღებულ საერთო შემოსავლებს.

H5	<p>გასული 12 თვის განმავლობაში, რომელი წყაროებიდან ჰქონდა შემოსავალი თქვენს შინამეურნეობას?</p> <p><i>ინტერვიუერს: წაუკითხეთ რესპონდენტს შემოსავლის კატეგორიები გარკვევით და თითოეული მათგანისთვის მიუთითეთ „დიახ“ ან „არა“.</i></p>		
	<p>მიიღო თუ არა თქვენმა შინამეურნეობამ...?</p>	დიახ	არა
	1. ხელფასი ან სხვა რაიმე სახის შრომის ანაზღაურება (ფულადი ან ნატურის სახით)	<input type="checkbox"/> (1)	<input type="checkbox"/> (2)
	2. შემოსავალი თვითდასაქმებიდან (ფულადი ან ნატურის სახით)	<input type="checkbox"/> (1)	<input type="checkbox"/> (2)
	3. შემოსავალი ოჯახური მეურნეობიდან/მეთევზეობიდან/მეტყევეობიდან (ფულადი ან ნატურის სახით)	<input type="checkbox"/> (1)	<input type="checkbox"/> (2)
	4. პენსიები	<input type="checkbox"/> (1)	<input type="checkbox"/> (2)
	5. სოციალური დახმარებები	<input type="checkbox"/> (1)	<input type="checkbox"/> (2)
